ჯადოსნური სარკე

თუხჯუღი ხაღხური ზღაპრები

სპეგ-2000
შეკვეთილია

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული"
19 თბილისი 61

თარგმანი თურქულიდან ელისაბედ გუდიაშვილისა

მხატვარი ლადო გუდიაშვილი

ჯადოსნური სარკე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი შეშის მჭრელი. ჰყავდა ერთადერთი ვაჟი. მოხუცდა შეშის მჭრელი და ლოგინად ჩავარდა. ერთ დღეს მოიხმო თავისი შვილი და უთხრა:

— შვილო, მე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, შრომამ ძალა გამომაცალა და ჩემი დღეები დათვლილია, შენს თავს ახლა თვითონ უნდა უპატრონო. ყოველდღე წადი ტყეში, შეშა მოჭერი, გაყიდე და თავი ასე ირჩინე. ოღონდ მავან ადგილას ერთი ხეა, გახსოვდეს, იმ ხეს ახლოს არ გაეკარო, თორემ ხიფათს აგიტეხსო.

გავიდა რამდენიმე დღე და მოხუცი შეშის მჭრელი გარდაიცვალა. დამარხა შვილმა მამა და მის ანდერძს პირნათლად ასრულებდა.

ერთ დღეს ვაჟი ტყეში შეშასა ჭრიდა. უცებ თვალი სწორედ იმ ხეს მოჰკრა, რომლის მოჭრაც მამამ აუკრძალა.

— ნეტავ რად მითხრა აგრე, ამ ხეს რა სჭირს ისეთი, რომ მოჭრა არ შეიძლებაო? — დაინტერესდა ვაჟი. კარგა ხანს იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, ხე მაინც მოეჭრა. აიღო ხელში ცული, სახედარი უკან გაიყოლა და ხისაკენ გასწია. მიუახლოვდა ხეს, სულ რამდენიმე ნაბიჯიღა დარჩა ხემდე, რომ უცებ ხემ დაიხია და ვაჟს დაშორდა. ვაჟი მაინც არ შედგა და ხეს გაჰყვა უკან. ხე ნელ-ნელა სულ უკან-უკან იწევდა და გაჯიუტებული ვაჟიც მას მიჰყვებოდა. ამასობაში დაღამდა კიდეც. ვაჟმა გაიფიქრა: — მოდი, ამაღამ რომელიმე ხეზე ავალ და იქ გავათენებ. ღილას ისევ ამ ხეს დავედევნებიო. ასეც მოიქცა. სახედარი ძირს დატოვა, თვითონ ხეზე აცოცდა და ღამე იქ გაატარა. დილით გამოიღვიძა ვაჟმა, ჩამოვიდა ძირს და რასა ხედავს! სახედარი მგლებს შეუჭამიათ და მიწაზე მარტო ძვლებიღა ყრია. სხვა რა გზა ჰქონდა ვაჟს, აიღო ცული და ისევ ხეს დაედევნა. მთელი დღე სდია ხეს, მაგრამ ხე ერთ ადგილას არ ჩერდებოდა და ვაჟს სულ უფრო და უფრო შორს იტყუებდა.

„ამოდენა გზაზე წამოვედი, ერთადერთი სახედარი მგლებს შევაჭამე და ახლა რადაც არ უნდა დამიჯდეს, ეს ხე უნდა მოვკრაო“, — ფიქრობდა ვაჟი და მიჰყვებოდა ხეს. ასე სდია ვაჟმა ხეს მეორე დღესაც. უცებ ერთ ადგილას დაინახა, რომ გველი და უზარმაზარი სპილო ერთმანეთს შებმიან. დააღო გველმა პირი და სპილო გადაყლაპა, მაგრამ სპილოს ეშვები ყელზე დაადგა და სული შეუხუთა. ამ დროს გველმა იქვე ვაჟს შეასწრო თვალი და შესთხოვა:

— ადამიანის შვილო, მოამტვრიე სპილოს ეშვები, გადამარჩინე და ბედსა გწევო.

ახლა სპილომ შესთხოვა ვაჟს:

— ყმაწვილო, მოჰკალ ეს უწმინდური, გამანთავისუფლე და შენს სიკეთეს არც მე დავივიწყებო.

დაიბნა ვაჟი, აღარ იცოდა რომლისთვის ეშველა. ბოლოს გველის გადარჩენა უფრო ეადვილა და სპილოს ეშვები მოამტვრია. განთავისუფლებულმა გველმა ვაჟს უთხრა:

— მე ახლა ამ აუზში ჩავალ, შენ აქ დამელოდე. წყალში რომ შევალ, ირგვლივ ჩამობნელდება, ატყდება ერთი ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი, წამოვა სეტყვა, ცა დაიგრგვინებს და მთები ერთმანეთს შეეჯახებიან. შენ ნუ შეგეშინდება, აქ გაჩერდი და მომიცადე. წყალში მე ადამიანად ვიქცევი და როცა აუზიდან ამოვალ, ყველაფერი დაწყნარდება, — თქვა ეს გველმა და წყალში გადაეშვა. მაშინვე ამოვარდა ქარიშხალი, იჭექა ცამ, დაიწყო გრგვინვა, სეტყვა და ისეთი საშინელი ხმაური ატყდა, რომ ვაჟმა კინაღამ გონება დაკარგა. ცოტა ხნის შემდეგ აუზიდან გველის მაგივრად მშვენიერი ვაჟი ამოვიდა. ირგვლივ ყველაფერი ისევ დაწყნარდა და ორივემ ერთად განაგრძეს გზა.

ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ ადგილას გველ-კაცმ ვაჟს უთხრა:

— აქ ახლოს დედაჩემი ცხოვრობს, იმასთან უნდა მიგიყვანო. დედაჩემს კარზე დაუკაკუნებ და შენც მიგიპატიჟებ. დედა შენს ვინაობას მკითხავს. მე ყველაფერს ვუამბობ. დედაჩემი სახლში მიგიწვევს, დაგსვამს და ჩიბუხსა და ყავას შემოგთავაზებს, მაგრამ შენ ნურაფერს ნუ მიეკარები, ყველაფერზე უარი თქვი. ბოლოს დედაჩემი გკითხავს: — მაშ, არაფერს ისურვებო? ამაზე შენ უპასუხე: — არაფერი არ მინდა, გარდა იმ სარკის ნატეხისა, რომელიც უჯრაში გიგდია-თქო. მხოლოდ და მხოლოდ ის სარკე გამოართვი.

კიდევ ცოტა გაიარეს ვაჟებმა და გველის სახლს მიადგნენ. შვილმა დედას კარზე დაუკაკუნა, ვაჟი სახლში შეიპატიჟა. დედამ გაუღო კარი შვილს, მოსულებს სახლში შეუძღვა და ჰკითხა:

— შვილო, ეგ ყმაწვილი ვინ არისო?

ვაჟმა დედას ყველაფერი უამბო. დატრიალდა გველის დედა, ხან ყავა შესთავაზა ვაჟს, ხან ჩიბუხი, მაგრამ ვაჟი არაფერს მიეკარა.

— რა ვქნა, შვილო, სიკეთე რითი გადაგიხადოო? — შეწუხდა ქალი.

მაშინ ვაჟმა უთხრა:

— თუ ჩემი სიკეთე გსურს, უჯრაში რომ სარკის ნატეხი გიგდია, ის მოგეცი.

— ვერა შვილო, იმას ვერ მოგცემ, არ შემიძლია, — იუარა გველის დედამ.

— დედი, ის სარკის ნატეხი ჩემს თავს გირჩევნია? ამ კაცმა სიკვდილს გადამარჩინა და შენ რაღაცა ნამტვრევიც კი გენანება მისთვის, — უსაყვედურა შვილმა დედას. სხვა რა გზა ჰქონდა ქალს, აიღო სარკე და მისცა შვილის მხსნელს. გამოართვა ვაჟმა სარკე, ჩაიდო ჯიბეში და წამოვიდა.

მიდის ვაჟი გზაზე და ფიქრობს: „ნეტა ეს სარკის ნამტვრევი რაში მჭირდება, რომ მაგისათვის თავი მოვიკალიო...“

ამოიღო სარკე ჯიბიდან და გადააბრუნ-გადმოაბრუნა, მერე ადგა და შიგ ჩაიხედა. უცებ მის წინ უზარმაზარი არაბი აიტუზა და მკექარე ხმით მიმართა:

— ჩემო სულთანო, მიბრძანე რა გნებავს!

არაბის დანახვაზე ვაჟს შიშისაგან კანკალი დააწყებინა და აცახცახებულმა არაბს საჭმელის მოტანა სთხოვა. თვალის ერთ დახამხამებაში არაბმა ვაჟს ტაბლაზე ისეთი საჭმელი მოართვა, რომ სიზმარშიაც არ ენახა. შეშის მჭრელმა კუჭი კარგად გამოიძღო და არაბს სუფრა აალაგებინა.

„ეს სარკე ნეტავ სხვა რამესაც თუ გამიკეთებს?“ — გაიფლო გულში ვაჟმა და ისევ ჩაიხედა სარკეში. მაშინვე გამოეცხადა არაბი და სურვილი ჰკითხა.

— ამ ადგილას სასახლე ამიშენე! — უბრძანა ვაჟმა.

მართლაც, მის წინ უცებ მშვენიერი სასახლე აღიმართა. ვაჟმა ახლა ამ სასახლის დანგრევა ბრძანა. ბრძანებისთანავე სასახლე დაინგრა. გაუხარდა ვაჟს, რომ მისი ყოველი სურვილი სწრაფად სრულდებოდა.

„ახლა კი არაფერი გამიჭირდება და ბედნიერად ვიცხოვრებო“, — გაიფიქრა და უცებ ფადიშაჰის ასული გაახსენდა. ჩაიხედა სარკეში და არაბიც მაშინვე მასთან გაჩნდა:

— ამა და ამ ადგილას სასახლე ამიშენე და მავანი ფადიშაჰის ასული მომგვარეო! — ბრძანა შეშის მჭრელმა.

ერთ წამში ვაჟი მშვენიერ სასახლეში აღმოჩნდა და ფადიშაჰის მზეთუნახავი ასულიც გვერდს უმშვენებდა. იმ დღიდან ქალ-ვაჟს ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ და ტკბილ ცხოვრებას მიეცნენ.

ამ დროს კი ფადიშაჰის სასახლეში ერთი ამბავი ტრიალებდა. უკვალოდ გაქრა ფადიშაჰის ასული. სად არ ეძებეს ქალი, საით არ დაადევნეს მდევარი, მაგრამ მისი მნახველი არავინ იყო. ბოლოს ფადიშაჰმა მაცნეები დაგზავნა და ხალხს აუწყა, ვინც ჩემს დაკარგულ ასულს მიპოვის, უხვად დავასაჩუქრებო. ხალხი დახარბდა გასამრჯელოს, ბევრი ეძებეს აქეთ-იქით, მაგრამ ამაოდ, მზეთუნახავის ასავალ-დასავალიც კი ვერ გაიგეს.

ბოლოს ფადიშაჰს ერთი დედაბერი ეახლა და მოახსენა:

— თქვენს ასულს მე ვიპოვი, ოღონდ ერთი მოზრდილი სკიერი მომიმზა-

დეთ, შიგ რამდენიმე დღის საგზალი ჩამიწყვეთ, მეც შიგ ჩამსვით და ზღვაში შემაცურეთო.

— ოღონდ ჩემი ქალი მაპოვნინე და ყველაფერს შეგისრულებო, — უთხრა ფადიშაჰმა. მაშინვე გასცა განკარგულება და ისეთი სკივრი გააკეთებინა, როგორიც დედაბერმა შეუკვეთა. შიგ ჩაუწყეს სასმელ-საჭმელი, ჩასვეს მოხუცი და ზღვაში გადააგდეს.

კარგა ხანს იცურა სკივრმა ზღვის ტალღებზე და იმ ადგილს მიაღწია, სადაც ქალ-ვაჟი ცხოვრობდა.

ერთ დღეს მეთევზეები ზღვის ნაპირას გამოსულიყვნენ და თევზაობდნენ. უცებ ზღვაში რაღაც ყუთს მოჰკრეს თვალი და ნაპირზე გამოითრიეს. ახადეს თავი და ნახეს, რომ შიგ ერთი დედაბერი შეყუჟულა.

— დედი, ვინა ხარ, ან აქ რა გინდაო? — ჰკითხეს გაოცებულმა მეთევზეებმა.

— ეჰ, შვილო, ჩემმა მტრებმა ჩამაგდეს ამ დღეში, დაუბრმავდეთ იმათ თვალები, განა ეგეთი დედაკაცი ვიყავი, რომ ასე მომექცნენო, — მოჰყვა დედაბერი წუწუნსა და წყევლა-კრულვას.

— ნუ გეშინია, დედი, ჩვენთან სოფელში წამოდიო, — შესთავაზეს მეთევზეებმა, მაგრამ დედაბერმა იუარა.

— არა, შვილო, თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ჩემსავით გაპირვებული ხალხი ხართ. მოდი, ისევ თქვენს აღასთან მიმიყვანეო, იქნებ შევეცოდო და თავის სასახლეში დამაყენოს.

რა იცოდნენ მეთევზეებმა მოხუცს გულში რა ედო. შეებრალათ ქალი, შორიდან დაანახვეს სასახლე, გზა ასწავლეს და უთხრეს:

— მიდი სასახლეში, იქ ერთი ძალზე მდიდარი ბეგი ცხოვრობს, სთხოვე და რამე საშენო საქმეს გამოგიჩენსო.

წამოვიდა დედაბერი და პირდაპირ სასახლისაკენ გასწია. როგორც იყო, მიადგა სასახლის კარს და დააკაკუნა. ხმაურზე ფანჯრიდან ფადიშაჰის ასულმა გადმოიხედა და ჩამოსძახა:

— ვინა ხარ, რა გნებავსო?

— შვილო, მე ერთი უპატრონო დაჩაგრული ქალი ვარ. ამქვეყნად არა მაბადია რა, ლუკმაპური მენატრება. შენს გაზრდას, დამეხმარე, თქვენთან შინამოსამსახურედ დამაყენე და სამაგიეროს ალაჰი გადაგიხდისო! — აწუწუნდა დედაბერი.

— დედი, ბეგი შინ არა ბრძანდება, სანადიროდაა წასული, საღამოს რომ დაბრუნდება, ვეტყვი. ვნახოთ, რას იტყვის. შენ კარებთან გაჩერდი და პასუხს დაელოდეო! — ჩამოსძახა მზეთუნახავმა.

საღამოს ბეგი ნადირობიდან დაბრუნდა. ქალმა უამბო ქმარს დედაბრის ამბავი. შეეცოდათ მოხუცი და გადაწყვიტეს სასახლეში მოეყვანათ. შემოუშვეს დედაბერი და იქვე მათთან ახლოს ერთი ოთახი მიუჩინეს. შევიდა თუ არა დე-

დაბერი სასახლეში, ყველაფერს გაფაციცებით თვალყურის დევნება დაუწყო. ძალზე უკვირდა, რომ ამოდენა სასახლეში არც მზარეულები ჰყავდათ, არც მოახლეები. სუფრაზე კი ყოველდღე ნაირნაირი საჭმელი ეწყო და ირგვლივ ყველაფერი დალაგებულ-დაკრიალებული იყო. დაინტერესდა მოხუცი და ამ საიდუმლოს ამოცნობას შეეცადა. ერთ დღეს მივიდა ფადიშაჰის ასულთან და გამოელაპარაკა:

— შვილო, ასე სულ მარტოდმარტო რომა ხარ, არა გწყინდება? მოდი, მეც ზევით ამიყვანე და ცოტას მაინც გაგართობო.

— კარგი, დედი, ამ საღამოს ბეგს ვეტყვი. თუ დათანხმდება, ზემოთ ამოგიყვანო, — უთხრა მზეთუნახავმა.

როდესაც ვაჟი ნადირობიდან დაბრუნდა, ცოლმა სთხოვა:

— გენაცვალე, მარტოობამ შემაწუხა. მოდი, დედაბერი ზემოთ ამოვიყვანოთ და ხმის გამცემი მაინც მეყოლებაო.

ქმარიც აღარ გაუჯიუტდა და ამის შემდეგ ფადიშაჰის ასული და მოხუცი მთელ დღეს ერთად ატარებდნენ.

ერთხელ დედაბერმა ფადიშაჰის ასულს ჰკითხა:

— შვილო, გენაცვალე, ამოდენა ხანია სასახლეში ვარ და მზარეულებს და მოახლეებს ვერა ვხედავ. ეს ნაირნაირი საჭმელ-სასმელი ვის მოაქვს, ვინ გიგზავნით? დედაშვილობას, ნუ დამიმალავ, მითხარიო.

— დედი, მეც არაფერი ვიცი. საღამოს ბეგი ნადირობიდან რომ დაბრუნდება, ვკითხავ და მეტყვისო, — მიუგო ქალმა.

მართლაც, საღამოს ცოლმა ქმარსა ჰკითხა:

— ჩემო კარგო, საჭმელს ვინ გვიმზადებს, ვინ გვემსახურებაო?

რა იცოდა ვაჟმა ქალი ამას რატომ ეკითხებოდა. აიღო და ცოლს სარკე უჩვენა. შეორე დღეს ქალმა დედაბერს უამბო სარკის ამბავი. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და დედაბერმა ისევ სარკეზე ჩამოუგდო სიტყვა:

— შვილო, ბეგს ის სარკე რაში სჭირდება? არ გირჩევნია შენა გქონდეს!

იმდენი ელაპარაკა მოხუცმა, რომ დაუჯერა ქალმა და ქმარს სარკე გამოართვა. მოხუცმა ჩქარა იმ ადგილსაც მიაგნო, სადაც ფადიშაჰის ასული სარკეს ინახავდა. ერთ მშვენიერ დღეს ჩუმად აიღო სარკე და შიგ ჩაიხედა. დედაბერს მაშინვე არაბი გამოეცხადა და — რას მიბრძანებო? — ჰკითხა.

— მე და ფადიშაჰის ასული ჩვენს ქვეყანაში წაგვიყვანე და ფადიშაჰთან მიგვიყვანე. ეს სასახლე კი ნაცრად აქციე და ბეგს მხოლოდ ერთი კატა დაუტოვე!

არაბმა მყისვე შეასრულა ბრძანება. ფადიშაჰის ქალიშვილი და მოხუცი ფადიშაჰთან მიიყვანა, სასახლე დაანგრია, იქვე კატა დასვა და წინ ცოტაოდენი საჭმელი დაუყარა.

ნახა ვაჟმა, რომ ხელში კატის მეტი არაფერი შერჩა და გადაწყვიტა — მოდი, ჩემს ქვეყანაში წავალ, იქნებ ფადიშაჰის ასული ვიპოვოო! წამოიყვანა

ქატა, წამოიღო საჭმელი და გზას გაუდგა. ვაჟი დიდის გაჭირვებით თავის ქვეყანას მიადგა, მაგრამ რა მადლი ჰქონდა ასეთ მისვლას? აღარც ტანთ ეცვა და აღარც ფეხთ... დაფხრეწილ-დაგლეჯილი ვაჟი ერთ დღეს ფადიშაჰის სასახლეში მივიდა და მთავარ მზარეულს სთხოვა, შეგირდად ამიყვანეო. მზარეულს შეებრალა საწყალი მშიერი კაცი, შეგირდად აიყვანა და საკუჭნაოში მიუჩინა ბინა. თან გააფრთხილა:

— აქ შენთვის ჩუმად იჯექი, არავინ დაგინახოსო.

ასე გაატარა ვაჟმა კარგა ხანი. ბოლოს, როგორც იყო, ყური მოჰკრა ამბავს, ფადიშაჰის ასული საღსალამათი სასახლეში იმყოფებაო, და გულში იმედი ჩაესახა.

ერთ დღეს მზარეული უქეიფოდ იყო და ბუზღუნებდა:

— რა ვქნა, ფეხზე ძლივსა ვდგავარ და საჭმელი როგორ უნდა მოვამზადოო!

დაინახა ვაჟმა, რომ მზარეულს რაღაც აწუხებს, მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ოსტატო, რაზე მოგიწყენიაო?

მზარეულმა მიზეზი უთხრა.

— შენ მაგაზე ნუ ჯავრობ. მასწავლე როგორ გავაკეთო და საჭმელს მე შოვამზადებო, — უპასუხა ვაჟმა.

მზარეულის დახმარებით შეგირდმა მართლაც მშვენიერი საჭმელი დაამზადა და მაგიდაზე მისართმევად თეფშებზე დააწყო. თან წამოღებული საჭმელიც დაუწყო და სუფრაზე შეუგზავნა. ქალმა თეფშზე რაღაცა სხვა საჭმელი რომ დაინახა, მიხვდა, რომ იქვე ახლომახლო ვაჟი უნდა ყოფილიყო და ძალიან გაუხარდა. მაშინვე გამოუძახა მზარეულს და ჰკითხა მასთან ვინ იმალებოდა. დიდხანს უფიცა მზარეულმა — ჩემთან არავინ არის, მე მარტო დავამზადე საჭმელიო, მაგრამ ქალი ისე ჩააცივდა, რომ მზარეულმა ყველაფერი უამბო. გაიქცა ქალი მამასთან და უთხრა:

— მამი, ქვემოთ, სამზარეულოში, ერთი ახალგაზრდა ვაჟი მუშაობს. მოდი, ჩვენთან ამოვიყვანოთ და ყავის ჩამომრიგებლად დავნიშნოთო.

დაუჯერა ფადიშაჰმა ასულს. ამოიყვანეს ვაჟი სასახლეში და მეყავედ დანიშნეს. ფადიშაჰის ასული იხელთებდა დროს თუ არა, მიდიოდა მეყავესთან და ახალგაზრდები დროს ჩურჩულ-კურკურსა და ალერსში ატარებდნენ.

ერთხელ, როდესაც ქალ-ვაჟი ერთმანეთს ტკბილად ემუსაიფებოდა, თვალი შეასწრო იმ კუდიანმა დედაბერმა და მიხვდა, რაშიც იყო საქმე. გაქანდა ფადიშაჰთან და მოახსენა:

— დიდებულო ფადიშაჰო, თქვენი მეყავე თქვენს ასულს მოსვენებას არ აძლევს, ეარშიყება და სამარცხვინო საქმეს დაგმართებთო.

განრისხდა ფადიშაჰი: ვიღაც მეყავემ ეს როგორ გამიბედაო.

— ახლავე თავი მოჰკვეთეთო! — უბრძანა ჯალათებს.

ეცნენ ჯალათები ვაჟს და თავის მოსაკვეთად წაიყვანეს. გზაში იმდენი

ეხვეწა ვაჟი ჯალათებს, იმდენი ემუდარა — ნუ მომკლავთ, ჯერ ახალგაზრდა ვარ, სიცოცხლე მაჩუქეთო, რომ როგორც იქნა, დაიყოლია. შეებრალათ ჯალათებს ვაჟი, უდაბნოში დატოვეს და სასახლეში დაბრუნდნენ.

ვაჟს კატა უდაბნოშიც თან წაჰყვა. როცა კატას საჰმელი შემოაკლდებოდა, თაგვებზე იწყებდა ნადირობას და ჩქარა უდაბნოს თაგვებს მუსრი გაავლო. თაგვების შაჰმა დაინახა, რომ ლაშქარი დღითი დღე უმცირდებოდა და მიზეზი იკითხა. თაგვების შაჰს მოახსენეს:

— დიდებულო შაჰო, ჩვენს უდაბნოს ერთი ვაჟი შემოეხიზნა. თან კატა ახლავს და ჩვენი ჯილაგი სწორედ იმან გაწყვიტაო.

ეს რომ კაიგო თაგვების შაჰმა, მივიდა ვაჟთან და შეეეედრა:

— შენმა კატამ ამოდენა ჯარი გამიწყვიტა. მიშველე რამე, როგორმე თავიდან მომაშორეო!

— კარგი, დაგეხმარებიო, — უთხრა ვაჟმა, — მაგრამ თქვენც ერთი სიკეთე უნდა მიყოთ. მავან ადგილას ერთი დედაბერი ცხოვრობს. მას ერთი სარკის ნატეხი აქვს. თუ თქვენ იმ სარკეს დედაბერს მოჰპარავთ და მომიტანთ, აქედან მოგშორდებით და კატასაც თან წავიყვანო.

თაგვების შაჰმა ქვეშევრდომი თაგვები იხმო და გამოუცხადა:

— ამა და ამ მოხუცს რომელი თქვენგანი იცნობსო?

ერთი კოქლი თაგუნა წინ წამოდგა, შაჰს მდაბლად თავი დაუკრა და მიმართა:

— ყოვლისმძლეო შაჰო, იმ დედაბერს მე კარგად ვიცნობ, მისი კარადიდან საჰმელი ბლომად მიზიდია. ერთი-ორჯერ ისიც დავინახე, რომ მოხუცი ძილის წინ სარკის ნატეხს თავქვეშ იდებს.

შაჰმა კოქლ თაგვს უბრძანა დედაბერთან მისულიყო და როგორმე სარკე მოეპარა, თან ორი თაგვიც გააყოლა.

წავიდნენ თაგვები, მივიდნენ სასახლეში, შეიპარნენ დედაბრის ოთახში და ხვრელიდან დაუწყეს თვალთვალი. დედაბერმა კარგად ივახშმა და დასაძინებლად იწყო მზადება. ამასობაში კი თაგვებმა სარკის მოტაცების გეგმა დააწყვეს:

— დედაბერი რომ დაიძინებს, მივალ, გულზე დავაჯდები და კუდს ცხვირზე მივუს-მოვუსვამ. მოხუცს მოეღიტინება და ცხვირის ცემინებას დაიწყებს. ასწევს თუ არა თავს ბალიშიდან, თქვენ მივარდებით და სარკეს გამოაცლით. — უთხრა კოქლმა თაგუნამ ამხანაგებს.

როგორც იქნა დედაბერი დაწვა და დაიძინა. თაგვებიც ამას ელოდნენ. კოქლი თაგვი მოხუცს გულზე ააცოცდა და კუდი ცხვირზე მოუსვა. აუტყდა დედაბერს ცხვირის ცემინება. წამოსწია თუ არა თავი ბალიშიდან, ორი თაგვი ეცა და სარკის ნამტვრევი გამოაცალეს. მერე სამივემ დასტაცა სარკეს ხელი და შაჰს მიართვეს. თაგვების შაჰმა სარკე ვაჟს ჩააბარა. ვაჟმა ჩაიდო სარკე ჯიბეში, წამოიყვანა კატა და იქაურობას მოშორდა.

გაიარა ვაჟმა კარგა მანძილი. ამოიღო სარკე ჯიბიდან და შიგ ჩაიხედა. მის წინ კვლავ ის არაბი გამოჩნდა:

— ჩემო სულთანო, მიბრძანე რა გსურს და შეგისრულებო!

ვაჟმა ერთი ხელი ძვირფასი ტანსაცმლისა და ერთი ცხენოსანი რაზმის გაჩენა უბრძანა. არაბმა თვალის ერთ დახამხამებაში შეასრულა ბრძანება. ჩაიცვა ვაჟმა ტანსაცმელი, წამოიყვანა ცხენოსანთა რაზმი და ფადიშაჰის სასახლეს მიადგა.

დილას გამოიხედა ფადიშაჰმა ფანჯრიდან და ხედავს, რომ სასახლეს ცხენოსანთა ალყა არტყია.

— ახლა თითქოს არავის ვეომები და ეს რა ამბავიაო? — გაუკვირდა ფადიშაჰს.

ამასობაში ვაჟიც ამოვიდა სასახლეში და ფადიშაჰს განუცხადა:

— თუ შენს ასულს არ მომათხოვებ, მთელ შენს სამეფოს ავაოხრებო!

შეეშინდა ფადიშაჰს, ვაჟს ქალიც მიათხოვა და ტახტიც მისცა. გადაიხადა ვაჟმა დიდი ქორწილი. სასახლეში დიდი ლხინი ორმოც დღე-ღამეს გრძელდებოდა.

ასე ეწია ყველა თავის მიზანს. ჩვენც შეგვსრულებოდეს ჩვენი სურვილები!

შეშის მჭრელი და ეშმაკი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი შეშის მჭრელი. მას ერთი აშარი და ხარბი ცოლი ჰყავდა. ქალი ქმარს მოგებულ ფულს ფთლიანად ართმევდა და მას არც ერთ გროშს არ უტოვებდა. ცოლი იმდენად ძუნწი იყო, რომ ქმრისათვის ლუკმაც კი ენანებოდა. ამიტომ ზოგჯერ სადილს იმდენ მარილს აყრიდა, რომ საღამოს დაღლილ-დაქანცული ქმარი საჭმელსაც ვერა ჭამდა. თუ ეტყოდა, — ქალო, დღეს სადილი მლაშე მოგივიდაო,—მეორე დღეს ცოლი საჭმელს მთლად უმარილოს გააკეთებდა და ასე აწამებდა ისედაც დამაშვოალ კაცს.

ერთ დღეს შეშის მჭრელმა თოკის საყიდლად ცოტაოდენი ფული გადამალა. როდესაც ღამე დასაძინებლად წვებოდნენ, ცოლმა ქმარს ჯიბეში დამალული ფული უპოვა და ერთი ალიაქოთი აუტეხა:—ჰაი, შე უნამუსოვ, ჩემს გარდა შენ კიდევ ვიღაცა გყავს და ეს ფული იმასთან მიგაქვსო. — ბევრი უფიცა ქმარმა, ბევრი უმტკიცა, მაგრამ ქალს გაგონებაც კი არ უნდოდა. ბოლოს ქმარი გამოუტყდა, ეს ფული თოკის საყიდლად მქონდა გადანახულიო. — მაშ ეგ თოკი სახრჩობელად გექცესო! — მიაწყევლა ცოლმა. ვეღარ მოითმინა ქმარმა და ცოლს ერთი მაგრად სცემა. ის ღამე სულ ჩხუბსა და დავიდარაბაში გაატარეს. გათენდა თუ არა, შეშის მჭრელი წამოდგა ლოგინიდან, წამოიყვანა ერთი სახედარი, მეორე სახედრის წამოყვანა ცოლს დაავალა და ორივენი ტყეში წავიდნენ.

ქალმა არც გზაში შეწყვიტა ბუზღუნი: — ვინ იცის, შენ მარტო როდესაც ხარ, რეებს არ აკეთებ და როგორ მარცხვენო!—მაგრამ შეშის მჭრელი ცოლის ბურტყუნს ყურადღებას აღარ აქცევდა და ტყეში უფრო და უფრო ღრმად შედიოდა. ბოლოს ერთ ადგილას გაჩერდა და შეშის ჭრა დაიწყო. ცოლი უსაქმოდ დაეხეტებოდა. ბევრი იარა აქეთ-იქით და ერთ ჭას მიადგა. ქმარმა ჭასთან მდგარი ცოლი რომ დაინახა, დაუყვირა: „ქალო, ჭასთან ახლოს ნუ მიდიხარ, შიგ არ ჩავარდეო!“ — მაგრამ ქალმა ქმრის გაფრთხილებას ყური არ ათხოვა და კიდევ უფრო ახლოს მივიდა ჭასთან. რამდენჯერმე გაუმეორა ქმარმა: — ჭას

მოსცილდი, ხიფათი რამ არ შეგემთხვეს! — მაგრამ ქმრის გასაჯავრებლად ცოლი ჭასთან იდგა და ფეხსაც არ იცვლიდა. უცებ ქალმა იქვე რაღაცა ქვას წამოჰკრა ფეხი, თავი ვეღარ შეიმაგრა და პირდაპირ ჭაში მოადინა ტყაპანი. ქმარს ცოლისაგან ისე ჰქონდა თავი მობეზრებული, რომ ამ ამბავმა სრულიადაც არ შეაწუხა. შეშის მჭრელმა საღამომდე იმუშავა, სახედრები შეშით დატვირთა და სახლში დაბრუნდა. იმ ღამეს მშვიდად ეძინა. მეორე დილას ადგა, ისევ ტყისაკენ გაემართა და შეშის ჭრას შეუდგა. როდესაც მუშაობით კარგად მოიღალა, იფიქრა: — მოდი, იმ ჭასთან მივალ, ერთი ჩემს ცოლს დავხედავ! — მივიდა ჭასთან, ჩაიხედა შიგ, მაგრამ ქალი აღარ ჩანდა. ცოტა არ იყოს შეეშინდა კაცს: აიღო თოკი, ჩაუშვა ჭაში და ჩასძახა: — ქალო, აჰა თოკი, მოეკიდე და ამოგიყვანო. — ამოსწია კაცმა თოკი და იგრძნო, რომ თოკი მართლაც დამძიმდა, დიდის გაჭირვებით და ხვნეშით ზევით ამოსწია და რასა ხედავს: თოკს ეშმაკი მოჰკიდებია. დაინახა თუ არა შეშის მჭრელმა ცოლის მაგიერ ეშმაკი, შიშისაგან თოკს ხელი უშვა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ეშმაკმა შეაჩერა და უთხრა: — ჰეი, ვაქკაცო, ჩემი ნუ გეშინია, შენ ისეთი გასაჭირისაგან მიხსენი, რომ ეს ქვეყანა სანამ იარსებებს, მე შენს სიკეთეს ვერ დავივიწყებო.

— განა რა იყო, ისეთი რა უბედურება შეგემთხვა? — დაინტერესდა შეშის მჭრელი.

— ეჰ, რა იყო და ეს ჭა რამდენი ხანია ჩემს სამფლობელოს წარმოადგენს. გუშინ ერთი ქალი ჩამოვარდა ჭაში და ზედ დამეცა, შემომაჯდა კისერზე და ყურებში მტაცა ხელი. რამდენი არ ვეცადე, მისგან თავი ვერ დავიხსენი. ახლა, როცა შენ მას მოადექი, თოკი ჩამოუშვი და დაიძახე: თოკი დაიჭი, ზევით ამოგიყვანო, ქალმა ჩემს ყურებს ხელი უშვა და თოკს წაეტანა, მაგრამ თოკი ვერ მოიგდო ხელში. მაშინ იმ თოკს მე მოვეჭიდე, შენი წყალობით ზევით ამოვედი და იმ აბეზარა ქალისაგან გავთავისუფლდი. ახლა მსურს ეს სიკეთე როგორმე გადაგიხადოო, — უპასუხა ეშმაკმა.

კაცი ეშმაკის დანახვით ისე იყო შეშინებული, რომ იმასღა ფიქრობდა, ეშმაკს ხელიდან როგორ დავუძვრეო და მის სიტყვებზე ხმაც არ ამოუღია. ეშმაკმა ჯიბიდან სამი ფოთოლი ამოიღო, შეშის მჭრელს გაუწოდა და უთხრა:

— ახლა მე წავალ და ამ ქალაქის ფადიშაჰის მშვენიერ ასულს ისე დავასნეულებ, რომ ადგილიდან დაძვრის თავიც კი აღარა ჰქონდეს და ვერც ვერაფერმა წამალმა ვერ უშველოს. მაშინ შენ მიხვალ, ერთ ფოთოლს წყალში დაასველებ, გასრეს და ფადიშაჰის ასულს ტანზე წაუსვამ. მეც ჩემს ჯადოს მოვხსნი და იქაურობას გავეცლები. ფადიშაჰს ქალიშვილის მორჩენა ძალიან გაუხარდება და შენ ისე დაგასაჩუქრებს, რომ მთელ შენს სიცოცხლეს უზრუნველად გაატარებო! — შეშის მჭრელმა გამოართვა ფოთოლი ეშმაკს, კარგად შეინახა და უკან მოუხედავად შინისაკენ მოკურცხლა.

ეშმაკი მოსცილდა თუ არა შეშის მჭრელს, პირდაპირ ფადიშაჰის სასახლისაკენ გაეშურა. გაუკეთა ჯადო ფადიშაჰის ასულს და ლოგინად ჩააგდო. ქალს ყველაფერი ასტკივდა და მთელ დღეებს წივილ-კივილში ატარებდა:

— ვაი, თავი, ვაიმე ფეხები, ვკვდები, მიშველეთო! — გაჰყვიროდა ქალი და ყველას შველას სთხოვდა. შეწუხდა ფადიშაჰი. თავისი ასულის მოსარჩენად ბევრი ექიმი და ხოჯა[1] მოიწვია. ბევრი ულოცეს ხოჯებმა, ჭრავალი წამალი შეასვეს ექიმებმა ავადმყოფს, მაგრამ ფადიშაჰის ასულს არაფერი შველოდა. მისი კვნესა და მუდარა იქაურობას აყრუებდა და საცოდავ მამას გულს უბრუნებდა. ბოლოს ფადიშაჰმა ქალაქში დაგზავნა მაცნეები და ხალხს აუწყა: — ვინც ჩემს ქალიშვილს ამ სენისაგან განკურნავს, თუ მუსულმანია, ცოლად გავატან, თუ სხვა რჯულისაა, უამრავ ქონებას მივცემ და ყველა სურვილს შევუსრულებო.

როდესაც შეშის მჭრელმა ამ ამბავს ყური მოჰკრა, სასახლეს მიაშურა და ფადიშაჰს მიმართა: — ყოვლისმძლეო ფადიშაჰო, ალაჰის ნებართვით მე თქვენს ასულს ვუმკურნალებ და კიდეც მოვარჩენო! — გაუხარდა ფადიშაჰს, შეშის მჭრელს მაშინვე თავისი სნეული ქალი უჩვენა და დიდ წყალობასაც დაჰპირდა.

შეშის მჭრელმა ამოიღო ჯიბიდან ეშმაკის ჩაცემული ფოთლები, ერთი ფოთოლი წყალში დაალბო, გასრისა და ფადიშაჰის ასულს ტანზე წაუსვა. სულ ცოტა ხანში ქალს ტკივილები გაუყუჩდა და კარგად გახდა. ფადიშაჰმა გაჯანსაღებული ქალიშვილი რომ დაინახა, დაპირებისამებრ შეშის მჭრელს მიათხოვა და დიდი ქორწილი გადაუხადა. შეშის მჭრელმა შეშის ჭრას თავი დაანება და სასახლეში უდარდელ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

ამ ფადიშაჰს ერთი მეგობარი ფადიშაჰი ჰყავდა. მისი ასული იმ ეშმაკს შეჰყვარებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. არ მოეშვა ეშმაკი, ვიდრე ეს ქალიც მძიმედ არ დაასნეულა და ლოგინად არ ჩააგდო. ფადიშაჰს გაგონილი ჰქონდა, რომ მისი მეგობარი ფადიშაჰის ქალიშვილიც ამ დღეში იყო, მაგრამ მისმა ახლანდელმა სიძემ ქალი რაღაცა წამლით მოარჩინა. გამწარებულმა ფადიშაჰმა თავის მეგობარს შეუთვალა: თუ ჩემი სიყვარული გაქვს, შენი სიძე ცოტა ხნით ჩემთან გამოგზავნე, იქნებ ჩემს ქალსაც რამე უშველოსო! — ფადიშაჰმა მეგობარს თხოვნა შეუსრულა და სიძე გაუგზავნა.

მივიდა შეშის მჭრელი ფადიშაჰის ავადმყოფ ქალთან და დაინახა, რომ ის ეშმაკიც იქ არის. ეშმაკს ეწყინა, რომ შეშის მჭრელი ახლა ამ ქალის მოსარჩენად მოვიდა და კაცს გაბრაზებით შეუტია: ვაჰ, მე ამდენი სიკეთე გაგიწია და შენ კი ამ ქალის წართმევასა ცდილობ. ფადიშაჰის ასული მე გაგიყენებით მიყვარს და შენ რაც არ უნდა გაუკეთო, მე მაინც თავს არ დავანებებ. თანაც წავალ. შენს მეორე ცოლს კვლავ ხელში ჩავიგდებ და მაშინ ნახე, თუ რამეს უშველიო.

---

[1] სასულიერო პირი, მასწავლებელი.

შეეშინდა შეშის მჭრელს, მაგრამ არ დაიბნა და ეშმაკს უპასუხა: — ჩემი აქ მოსვლის მიზეზი ქალის მორჩენა არ არის. ჭაში რომ ქალი ჩავარდა, ის ჩემი ცოლი იყო. ჭაში მე ჩავაგდე, მინდოდა იმის კლანჭებიდან თავი დამეხსნა. მაგრამ იმ ქალმა, როგორღაც ჭიდან ამოსვლა მოახერხა და ისევ ჩემთან მოვიდა. გვერდიდან არა მშორდება, სულ თან დამდევს. ახლაც იმას გამოვექეცი და აქ შენთან მოვედი, იქნებ რამე იღონო და იმისი ხელიდან გამათავისუფლო, აი, სადაცაა ისიც აქ გაჩნდებაო.

ეშმაკმა გაიგონა თუ არა, ის ქალი აქ უნდა მოვიდესო, შეჰყვირა:

— სანამ მე იმ ქალის ხელიდან თავი გავითავისუფლე, ჩემი დამემართა და კიდევ აქ უნდა დავინახო? არა, აქ გაჩერებას ვერ შევძლებ, ეს ადგილი ჩემთვის ჰარამიაო! — მოხსნა ფადიშაჰის ასულს ჯადო და სასახლიდან სამუდამოდ გადაიკარგა.

ფადიშაჰის ასული გათავისუფლდა თუ არა ეშმაკისაგან, ტკივილებიც მოეშვა. გაიხარეს ფადიშაჰმა და სულთან ხანუმმა.[1] სიხარულის ნიშნად სამი დღე ქალაქში დღესასწაული გამოაცხადეს და თავისი ასულიც შეშის მჭრელს ცოლად შერთეს. გადაუხადეს დიდი ქორწილი, ლხინი და დროსტარება ორმოცი დღე-ღამე გრძელდებოდა. ასე გათავისუფლდა საწყალი შეშის მჭრელი აშარი ცოლისაგან. კეთილ ცოლებთან კი სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდა.

იმათ ქორწილზე მეც ვიყავი, ცოტაოდენი ფლავი მეც მიწილადეს. უკან რომ ვბრუნდებოდი, გზაში ერთი ძაღლი მეცა, ხელში რომ ფლავი მეჭირა, დამებნა, გავიქეცი. წინ ერთი თაგვი შემომხვდა. თაგვმა აქეთ-იქით იწყო ხტუნვა. უცებ ერთი არაბი გამოჩნდა. არაბმა თაგვის მოკვლა განიზრახა; თაგვი შიშისაგან ცხვირში მეცა. ამიტყდა ცხვირის ცემინება. გაჯავრდა არაბი: ალაჰმა დაგწყევლოსო! მომაძახა და ერთი ისეთი სილა მითავაზა, რომ სიმწრით თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა.

ასე რომ, კარგად იცოდე, ქორწილში თუ წახვალ, ფრთხილად იყავი, შენც ჩემნაირი ამბები არ დაგემართოს. თაგვი შენც არ შეგიძვრეს ცხვირში.

---

[1] სულთანის ცოლი ან ქალიშვილი.

კანდეჰირის[1] ფადიშაჰის ასული

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი ფადიშაჰი. მემკვიდრე არა ჰყავდა და ამით ძლიერ დადარდიანებული იყო. ერთ დღეს ფადიშაჰმა ვეზირს უთხრა:

— ვეზირო, შენც ჩემსავით უშვილო ხარ, მოდი, წავიდეთ, ქვეყანა მოვიაროთ, ვნახოთ ერთი ალაჰი რას მოგვცემსო!

დაჰყვა ვეზირიც ფადიშაჰის ნებას. ადგნენ და ერთად წავიდნენ სამოგზაუროდ. იარეს, იარეს და ერთ გაშლილ ველზე წყაროს წაადგნენ.

— მოდი, ვეზირო, ამ წყაროსთან ცოტა შევისვენოთო, — უთხრა ფადიშაჰმა ვეზირს.

ორივენი ხის ქვეშ ჩამოსხდნენ. უცებ მათ ერთი დერვიში[2] გამოეცხადათ და ფადიშაჰს მიესალმა. ფადიშაჰმა სალმითვე უპასუხა და ჰკითხა:

— დერვიშ ბაბა,[3] შენ გამოიცანი, რომ მე ფადიშაჰი ვარ. ალბათ ისიც გეცოდინება, რა დარდი მაწუხებსო.

დერვიშმა უპასუხა:

— ჰოი, დიდებულო მბრძანებელო, შენ აქ იმიტომ ხარ მოსული, რომ სასახლეში გული არ გიდგება, მემკვიდრე არა გყავს.

ამის თქმაზე დერვიშმა უბიდან ორი ვაშლი ამოიღო, ერთი ფადიშაჰს გაუწოდა, მეორე ვეზირს და დაარიგა:

— ეს ვაშლები სასახლეში წაიღეთ, ნახევარი თქვენ ჭიირთვით, ნახევარი კი თქვენს ცოლებს აჭამეთ. ალაჰი აუცილებლად თითო მემკვიდრეს მოგცემთო.

ესა თქვა დერვიშმა და წავიდა.

---

[1] იგივე კანდაჰარი, ქალაქი სამხრეთ ავღანისტანში.

[2] მუსლიმანთა ბერი სუფისტი. მოხეტიალე დერვიშები განთქმული იყვნენ მკითხაობით, შელოცვებით, ექიმბაშობით და ხალხი მათ ჯადოქრებადაც სთვლიდა.

[3] მამა. ამ შემთხვევაში — მამაო (მიმართვა სასულიერო პირისადმი).

ფადიშაჰი და ვეზირი სასახლეში დაბრუნდნენ. იმ ღამეს ნახევარ-ნახევარი ვაშლი ცოლებს შეაჭამეს და დაწვნენ.

ცხრა თვის თავზე ორივეს ვაჟები შეეძინა. დიდად გაიხარეს ფადიშაჰმა და ვეზირმა. დიდი ზეიმი გამართეს, დიდი ლხინი გადაიხადეს.

მათი ბავშვები ერთად იზრდებოდნენ. როდესაც ცოტა წამოიზარდნენ, სწავლაც დააწყებინეს. ასე გადიოდა დრო.

ვაჟები უკვე თორმეტ-თორმეტი წლისანი გახდნენ. ისინი დღე და ღამე ერთმანეთს ვერა სცილდებოდნენ.

ერთ დღეს, როდესაც ბაზარში სეირნობდნენ, დაინახეს, რომ ერთ კაცს ხელში პატარა ლამაზი ყუთი უჭირავს და ჰყიდის. კაცმა ყუთი ასი ლირა დააფასა. შაჰზადემ[1] ყუთის ყიდვა მოინდომა. ვეზირის ვაჟმაც მოუწონა აზრი. ბიჭებმა ყუთი იყიდეს, სასახლეში წაიღეს და თავიანთ ოთახში დადეს. როცა ვეზირის შვილი ოთახიდან გავიდა, შაჰზადემ გაიფიქრა: „ამ ყუთში ნეტავ რა არის, მოდი გავხსნი და ვნახავო". მივიდა და ყუთს სახურავი ახადა. ყუთში ლამაზი ქალის სურათი იყო. ვაჟმა სურათს დახედა თუ არა, გრძნობა დაკარგა და დაეცა. ამ დროს მოვიდა ვეზირის შვილიც. შაჰზადე ამ ყოფაში რომ ნახა, შეეშინდა, მოიტანა წყალი, ასხურა სახეზე და როგორც იყო, გონზე მოიყვანა.

— ძმაო, მე ამ სურათმა გონება დამაკარგვინა. რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა წავიდე და ეს ქალი ვიპოვოო, — უთხრა შაჰზადემ თავის მეგობარს და ქალის სურათი აჩვენა. სურათს ქვემოთ, კუთხეში ეწერა: „კანდეჰირის ფადიშაჰის ასული". ბევრი ელაპარაკა ვეზირის ვაჟი, ბევრი ურჩია ამ საძნელო საქმეს თავი დაანებე, ცოდო ხარ, ეს დიდ უბედურებას დაგატეხს თავსო, შაგრამ ვერას გახდა. შაჰზადემ მის მუდარას ყური არ ათხოვა.

— მე მივდივარ, შენ კი როგორც გინდა ისე მოიქეცი, — უპასუხა და წასასვლელად მოემზადა. რას გააწყობდა ვეზირის ვაჟი! შაჰზადეს მარტო ვერ გაუშვებდა. ადგნენ ორივენი ერთად, შუაღამისას შეკაზმეს ცხენები, არავის არაფერი უთხრეს და სასახლიდან გავიდნენ.

ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ ქალაქში მივიდნენ. ქუჩაში ერთი დედაბერი შემოხვდათ.

— დედი, ამაღამ სტუმრად ხომ არ მიგვიღებო? — ჰკითხეს მათ დედაბერს.

— შვილო, ერთი პატარა ქოხი მაქვს, თავს რომ ქოხში შევყოფ, ფეხები გარეთ მრჩება და თქვენ სადღა მოგათავსოთ, — უპასუხა ქალმა.

შაჰზადემ დედაბერს ერთი მუჭა ოქრო აჩუქა. დედაბერმა ფული რომ დაინახა, მოლბა და ძმობილები სახლში წაიყვანა. შაჰზადე სიყვარულისაგან ისე იყო გაგიჟებული, რომ ვერა ჩერდებოდა, სულ ტიროდა. მოხუცმა ქალმა ვაჟი ამ მდგომარეობაში რომ ნახა, ჰკითხა:

— შვილო, რა მოგივიდა, რა გატირებსო.

---

[1] უფლისწული.

ვაქმა ჯიბიდან ქალის სურათი ამოიღო და აჩვენა დედაბერს.

— დედი, აი, ეს ქალი შემიყვარდა, მის საძებნელად ვარ წამოსული. თუ ვერ ვიპოვი, თავსაც აღარ ვიცოცხლებო.

დედაბერმა დახედა სურათს და ვაქს უთხრა:

— შვილო, ეს ქალი ჩვენი ქალაქის ფადიშაჰის ასულია. ამ კვირას ათხოვებენ. მე სასახლეში ყოველდღე დავდივარ. 'მენ ნუ გეშინია, ხვალ დილით შენც თან წაგიყვან და როგორმე ფადიშაჰის ქალიშვილს შეგახვედრებო.

ვაქი გადაეხვია დედაბერს, თავიდან ფეხებამდე დაჰკოცნა და დიდი გასამრჯელო აღუთქვა.

გათენდა მეორე დილა. დედაბერი ფადიშაჰის სასახლისაკენ გაეშურა. სასახლეში მოხუცს ფადიშაჰის ცოლი და ასული დიდის ამბით შეხვდნენ.

— მობრძანდი, დიდედო, რამდენი ხანია აღარ გამოჩენილხარ, რასა იქმ, ხომ კარგადა ხარო? — მოიკითხეს ქალებმა და დედაბერს საუბარი გაუბეს. ბოლოს, როგორც იქნა, მოხუცმა ფადიშაჰის ასული დაიმარტოხელა, იხელთა ლრო და ვაქის შესახებ სიტყვა ჩამოუგდო.

— განა შენ, არ იცი, რომ მე დანიშნული ვარ და ამ კვირას მათხოვებენ?— უპასუხა ქალმა. მაგრამ დედაბერმა მის სიტყვებს ყური არ ათხოვა.

— შვილო, ერთი ახალგაზრდა ბიჭია, შენი სურათი უნახავს და თავდავიწყებით შეპყვარებიხარ. მხოლოდ ერთხელ უნდა შენი ნახვა. დღედაღამ ტირის, ცრემლის ნაცვლად სისხლსა ღვრის, მოდი, შვილო, ხათრს ნუ გამიტეხ და ამ ვაქს, ერთხელ მაინც დაანახვე შენი სახე.

ვეღარ გაუძლო ქალმა დედაბრის მუდარას და მოხუცს უთხრა:

— დედი, მე ხვალ მავან და მავან ქალაქში მივდივარ. იმ ქალაქის ფადიშაჰი ჩემი საქმროა და მოუთმენლად მელის საქორწინოდ, მაგრამ იმ ვაქს თუ ჩემი ნახვა აგრერიგადა სწადია, მაშინ მავან ადგილას რომ ბნელი აკლდამაა, იქ მოვიდეს. როდესაც იმის წინ გავიელით, ეტლიდან გადმოვალ, შიგ შევალ და იმ ვაქს იქ ვნახავ.

მოხუცი ადგა, შინ დაბრუნდა და ქალის ნათქვამი ვაქს გადასცა. გაუხარდა შაჰზადეს. შუაღამისას ადგნენ ვაქები, ცხენები დედაბრის სახლში დატოვეს და დანიშნულ ადგილისაკენ გაემართნენ. ფადიშაჰის ასულიც ადგა დილით, ჩაიცვა, მოიკაზმა და საქორწინო ამალასთან ერთად ეტლში ჩაჯდა. გზას გაუდგნენ. როდესაც ბნელ სამარხს გაუსწორდნენ, პატარძალმა ეტლი გააჩერებინა და მხლებლებს მიმართა:

— მე ცოტა ხნით აკლდამაში შევალ, თქვენ კი აქ მომიცადეთო.

ქალი შევიდა აკლდამაში და კარი გამოიკეტა. შაჰზადე და ვეზირის ვაქი უკვე იქ იყვნენ. ფადიშაჰის ასულმა როგორც კი პირველი შაჰზადე დაინახა, სიყვარულის ცეცხლი მოედო და ვაქს გადაეხვია. მიჯნურებმა დაუწყეს ერთმანეთს ალერსი და ხვევნა-კოცნა. როდესაც გული იჯერეს, დაწვნენ და დაიძინეს. ვეზირის ვაქი კარებთან მცველად დადგა.

ამასობაში პატარძლის მხლებლები ლოდინით დაიღალნენ, ადგნენ და დაუწყეს კარზე კაკუნი:

— შაჰის ასულო, გვაგვიანდება, გამობრძანდი, გზას გავუდგეთო. — მაგრამ მიჯნურებს ტკბილად ეძინათ და ამ ქვეყნისა არა ესმოდათ რა. ვეზირის ვაჟი შეფიქრიანდა, აღარ იცოდა, რითი ეშველა მეგობრისათვის. ჩქარა ქალის მხლებლები კარებს შემოამტვრევდნენ და შაჰზადეც და ფადიშაჰის ასულიც დიდ ხიფათში აღმოჩნდებოდნენ. კარგა ხანს იფიქრა ერთგულმა ყმამ და გამოსავალი იპოვა: მივიდა მძინარე ქალთან, გახადა საქორწინო ტანსაცმელი, მერე თვითონაც გაიხადა, ქალის ტანსაცმელი თვითონ ჩაიცვა, თავისი კი ქალს გვერდით დაუწყო და გარეთ გამოვიდა.

— ძალიან დაგაგვიანდათ, სულთან ხანუმ, ქალაქში როდის მივალთ? — შეეგებნენ მხლებლები, მაგრამ ვაჟმა, ვითომ აქ არაფერიაო, უპასუხა:

— დიახ, დამაგვიანდაო, — და საპატარძლოს ეტლში ჩაჯდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფადიშაჰის ასულსა და შაჰზადეს გამოეღვიძათ. ქალმა მიმოიხედა და წამოიძახა:

— ვაი, შაჰზადე, ეს რა მოგვსვლია, რამდენი ხანი გასულაო.— შემდეგ დაიხედა ტანზე და მთლად შიშველი რომ ნახა თავი, დაიყვირა:

— გავუძარცვივართ, ჩემი ტანსაცმელი სულ წაუღიათო!

მაგრამ შაჰზადემ ქალის გვერდით დალაგებული ვეზირის ვაჟის სამოსი დაინახა და ფადიშაჰის ასულს დამშვიდება დაუწყო:

— ნუ გეშინია, შენი ტანსაცმელი ჩემს მეგობარს ჩაუცვამს და შენს მაგივრად პატარძლად ის წასულა. ის იქ თავის თავს უშველის, ჩვენ კი ნუ დავაყოვნებთ, აქედან გავიქცეთო.

წამოიყვანა შაჰზადემ ქალი და თავისი ნაცნობი მოხუცი ქალის სახლში მიიყვანა. მოხუცმა ქალ-ვაჟს ერთი ოთახი მიუჩინა. შაჰზადე და ფადიშაჰის ასული ბედნიერ ცხოვრებას მიეცნენ.

ვეზირის ვაჟი მექორწინეებთან ერთად მშვიდობით ჩავიდა ქალაქში და ფადიშაჰის სასახლისაკენ გაემართა. სასახლეში დიდი საქორწინო სამზადისი იყო. პატარძლის ტანსაცმელში გამოწყობილი ვეზირის ვაჟი ცალკე ოთახში შეიყვანეს. ვაჟმა ითხოვა „მგზავრობით ძლიერ დაღლილი ვარ და ორმოცი დღე დამაცადეთ, ცოტას დავისვენებ და შემდეგ ვიქორწინოთო“. ფადიშაჰმაც პატარძლის თხოვნა შეასრულა და ქორწილი ორმოცი დღით გადადო.

ფადიშაჰს ერთი ლამაზი და ჰყავდა. ახალგაზრდა ქალს უხაროდა ძმის ბედნიერება და მთელ დღეებს პატარძალთან ატარებდა. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ პატარძლის ტანსაცმლის ქვეშ მშვენიერი ვაჟკაცი იმალებოდა. ვეზირის ვაჟი და ფადიშაჰის და ბაღში ხშირად გამოდიოდნენ და აუზთან სხდებოდნენ. ერთხელ, როდესაც ისინი აუზთან ისხდნენ, ხეზე ერთი ჩიტი ჩამოჯდა და გალობა დაიწყო. ვეზირის ვაჟმა გაიცინა და ქალს უთხრა:

— იცი, ამ ჩიტმა რა თქვა? ესენი რომ აუზში ჩავიდნენ და იბანაონ, ერთ-ერთი მათგანი კაცად იქცევა და ერთმანეთს შეირთავენო.

ქალს გაუხარდა და შესძახა:

— მოდი ერთი, ვცადოთ, ვიბანაოთო.

მაგრამ ვეზირის ვაჟი გაინაზა:

— არა, მე რომ კაცად ვიქცე, შენ ცოლად აღარ წამომყვებიო.

ქალმა ხვეწნა-მუდარა დაუწყო:

— მოდი, ვიბანაოთ და თუ მე ვიქეცი კაცად, შენ ცოლად შეგირთავ, თუ შენ იქცევი კაცად, მე ცოლად წამიყვანეო.

მოილაპარაკეს, შეჰფიცეს ერთმანეთს და აუზში ჩავიდნენ. იბანავეს და აუზიდან რომ ამოვიდნენ, ქალმა დაინახა, რომ მისი სარძლო კაცად ქცეულიყო.

— ვაიმე, დაო! — შესძახა მან. — ალაჰმა შენ კაცად გაქცია. მე სიტყვა შოგეცი და ახლა ცოლად უნდა გამოგყვე, მაგრამ თუ გაგვიგეს, ერთმანეთს არ მიგვცემენ. სანამ არავის დავუნახივართ, მოდი, აქედან გავიქცეთ.

შესხდნენ ვეზირის ვაჟი და ფადიშაჰის და ცხენებზე და ქალაქიდან გავიდნენ.

იარეს, იარეს და ისინიც იმ მოხუცის სახლში მივიდნენ, სადაც შაჰზადე და ფადიშაჰის ასული ცხოვრობდნენ. ძალიან გაუხარდათ ძმობილებს ერთმანეთის ნახვა და გადაწყვიტეს მეორე დილას დაეტოვებინათ უცხო ქალაქი და სასახლეში დაბრუნებულიყვნენ. მეორე დილით მისცეს მოხუც ქალს ცოტაოდენი ოქრო, შესხდნენ ცხენებზე და გზას გაუდგნენ.

ფადიშაჰის სასახლეში კი პატარძალსა და ფადიშაჰის დას ეძებდნენ. ეძებეს, ეძებეს, მაგრამ მათ კვალსაც კი ვერ მიაგნეს. „ეჰ, აქ რაღაც ამბავიაო“, — გაიფიქრა ფადიშაჰმა და ქალის მამას ამბავი აცნობა. გაჯავრდა ფადიშაჰი, „ჩემმა ქალმა გაქცევა როგორ გაბედაო“ და მდევარი დაადევნა, მაგრამ ამაოდ. ქალ-ვაჟი უკვე შორს იყო. განრისხებულმა კანდეჰირის ფადიშაჰმა მთელი სამფლობელო ფეხზე დააყენა და თავის ხელქვეითებს უბრძანა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ეპოვათ მისი ასული. დატრიალდნენ ფადიშაჰის მსახურნი. ერთხელ ასე ძებნისას ერთ ჯადოქარს წააწყდნენ.

— ფადიშაჰის ქალიშვილს შე ვიპოვი. ისინი ოთხნი არიან. ოთხივეს დავიჭერ და მოგგვრითო. — უთხრა დედაბერმა ფადიშაჰის მხლებლებს. მდევრებს ომედი მიეცათ.

— აბა შენ იცი. თუ მაგას მოახერხებ და გაქცეულებს გვაპოვნინებ, კანდეჰირის ფადიშაჰი უხვად დაგასაჩუქრებსო, — უთხრეს მათ.

ჯადოქარი მაშინვე დაედევნა გაქცეულებს.

შაჰზადემ, ვეზირის ვაჟმა და ქალებმა ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ წყაროს მიაღწიეს.

— მოდი, აქ ცოტა დავისვენოთო, — თქვეს მათ და წყლის პირას წამოწვნენ. ჩქარა ყველას ძილი მოერია. მხოლოდ ვეზირის ვაჟი ფხიზლობდა. უც-

ბად ხეზე ორი მტრედი ჩამოჯდა. ერთი სულ იცინოდა, მეორე კი ტიროდა.

— აგრე რა გატირებს, გენაცვალე? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— როგორ არ ვიტირო, ხის ძირას ოთხ ახალგაზრდას რომ სძინავს ხომ ხედავ? ესენი, აი, იმ მთას რომ გადაივლიან, ტყიდან ერთი ლამაზი ცხენი გამოხტება. ახალგაზრდებს ცხენი მოეწონებათ და დასაჭერად გამოუდგებიან. სინამდვილეში ეს ცხენი კი არა, ჯადოქარი იქნება. ოთხივეს დაიჭერს და კანდეჰირის ფადიშაჰს მიჰგვრის. ფადიშაჰი კი მათ სიკვდილით დასჯის. ახლა ხომ ხვდები, რა მატირებს, — უპასუხა მტირალმა მტრედმა.

— ჩემო კარგო, ამისთვის რა გატირებს, მაგაზე ადვილი რა არის. ის ცხენი მოკლან და ამით ხიფათს თავიდან აიცილებენ, — თქვა პირმცინარე მტრედმა, მაგრამ მეორემ ტირილი მაინც არ შეწყვიტა:

— ეგ კიდევ არაფერი, ახალგაზრდები მეორე მთას რომ გადაივლიან, წინ ერთი კოხტა ძაღლი დახვდებათ. ახლა იმ ძაღლს გამოეკიდებიან. ეს ძაღლი იგივე ჯადოქარია. ის ამ ახალგაზრდებს დაიჭერს და ფადიშაჰთან მიიყვანს.

მეორე მტრედმა კვლავ სიცილი დაიწყო:

— არც ეგ არის მაინცადამაინც საძნელო. იმ ძაღლს ერთი უნდა შემოჰკრან, მოკლან და გათავისუფლდებიანო, — ჩაიკისკისა პირმცინარე მტრედმა, მაგრამ მეორე მაინც ტირილით მოსთქვამდა:

— ამით ყველაფერი არ გათავდება. როდესაც შაჰზადე და ფადიშაჰის ასული იქორწინებენ, ქორწილის ღამეს მოვა ის ჯადოქარი, ორივეს მოიტაცებს თავიანთი ლოგინიანად და წაიყვანს. მაშინ ამ საცოდავებმა რა უნდა ჰქნან?

— რა უნდა ჰქნან და ჯადოქარს უნდა დაარტყან რამე და მოჰკლან. ამის შემდეგ სამუდამოდ თავისუფალი იქნებიან, — მიუგო პირმცინარემ.

— ვინც ჩვენს ნათქვამს გაიმეორებს, ქვად იქცევაო. — თქვეს მტრედებმა, შეიფრთხიალეს და გაფრინდნენ.

როდესაც ვეზირის შვილმა ეს სიტყვები გაიგონა, მძინარე მეგობრები გააღვიძა და საჩქაროდ გზის გაგრძელება ურჩია.

შესხდნენ ოთხივენი ცხენებზე და გზას გაუდგნენ. იარეს, იარეს და ერთი მთა გადაიარეს. უცებ ტყიდან ერთი მშვენიერი ცხენი გამოხტა. შაჰზადემ ცხენი რომ დაინახა, შეჰყვირა:

— ეს რა ლამაზი ცხენია, მოდი, დავიჭიროთ!

მაგრამ ვეზირის შვილმა არ გაუშვა:

— შენ აქ გაჩერდი, მე მას ახლავე დავიჭერო, — უპასუხა მან და როგორც კი მიუახლოვდა ცხენს, იძრო ხმალი, ერთი დაჰკრა და სული გააფრთხობინა. შაჰზადეს და ქალებს ძალზე გაუკვირდათ ვეზირის ვაჟის საქციელი, მაგრამ არაფერი თქვეს. ადგნენ და ისევ განაგრძეს გზა. გადაიარეს მეორე მთაც. ახლა მათ კოხტა ძაღლი შემოხვდათ წინ. მოეწონა შაჰზადეს ეს ძაღლიც. მოინდომა მისი დაჭერა, მაგრამ ვეზირის შვილმა არ დაანება:

— შენ აქ მოიცადე, მე მოგიყვანო, — უთხრა და ძაღლისაკენ წავიდა. ახლო რომ მივიდა, იძრო ხმალი და ისიც მოკლა. შაჰზადე ძაღლის ლეშის დანახვაზე ისე შეშინდა, რომ გაქცევაც კი დააპირა. ვეზირის ვაჟმა კიდევ გააფრთხილა მეგობარი: —შაჰზადე, ასეთმა რამეებმა არ შეგაცდინოს, ესენი ჩვენი მტრები არიან და ფრთხილად იყავიო.

ოთხივემ გზა განაგრძო. იარეს, იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და შაჰზადეს მამის სამფლობელოს მიადგნენ. ვაჟების დაბრუნება მაშინვე ფადიშაჰს ახარეს: — შაჰზადე და ვეზირის ვაჟი საღსალამათები დაბრუნდნენო. გახარებული ფადიშაჰი შეეგება შვილს, გადაეხვია და გადაჰკოცნა.

— შვილო, ამოდენა ხანი სად იყავი, მე სულ გზისკენ მრჩებოდა თვალი. — უსაყვედურა მამამ შვილს.

შაჰზადემ მამას კანდეჰირის ფადიშაჰის ასული აჩვენა და უთხრა:

— მამი, აი, საცოლე ჩამოვიყვანე და ქორწილის თადარიგს შევუდგეთო.

ფადიშაჰმა მოუწონა არჩევანი და დიდი ქორწილიც გადაუხადა. ქორწილი ორმოც დღესა და ღამეს გაგრძელდა. ბოლოს ნეფე-დედოფალი ცალკე ოთახში მოათავსეს. ვეზირის შვილმა როგორღაც მოახერხა და დილიდანვე შაჰზადეს საწოლ ოთახში დაიმალა. დაღამდა. ნეფე-პატარძალმა დაიძინა. შუაღამისას უცებ ოთახის ჭერმა ერთი საშინელი დაიჭრიჭინა და გაიხსნა. აიხედა დამალულმა ვეზირის შვილმა და დაინახა, რომ ერთი რაღაც უმსგავსო ჯოჯო ზემოდან საწოლისაკენ დაეშვა. ჯადოქარი ისეთი შესაზარი რამ იყო, რომ სახეზე არ შეეხედებოდა. დედაბერი მიუახლოვდა საწოლს, მძინარეებს საბანი გადახადა და ის იყო ჰაერში უნდა აეტაცნა, რომ ვეზირის შვილმა შემოუქნია ხმალი და იქვე მოკლა. ვეზირის შვილი მაშინვე შეუმჩნეველად გამოვიდა იქიდან, შევიდა თავის ოთახში და დაწვა.

გათენდა მეორე დილა. გაიღვიძა ნეფე-პატარძალმა და საწოლთან საზარელი ლეში რომ დაინახეს, ისე შეეშინდათ, საბანი თავზე წაიხურეს და განძრევაც კი ვერ გაბედეს. ბევრი უცადეს ნეფე-დედოფალს, აი, ახლა ადგებიან და გამოვლენ, აი, ახლაო, მაგრამ ნეფე-დედოფლის ოთახიდან ჩამი-ჩუმიც კი არ ისმოდა. ბოლოს შეამტვრიეს კარი და ოთახში შევიდნენ, მაგრამ დაინახეს თუ არა იმ ჯადოქრის ლეში, მაშინვე შიშით უკან გამოცვივდნენ. დაიწყო ერთი მითქმა-მოთქმა:

— ეს ლეში აქ ვინ მოიტანაო! — მაგრამ ამაზე პასუხის გამცემი არავინ იყო.

დიდებულებს შურდათ, რომ შაჰზადეს ვეზირის ვაჟი ძალიან უყვარდა და იფიქრეს: „მოდი, ამ ლეშის მოტანა ვეზირის შვილს დავაბრალოთ და იქნებ ამითი მაინც მოვიშოროთ სასახლიდანო“. გადაწყვიტეს და შეასრულეს კიდეც. მივიდნენ და ფადიშაჰს მოახსენეს:

— დიდებულო ფადიშაჰო, ამ ჯადოქრის ლეში ვეზირის შვილმა შეიტანა

შაჰზადეს ოთახში, რადგან უნდოდა, შიშისაგან შაჰზადე მომკვდარიყო და მისი ლამაზი ცოლი კი მას დარჩენოდაო.

იმდენი ელაპარაკეს ფადიშაჰს, რომ დაარწმუნეს ვეზირის შვილის ვერაგობაში. ფადიშაჰმა იხმო ვეზირის შვილი და ჯალათებს უბრძანა მისთვის თავი მოეკვეთათ. ბევრი ეხვეწა, ემუდარა შაჰზადე მამას:

— ვეზირის შვილი ამის გამკეთებელი არ არის, მან ბევრი სიკეთე მიყო და ბევრ ხიფათსაც გადამარჩინაო, — მაგრამ ფადიშაჰს გული მაინც ვერ მოულბო.

ვეზირის შვილმა იფიქრა, ხომ მაინც ეკვდები და ბარემ ყველაფერს ვიტყვიო, ქვად ვიქცევი, დანის სიმწარეს ხომ მაინც ვერ ვიგრძნობო, და უამბო, რაც კი თავს გადახდათ მას და შაჰზადეს სასახლიდან გამოსვლის დღიდან. უამბო თუ არა მტრედების ამბავი, მათი საუბარიც, ვაჟი მუხლებამდე ქვად იქცა.

— შვილო, მეტს ნულარ მეტყვი, ახლა კი ნამდვილად მჯერა, რომ ჩემი შვილის მტერი კი არა, მეგობარი ყოფილხარო, — უთხრა ფადიშაჰმა, მაგრამ ვეზირის ვაჟმა უპასუხა:

— ახლა რაღა დროსია, მუხლებამდე ქვა ვარ და ბარემ ყველაფერს ბოლომდე გეტყვიო. — დაამთავრა თუ არა ვაჟმა თავისი ამბავი, სულ მთლად გაქვავდა. შემოიკრა თავში ხელი ფადიშაჰმა, იტირა, ივაგლახა შაჰზადემ, მაგრამ რას გახდებოდნენ. მეგობარს ვერა უშველეს რა. მეტი რა გზა ჰქონდა შაჰზადეს, ბაღში ააშენა აკლდამა, შიგ მოათავსა თავისი გაქვავებული მეგობარი და თვითონაც დღე და ღამე გვერდიდან არა სცილდებოდა.

გავიდა შვიდი წელიწადი. ერთ დღეს, როდესაც შაჰზადე ასე იჯდა თავის გაქვავებულ მეგობართან, კარი გაიღო და სამარხში ერთი თეთრწვერა მოხუცი შემოვიდა. როდესაც შაჰზადემ შემოსული დაინახა, ფეხზე წამოდგა და ხელზე ემთხვია. მოხუცმა ჰკითხა:

— შვილო, რა გატირებსო!

შაჰზადემაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო:

— შვილო, მაგის გაცოცხლება ძალიან ადვილია. შვიდი წლის ბავშვი მოიყვანე და ამ ქვას დააკალი, მისი სისხლი ქვას დაადნობს და შენი მეგობარიც მაშინვე გაცოცხლდებაო.

შაჰზადეს სწორედ შვიდი წლის ვაჟი ჰყავდა და დერვიშმა ამ ბავშვის დაკვლა მოსთხოვა.

შაჰზადე მაშინვე შეევარდა სასახლეში და ბავშვი მოიკითხა.

— ამდენი ხანია ბავშვისთვის ზედაც არ შეუხედავს და ახლა ალბათ ქეიფს აწყობსო, — იფიქრეს გამზრდელებმა, ბავშვი ლამაზად მორთეს და შაჰზადეს მიჰგვარეს.

შაჰზადემ მომვლელებს ბავშვი გამოართვა და ქვაზე ყელი გამოსჭრა. ბავშვის სისხლმა ქვა დაადნო და ვეზირის შვილი გააცოცხლა.

— ჰეი, შაჰზადეე, ეს რა ჰქენი. ბავშვი რად დაღუპე, მე ამ ქვაში ძალიან

მოსვენებულად ვიყავი, აღარაფერი მაწუხებდა, — უსაყვედურა ვეზირის შვილმა შაჰზადეს, მაგრამ შაჰზადემ უპასუხა:

— მეგობარო, ასი შვილი რომ მყავდეს, ყველას თავს შემოგავლებდი, ოღონდ შენ იყავ კარგადო.

ამ დროს ის დერვიში კვლავ შემოვიდა აკლდამაში და ვაჟებს მიმართა:

— მოდით, შვილებო, მე ვილოცებ, თქვენ კი „ამინი“ თქვით, იქნებ ალაჰმა ეს ბავშვი კვლავ გააცოცხლოსო.

მოხუცმა დაიწყო ლოცვა. შაჰზადემ და ვეზირის შვილმა „ამინ“ თქვეს. დერვიშმა ბავშვის თავი ტანს შეაწება და ხელი გადაუსვა. მართლაც, ბავშვი თითქოს ძილისაგან გამოფხიზლდა, წამოდგა და მამას შემოეხვია. მოხუცი ისევ გაუჩინარდა. გამოვიდნენ ყველანი ერთად სამარხიდან და ფადიშაჰთან მივიდნენ. ფადიშაჰმა მათი ნახვით ძალზე გაიხარა, გადაეხვია და ყველა გადაკოცნა. ამ სიხარულს ფადიშაჰმა ისიც დაუმატა, რომ ვეზირის ვაჟს თან წამოყვანილი ფადიშაჰის და შერთო ცოლად და გადაუხადა დიდი ქორწილი, რომელიც ორმოც დღე-ღამეს გაგრძელდა.

სამი ფერია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფადიშაჰი. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ერთ დღეს ფადიშაჰი ავად გახდა და მალე სული ალაჰს ჩააბარა. იგლოვეს შვილებმა და დიდის პატივით დამარხეს. დასაფლავების შემდეგ შვილებმა მამის დატოვებული ქონება გაიყვეს და ვისაც როგორ შეეძლო ისე დაიწყო ცხოვრება. უფროსმა ძმებმა საქმეს მოკიდეს ხელი და მამისეულ ქონებას თუ არა შემატეს, არც არა დაუკლიათ რა. უმცროსი ძმა კი ერთი ქარაფშუტა და დარდიმანდი ვინმე იყო, აჰყვა მოქეიფე ხალხსა და ჩქარა მთელი თავისი ქონება გაფლანგა. მალე ულუკმაპუროდ დარჩა. სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, მივიდა უფროს ძმასთან და ცოტაოდენი ფული სთხოვა, მაგრამ ძმამ ლანძღვა-მუქარით გამოისტუმრა. ახლა შუათანა ძმას მიადგა კარზე. შეეცოდა შუათანას და სამადლოდ რამდენიმე ყურუში მისცა. უმცროსმა ძმამ მოიგდო თუ არა ხელში ფული, ისევ თავის ამფსონებთან წავიდა და ის ფულიც იმ დღესვე დახარჯა. მეორე დღეს მოვიდა კვლავ შუათანა ძმასთან, თავი შეაცოდა და ფული სთხოვა. ვერც ახლა უთხრა უარი ძმამ და ცოტაოდენი სახარჯო ფული მისცა. ის ფულიც ისევ ისე მიფლანგა ქეიფსა და დროსტარებაში და მეორე დღეს კვლავ ძმის კარებთან აიტუზა. ახლა კი ვეღარ მოითმინა შუათანა ძმამ, ერთი კარგად გამოლანძღა და გარეთ გაისტუმრა. რა უნდა ექნა უმცროს ძმას, ბევრი იფიქრა, ქეიფს მიჩვეული კაცისათვის ძნელი იყო ერთბაშად დროსტარებაზე ხელისაღება. ადგა, თავის ძველ თანამესუფრეებთან მივიდა და უთხრა:

— ძმებო, დღეს მე ფული არა მაქვს, დღევანდელი საქეიფო ხარჯი თქვენ იკისრეთ და როგორც კი ფული ჩამივარდება ხელში, გაგისწორდებითო.

მაგრამ, როდესაც მისმა ამფსონებმა გაიგეს შაჰზადე გაკოტრებულაო, ზედაც აღარ შეხედეს, ყველამ ზურგი აქცია. ახლა კი ჩაუფიქრდა უმცროსი ძმა თავის საქციელს და მიხვდა დანაშაულს, მაგრამ გვიანღა იყო. — რა ექნა,

ავდგები და გადავიკარგები, ამ სირცხვილს მაინც გავექცევიო, — გადაწყვიტა შაჰზადემ და ღამით ჩუმად გაიპარა ქალაქიდან.

იარა, იარა და ერთ დღეს, როდესაც მინდვრად მიდიოდა, წინ ერთი მშვენიერი ცხოველი გამოეცხადა. ძალიან მოეწონა შაჰზადეს, მისი დაჭერა მოისურვა და უკან დაედევნა. ბევრი სდია უცნაურ ცხოველს, მაგრამ ვერ დაეწია. ბოლოს დაინახა, რომ ცხოველი სადღაც შეძვრა და თვალს მოეფარა. — ახლა კი ხელიდან ვეღარ წამივაო, — გაიფიქრა და ცხოველის კვალს მიჰყვა. უცებ მის თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაიშალა: ვარდებით, სხვადასხვა ყვავილებითა და ხეხილით სავსე ბაღში ცივცივი წყაროები მოჩუხჩუხებენ, ბაღის კუთხიდან ბულბულის საამო გალობა ისმის, ხოლო ბაღის შუაგულში ზურმუხტითა და სხვა ძვირფასი ქვებით ნაგები კოშკია აღმართული. კოშკის წინ მარმარილოს აუზს სამი მხრიდან ნაკადულები ერთვის. გაკვირვებული შესცქეროდა შაჰზადე იქაურობას და თავი სამოთხეში ეგონა. ბაღში არავინ ჩანდა.

— ნეტავ ჩემს აქ შემოსვლას ცოდოდ ჩამითვლიან თუ მადლად? — იფიქრა შაჰზადემ და კოშკში შესვლა მოინდომა. ბევრი უარა გარს, ბევრი ეძება კოშკში შესასვლელი კარი, მაგრამ ვერა და ვერ იპოვა. — აქ რაღაც ამბავია, აქაურობა მთლად უკაცრიელი ხომ არ იქნება? აქვე სადმე დავიმალები, დაველოდები რა მოხდებაო, — გადაწყვიტა ვაჟმა და იქვე ყვავილნარს შეეფარა.

მოსაღამოვდა. უცებ ბაღში სამი მტრედი შემოფრინდა. მტრედები აუზის ნაპირთან დაეშვნენ. იქვე მოჩუხჩუხე წყაროებიდან თითო პეშვი წყალი შესვეს და აუზში ჩაიყურყუმელავეს. წყლის ზედაპირზე ამოყვეს თუ არა თავი, სამი მტრედის მაგიერ უკვე სამი მშვენიერი ქალწული ბანაობდა. ქალებმა ბანაობით გული იჯერეს, აუზის ნაპირას ჩამოსხდნენ და სიცილ-კისკისით გაბეს საუბარი:

— მე დღეს ერთი პირმშვენიერი ვაჟი ვნახე, მაგრამ გარეგნობაზე ეტყობოდა, ძალიან ღარიბი უნდა იყოს, — თქვა ერთმა ქალმა.

— არა, ის ვაჟი ღარიბი კი არ არის, რაღაც გასაჭირი ადგას — თქვა მეორემ.

— მე ის ვაჟი სულ სხვა თვალზე ვნახე, — დაუმატა მესამემ. ამ დროს ქალმა შენიშნა ბუჩქებს უკან მიმალული შაჰზადე და გული აუფანცქალდა. შაჰზადესაც თვალში მოუვიდა უმცროსი ფერია და ქალ-ვაჟს იმ წუთიდან ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ. ქალმა ფერიებს არა უთხრა რა. სიცილ-კისკისით სამივენი კოშკში შევიდნენ. ორმა ფერიამ შემოკრა ტაში და მათ წინ მშვენიერი სუფრა გაიშალა. პატარა ფერია კი ფანჯრიდან გაჰყურებდა ბაღს, სადაც ბუჩქებში დამალული ვაჟი ეგულებოდა, იგი უფროსი დების ნადიმში მონაწილეობას არ იღებდა. ამასობაში შემოღამდა კიდეც. შაჰზადეს ბაღში ჩაეძინა, პატარა ფერიას კი ფანჯარაზე. შაჰზადეს სიზმარში თავისი ფერია გამოეცხადა და უთხრა:

— ჩვენ სამი დანი ვართ, შენ ვიღა ხარ?

— მე მავანი ფადიშაჰის შვილი ვარ, მაგრამ გაკღარიბდი და ბედმა აქეთ გადმომაგდო, — მიუგო ვაჟმა.

— ჩემო შაჰზადეო, ჩემმა დებმა შენი აქ ყოფნა რომ შეიტყონ და გაიგონ მიყვარხარ, ორივეს დაგვხოცავენ. ამიტომ სანამ ჩვენ გვძინავს, ჩვენი ტანისამოსი მოიპარე და დაწვი, მაშინ ჩვენც შენნაირ ადამიანებად ვიქცევით და მეც შემეძლება ცოლად გამოგყვე. ჩემი დები უკვე ვეღარაფერს დამაკლებენ, — ურჩია ფერიამ შაჰზადეს. ვაჟს გაეღვიძა. — ნეტავ ფერიას ნათქვამი სწორია თუ არა? — გაიფიქრა ვაჟმა თავისთვის. როდესაც კოშკში ჩანგის და დაირის ხმა მიწყდა და ფერიებიც ძილს მიეცნენ, ვაჟი ჩუმად გამოვიდა ყვავილნარიდან, დიდი გაჭირვებით იპოვა კოშკის ღია კარები და ზევით ავიდა. კოშკის ერთ-ერთ დარბაზში სამ ფერიას ეძინა. ტანსაცმელიც იქვე ეწყო. შაჰზადემ დიდხანს არ დააყოვნა, მოაგროვა მათი ტანსაცმელი და კოშკიდან გამოვიდა. ვაჟს ტანსაცმლის ბაღში დაწვა შეეშინდა, ამიტომ წაიღო კარგა მოშორებით და იქ წაუკიდა ცეცხლი. დაიწყო თუ არა ტანსაცმელმა წვა, კოშკში ფერიები წივილ-კივილით წამოცვივდნენ და — გვიშველეთ, ვიწვითო! — მორთეს ყვირილი. დაუწყეს ტანისამოსს ძებნა, მაგრამ სადღა იყო. — ეჰ, ვიღაც მტერი შემოგვპარვია, რაღა გვეშველება, — უიმედოდ ამოიოხრეს ფერიებმა და შეშინებულები უარესის მოლოდინში ერთმანეთს გადაეხვივნენ.

შაჰზადემ დაწვა ტანსაცმელი და ახლა ისღა აინტერესებდა, რა მოხდებოდა. გამობრუნდა ისევ კოშკისაკენ და მიუახლოვდა თუ არა იმ ადგილს, სადაც კოშკი იდგა, ვეღარც კი იცნო. იქაურობა სულ გადამწვარიყო, აღარც კოშკი იყო და აღარც აუზი. გადადგა წინ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და დაინახა, რომ მშვენიერი ასულები ერთმანეთს გადახვეულები დგანან და შიშისაგან ცახცახებენ. ვაჟმა ჯერ ვერ გაბედა მიახლოვება, მაგრამ ჩქარა მიხვდა, ფერიები მას რომ ვერას დააკლებდნენ, ქალებთან ახლოს მივიდა და მიმართა:

— ჰეი, ლამაზებო, ნუ გეშინიათ, მე არაფერს არ გავნებთ, ჩვენ ყველანი ადამის შვილები ვართ. მე ორი უფროსი ძმა მყავს. თქვენ უმცროს დას მე შევირთავ ცოლად, თქვენ კი ჩემს ძმებს მიგათხოვებთ და სიკვდილამდე ტკბილად ვიცხოვრებთო.

ფერიებს რაღა ეთქმოდათ, წამოიყვანა შაჰზადემ სამივე და თავისი ქვეყნისაკენ გამოსწია.

ცოტა იარა თუ ბევრი, თავის ქალაქს მიაღწია. შაჰზადემ ფერიები თავის ძმებს მიუყვანა და მათი ცოლად შერთვა შესთავაზა. უფროსმა ძმებმა ორი მზეთუნახავი ფერია რომ დაინახეს, ისე მოეწონათ, რომ გრძნობა დაკარგეს და იქვე ჩაიკეცნენ. მივარდა შაჰზადე თავის ძმებს, წყალი ასხურა და ჩქარა გონს მოიყვანა. უფროსმა ძმებმა მადლობის ნიშნად უმცროსს ათ-ათი ათასი ოქრო უსაჩუქრეს და სამივემ მზეთუნახავი ფერიები შეირთეს ცოლად. ქორწილი ორმოც დღესა და ღამეს გრძელდებოდა.

ვეზირის ორი ვაჟი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფადიშაჰი. ფადიშაჰს ერთი ჭკვიანი ვეზირი ჰყავდა. ვეზირი ცოლ-შვილიანი იყო. მთელ მათ სიმდიდრეს ორი ვაჟი წარმოადგენდა. სილამაზეში ბადალი არ მოეძებნებოდათ, ისე შორს გავარდა მათი სილამაზის ამბავი, რომ სანახავად უამრავი ხალხი მოდიოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან და ორივეს წინაშე ქედს იხრიდა.

ერთ დღეს ვეზირი ავად გახდა და მალე სულიც ალაჰს ჩააბარა. ფადიშაჰმა ორივე ძმა ვეზირებად დაისვა, მათ რჩევა-დარიგებას ყოველთვის ანგარიშს უწევდა და ასე მართავდა სახელმწიფოს.

ერთხელ ფადიშაჰმა სამოგზაუროდ წასვლა განიზრახა. წესადა ჰქოხდათ, უფროსი ვეზირი ფადიშაჰს თან უნდა ხლებოდა. სანამ გზას გაუდგებოდნენ, ერთი დღით ადრე ძმებმა თავი მოიყარეს და მოილაპარაკეს. უფროსმა ძმამ უმცროს უთხრა:

— ძმაო, ალაჰის მადლმა, მოგზაურობიდან დავბრუნდები თუ არა, ორი ლამაზი და მოვძებნოთ და ვიქორწინოთ. ღმერთს შევთხოვოთ, რომ თუ ჩვენ ცოლებს ერთსა და იმავე დროს შეეძინებათ ბავშვები და ჩემი ვაჟი იქნება, შენი კი ქალი, ერთმანეთს შევრთოთ. შენს ქალში რასა მთხოვ, რა გინდა მოგცეო?

— სამი ათას ოქროს, სამ ვენახს და სამ ბალსა გთხოვო,—მიუგო უმცროსმა ძმამ.

— ეჰ, ძმაო, შენ ძალიან ბევრსა თხოულობ, ჩვენ ხომ ერთმანეთისათვის უცხონი არა ვართ, თანაც, სიმართლე უნდა ითქვას, ჩემი ვაჟი უფრო დიდიკაცის შვილი იქნება, ვიდრე შენი ქალი. მე კი არ უნდა გამომართვა, პირიქით, აქეთ უნდა მომცე. შენ კი იმდენი რამე ჩამოთვალე, რომ ალბათ ქალის მოცემა არა გსურს, — ცოტა არ იყოს წყენით უპასუხა უფროსმა ვეზირმა.

— ძმაო, ეგრე რადა ლაპარაკობ? შენი ვაჟი თუ ვეზირის შვილი იქნება,

არც ჩემი ქალი იქნება მასზე ნაკლები. შენ რა, ჭკუა ხომ არ დაგიკარგავს, — უსაყვედურა უმცროსმა ძმამ.

— მე უფროსი ვეზირი ვარ, შენ კი ჩემზე უფრო დაბლა დგახარ და ჩემი ხელქვეითი ხარ, — დაიტრაბახა უფროსმა ძმამ.

უმცროსს ეწყინა ძმის სიტყვები და წალაპარაკდნენ.

— არ გაბ[illegible]ლევ ქალს! — ეესძახა უმცროსმა ძმამ.

— არც მე მიმყავს, — უპასუხა უფროსმა და ძმები ერთმანეთს დასცილ-ღნენ.

გათენდა მეორე დილა. ფადიშაჰი და უფროსი ვეზირი სამოგზაუროდ გა-უდგნენ გზას. უფროსი ძმის სიტყვებით განაწყენებული უმცროსი ვეზირი მარ-ტო დარჩა და ფიქრს მიეცა: — არა, მე აქ აღარ დამედგომება, სადმე უნდა გა-დავიკარგოო, — თქვა და სასახლე მიატოვა. ადგა, ხურჯინი ოქროებით დატე-ნა, შეჯდა ცხენზე და ქალაქგარეთ გაუიდა. დაიარა ახლომახლო სოფლები და ქალაქები, ათვალიერებდა ხალხსა და ადგილებს, მაგრამ არსად არ გაჩერებულა და სულ უფრო შორდებოდა თავის სახელმწიფოს.

ასე იარა უმცროსმა ვეზირმა და ბოლოს ერთ დიდ ქალაქში შევიდა. ღამე ერთ ფუნდუკში გაათია. მეორე დღეს ისევ გზის გაგრძელებას აპირებდა.

ვეზირი ფუნდუკის ეზოში ცხენიდან რომ გადმოხტა, იმ ქალაქის სადრა-ზამმა[1] ფანჯრიდან დაინახა, მოიხმო მეფუნდუკე და ვაჟის ვინაობა იკითხა. მეფუნდუკემ უპასუხა:

— დანამდვილებით არ ვიცი ვინ არის, შეიძლება ვინმე დიდი ვაჭარია. — მაგრამ სადრაზამი ამას არ დასჯერდა, თვითონ მივიდა ფუნდუკში, იკითხა ვა-ჟის ოთახი და მასთან შევიდა. როდესაც ვაჟმა თავის ოთახში ქალაქის სადრა-ზამი დაინახა, ფეხზე წამოდგა და მოკრძალებით დასაჯდომად მიიწვია. სად-რაზამმა ვაჟის მშვენიერ სახეს თვალი ვერ მოსწყვიტა და მისი სილამაზის მზე-რითა ტკბებოდა. ბოლოს, ჰკითხა ვინ იყო და საიდან მოდიოდა. ვაჟმაც არა-ფერი დაუმალა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ვეზირმა ვაჟს მიმართა:

— შვილო, ასე აქეთ-იქით ხეტიალი შენ არაფერს გარგებს, პირიქით, ზიანს მოგიტანს. მე ერთი ქალიშვილის გარდა ამქვეყნად არა მაბადია რა, მო-დი, მოგათხოვებ. მე უკვე ხანში შესული ვარ, სახელმწიფო საქმეებს თავს ვე-ღარ ვართმევ. შენ ჩემს ადგილზე ვეზირადაც დაგსვამ და შვილობასაც გამი-წევ. შენთვისაც ასე აჯობებსო.

სადრაზამმა ვაჟი ფუნდუკიდან წამოიყვანა და თავის სასახლეში მიიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ ფადიშაჰს წარუდგინა და მოახსენა:

— დიდებულო მბრძანებელო, ეს ვაჟი ჩემი ძმისწულია. ახლახან დაბრუნ-და უცხოეთიდან და ჩვენთან დარჩენას აპირებს. მე მსურს ჩემი ქალიშვილი შევრთო, თქვენ ამაზე რას მიბრძანებთო?

---

[1] მთავარი, უფროსი ვეზირი.

ფადიშაჰსაც ძლიერ მოეწონა პირმშვენიერი ვაჟი და ვეზირს სიამოვნებით დაეთანხმა. სადრაზამი და ვაჟი გამოემშვიდობნენ ფადიშაჰს და სასახლეში დაბრუნდნენ.

ვეზირმა თავისი ქალი მიათხოვა ვაჟს და დიდი ქორწილიც გადაუხადა.

უფროსმა ძმამ ფადიშაჰთან ერთად მოიარა ქვეყნები და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ თავის სამფლობელოში დაბრუნდა. ორივემ მოიკითხეს უმცროსი ვეზირი, მაგრამ ვერსად ნახეს. მხლებლებმა მოახსენეს:

— უმცროსი ვეზირი თქვენი გამგზავრების მეორე დღესვე ცხენზე შეჯდა, სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნებულაო.

ეს სიტყვები მწარედ მოხვდა უფროს ვეზირს გულში. ბევრი იტირა და ითხა: ალბათ ჩემი ნათქვამი ეწყინა და იმიტომ წავიდა. ახლავ წავალ და მოვძებნიო.

თავისი განზრახვა ვეზირმა ფადიშაჰსაც გაანდო. ფადიშაჰმა დაგზავნა შიკრიკები, ბევრი ეძებეს, მაგრამ უმცროსი ვეზირის კვალიც კი ვერ იპოვეს. არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. ბოლოს მოსწყინდა ამდენი ძებნა და გლოვა უფროს ვეზირს, ჩაიქნია ხელი და ერთი მდიდარი ვაჭრის ქალი შეირთო ცოლად.

უფროსი ვეზირიც სწორედ იმ დღეს დაქორწინდა, რა დღესაც უმცროსი, მაგრამ ძმებმა აბა რა იცოდნენ! ძმებს ბავშვებიც ერთ დღეს შეეძინათ. უფროსი ვეზირის ცოლს ქალიშვილი ეყოლა, უმცროსი ვეზირისას კი—ვაჟი. ბავშვები სულ სხვადასხვა ქალაქებში იზრდებოდნენ.

უმცროსი ძმის სიმამრი, სადრაზამი, ამასობაში კარგად მობერდა და რადგან სახელმწიფოს მართვის ძალა აღარ შესწევდა, ფადიშაჰს მოელაპარაკა და თავისი სიძე უფროს ვეზირად დაანიშნინა, თვითონ კი თავის უკანასკნელ დღეებს სასახლეში მოსვენებასა და განცხრომაში ატარებდა. ახალი სადრაზამი გონივრულად მართავდა სახელმწიფოს და ფადიშაჰიც დიდად კმაყოფილი იყო.

ასე გადიოდა ხანი. ერთ დღეს ძველი სადრაზამი ავად გახდა და გარდაიცვალა. ახალი სადრაზამის ვაჟი უკვე სკოლაში დადიოდა. ბავშვი თხუთმეტი წლისა ხდებოდა და თავისი სილამაზით და ჭკუით მოყვარეს ახარებდა და მტერს თვალებს უბრმავებდა.

ერთ დღეს უმცროსი ძმა ავად გახდა. იგრძნო რა აღსასრულის მოახლოვება, თავისი ვაჟი მოიხმო და უთხრა:

— მავან ქალაქში უფროსი ძმა მყავს. ის იქ დიდი ვეზირია. ჩვენ მოეილაპარაკეთ, რომ თუ ჩვენ ქალ-ვაჟი შეგვეძინებოდა, შვილები ერთმანეთზე გვექორწინებინა. მე შენ ბარათს დაგიტოვებ, შეინახე, ვინ იცის, იქნებ სადმე დაგჭირდეს და გამოიყენო!

ვეზირმა დაწერა ბარათი, შვილს ჩააბარა და რამდენიმე დღის შემდეგ სულიც განუტევა.

ვეზირის სიკვდილის შემდეგ ფადიშაჰმა მის ოჯახს მთელი ქონება ჩამოარ-

თვა და შვილი ულუკმაპუროდ დატოვა. ძლიერ ეწყინა ვაჟს ფადიშაჰის საქციელი, გადაწყვიტა ამ ქალაქიდან სადმე შორს გადაკარგულიყო და აქაურობას გასცლოდა. უკანასკნელად მივიდა მამის საფლავთან, ბევრი იტირა, ილოცა, ბოლოს ძილი მოერია, იქვე სასაფლაოზე მიწვა და მიეძინა.

იმ სასაფლაოზე თურმე აუარებელი ფერიები და ეშმაკები ბუდობდნენ. ერთ-ერთი ფერია მივიდა ვაჟთან და სახეზე შეხედა. ამ დროს მეორე ფერიაც მოფრინდა. პირველმა მეორეს გასძახა: — ერთი ამ ვაჟს შეხედე, რა ლამაზია, მე ამის მსგავსი ჯერ არსად მინახავსო.

— ამა და ამ ქალაქში ერთი ვეზირი ცხოვრობს, ერთი ქალიშვილი ჰყავს. მე ის ქალიშვილი მინახავს. ისიც ამ ვაჟსა ჰგავს, მაგრამ ამაზე უფრო ლამაზია. იმ ქვეყნის ფადიშაჰს ვეზირის მზეთუნახავი ქალიშვილის ცოლად თხოვა უნდა, მაგრამ ვეზირი არ თანხმდება თურმე. ვეზირსა და მის ძმას ერთმანეთისათვის ფიცი მიუციათ, რომ თუ მათ ქორწინების შემდეგ ქალ-ვაჟი შეეძინებოდათ, ერთმანეთისათვის შეერთოთ. ახლა ვეზირს შეუტყვია, რომ მისი ძმა რომელიღაც ქვეყანაში ვეზირად არის და ვაჟიშვილი გასჩენია. ამიტომ ქალიშვილს არავიზე ათხოვებს და თავის ძმისწულს ელოდება. ამაზე ფადიშაჰი განრისხებია და დამუქრებია, შენს ქალიშვილს ძალით ვინმე უღირს კაცს მივათხოვებო და კიდევაც ამოურჩევია ვიღაცა.

— ამაღამ ქორწილს უხდიან, — უპასუხა მეორე ფერიამ.

პირველ ფერიას ძლიერ მოეწონა ვაჟი და მეორის სიტყვებმა გული ატკინა. მას უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა, მიუბრუნდა მეორეს და უთხრა:

— ამ ქალ-ვაჟს ხომ მაინც შერთვას უპირებდნენ და მოდი, ბარემ ეს ვაჟი ეგრევე მძინარე ავიყვანოთ და ვეზირის ქალიშვილთან მივიყვანოთ. ორივე ერთად გვყავდეს. და ვნახოთ, სილამაზით რომელი აჯობებსო.

ფერიებმა მაშინვე სტაცეს ხელი ვაჟს და იმ ქალაქში გააფრინეს, სადაც ვეზირის ქალიშვილი იმყოფებოდა. როდესაც ვაჟი ფერიებმა ძირს ჩამოსვეს, ვაჟს გამოეღვიძა. გაახილა თვალი და გარშემო უცხო ხალხი რომ დაინახა, შეეშინდა. ფერიები შეეცადნენ მის დამშვიდებას: — ჰეი, ლამაზო, ამა და ამ აბანოსთან მიდი, როდესაც მექორწინეები აბანოდან გარეთ გამოვლენ, შენ პატარძალს მიუახლოვდი, უკან გაჰყევი და მოცეკვავეებს ცოტაოდენი ოქრო გადაუყარე, — უთხრეს ფერიებმა და ჯიბეში ოქროები ჩაუყარეს.

ვაჟიც დაჰყვა ფერიების ნებას და ისე მოიქცა, როგორც მათ ურჩიეს. მივიდა აბანოს კარებთან და აიტუზა. პატარძლის მხლებლები აბანოდან გარეთ რომ გამოვიდნენ, მათში შეერია, აედევნა პატარძალს, მოცეკვავეებს ფეხებთან ოქროს ფული მოუბნია და მექორწინეებთან ერთად ქორწილში წავიდა. ხალხმა შენიშნა ეს მშვენიერი ახალგაზრდა, მაგრამ სიძის მახლობელ კაცად მიიჩნიეს და არა უთხრეს რა. მივიდნენ ვეზირის სასახლეში. როდესაც შიგ შესვლა დააპირეს, კარისკაცმა ვაჟი გააჩერა, მაგრამ მოცეკვავეებსა და სხვა მექორწინეებს ისე მოეწონათ ვაჟი, რომ მისი გვერდიდან მოცილება აღარ უნ-

დოდათ და სასახლეში შეაშვებინეს მეკარეებს. ხალხი ვაჟის მშვენებას თვალს ვერ აცილებდა და ერთმანეთს დანანებით ეუბნებოდნენ: — ეჰ, ჩვენს პატარძალს სწორედ რომ ამისთანა თვალადი ვაჟი შეეფერება. დაუბრმავდა თვალები იმას, ვინც ჩვენს ლამაზ პატარძალს იმ ვიღაც კაცზე ათხოვებსო.

ამასობაში მოსალამოვდა. მოიყვანეს სასიძოც და დაიწყო საქორწინო ლხინი. ქორწილის შემდეგ ხალხი დაიშალა.

— ახლა ამ ოთახიდან გადი და პატარძალთან მარტო დამტოვეო, — უთხრა სიძემ ვაჟს.

გამოვიდა ვაჟი გარეთ და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ერთ-ერთი ფერია კვლავ მიუახლოვდა ვაჟს და უთხრა:

— როგორც კი სიძე აფთესის[1] მისალებად ეარეთ გამოვა, შენ პატარძალთან შედი და მასთან დრო გაატარეო.

დაუჯერა ვაჟმა ფერიას. მალე სიძე გარეთ გამოვიდა. ვაჟმა როგორც კი გარეთ გამოსული სიძე დაინახა, შევიდა ქალის ოთახში და კარები მაგრად მიიკეტა. სიძემ განიბანა ხელი და უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ უცებ მის წინ ხარად ქცეული ფერია გამოცხადდა და შეკბღაველა:

— როგორ გაბედე და ჩემი შეუვარებული ცოლად ითხოვე. განა არ იცოდი, რომ ეგ მზეთუნახავი შენი შესაფერისი არ იყო!

— ბატონო, შემიბრალე, ეგ ქალი მე ჩემი ნება-სურვილით არ მითხოვია, ფადიშაჰმა ძალით შემრთო. ეგ რომ მცოდნოდა, ახლოსაც არ გავეკარებოდი, — უპასუხა შეშინებულმა სიძემ.

— მაშ თუ ეგრეა, გაფრთხილდი. შენთვის იყავ და გათენებამდე აქედან ფეხი არ მოიცვალო. როგორც კი სადმე წასვლას დააპირებ, მაშინვე სიცოცხლეს გამოგასალმებ, — დაემუქრა ფერია. ნაშისაგან ფერმიხდილი სიძე ერთ კუთხეში მიიყუჟა და გაინაბა.

ოთახში შესული ვაჟი პატარძალს სასახური ეგონა. ამ დროს შემოვიდა ქალის მოახლე. პატარძალს ტანთ გახადა და ძილი ნებისა უსურვა. პატარძალი საგონებელში ჩავარდა: ამ მსახურთან ხომ არ დავწვებიო, — იფიქრა და ვაჟს ჰკითხა: — სიძე სად წავიდაო?

— ის კაცი შენი საქმრო არ იყო, შენი ქმარი მე ვარო, — უპასუხა ვაჟმა.

ძალზე გაუხარდა მზეთუნახავს, რომ ბედმა ასეთი ვაჟკაცი არგუნა ქმრად და კისერზე შემოეხვია. ის ღამე ქალ-ვაჟმა ერთად გაატარა.

გათენდა მეორე დილა. მოფრინდა ფერია, მძინარე ვაჟი პატარძლის ოთახიდან აიტაცა და თავის სახელმწიფოში გადმოაფრინა. მაგრამ ჰაერში ფრენის დროს ერთი ვარსკვლავი ჩამოვარდა და ფერიას ხელები დაუწვა.

— ეჰ, ალბათ ვაჟს ეგრე თავის ადგილამდე ვერ მივიყვანო, — გაიფიქრა ფე-

---

[1] ლოცვის წინ ხელ-პირისა და ფეხების განბანვა.

რიამ, ვაჟი ქალაქის წინ დატოვა და თვითონ კი გაფრინდა. ვაჟს ისე მაგრად ეძინა, რომ არაფერი გაუგია და ტკბილ სიზმარში იყო.

დილით ქალაქის კარი გაიღო და გარეთ გამოსულმა ხალხმა დაინახა, რომ მიწაზე ერთი მშვენიერი ჭაბუკი წევს და სძინავს. შემოეხვივნენ, დაუწყეს თვალიერება და ერთმანეთს საუბარი გაუბეს. ამ ხმაურზე ვაჟს გამოეღვიძა. დაინახა, რომ უცხო ქალაქის კარებთან წევს და გარს ხალხი ახვევია. ვერაფერს მიხვდა და იქვე მყოფ ხალხს ჰკითხა: — ჩემს თავს რა ამბავიაო?

— ჩვენ შენ არ გიცნობთ, დილით ქალაქის კარებთან გიპოვეთ მძინარე, აქ საიდან გაჩნდი? — ჰკითხა ხალხმა.

— წუხელ ამა და ამ ქალაქში გავათენე ღამე და მერე რა მოხდა არ ვიცი, — მიუგო ვაჟმა.

გაკვირვებულმა ხალხმა ერთმანეთს გადახედა: — ეს ან გიჟია, ან რაღაც დარდს გამოუსულელებიაო, — გაიფიქრეს მათ და დაიშალნენ.

ვაჟი წამოდგა ფეხზე და ქალაქში შევიდა. დადიოდა ქუჩა-ქუჩა და თავისი სილამაზით ყველასა ხიბლავდა. ბოლოს ერთი მზარეულის დუქანს მიადგა და თავისი თავგადასავალი უამბო. შეებრალა მზარეულს პირმშვენიერი ვაჟი, თავის დუქანში თანაშემწედ მიიღო და თანაც დაარიგა:

— შვილო, შენი ამბავი არავის გაუმხილო, ალაჰი შეგეწევა. სანამ გზა გაგეხსნებოდეს, ჩემთან იყავი და იმუშავეო.

ვაჟს სხვა რა გზა ჰქოხდა, ეხმარებოდა მზარეულს. ასე მიდიოდა დღეები.

ჩვენ ისევ ვეზირის ქალს მივუბრუნდეთ. გათენდა დილა. პატარძალს გამოეღვიძა. გაიხედ-გამოიხედა და ნახა, რომ ნეფე არსად იყო. — ალბათ გარეთ გავიდა, — გაიფიქრა და ლოდინი დაუწყო. გავიდა ცოტა ხანი და ოთახში ვეზირი შემოვიდა. ქალი გაბარებული შეხვდა მამას და ხელზე ეამბორა. ვეზირმა ქალი მხიარული რომ დაინახა, გაუკვირდა და შეუტია:

— ღამე იმ ვიღაც მსახურთან გაატარე და კიდევ კარგ გუნებაზე ხარ? ასე გგონია, შენმა მზემ, კარგი რამ ჩაგიდენია!

— არა, მამი, მე იმ მსახურთან არა მძინებია, ღამე ჩემს ქმართან ვიყავი, — იმართლა თავი ქალმა და მამისათვის ყველაფრის ახსნას შეეცადა, მაგრამ ვეზირი ისე იყო განრისხებული, რომ შვილს ლაპარაკს არ აცლიდა.

— როგორ თუ შენს ქმართან გეძინა! შენი ქმარი სცოდავად შეკუნჭულა ერთ კუთხეში და შიშისაგან ცახცახებს. ღამე კი შენ ვიღაც სხვასთან გაგიტარებია! — ყვიროდა და ბრაზობდა ვეზირი.

— არა, მამი, ჩემი ქმარი აი, ახლახან გავიდა გარეთ და ჩქარა დაბრუნდება, — ამშვიდებდა ქალი მამას.

ვეზირიც ქალის სიტყვებმა ცოტა დააწყნარეს. მამა-შვილმა სიძეს დაუწყეს ლოდინი, მაგრამ ის არსადა ჩანდა. ბოლოს მოსწყინდა ვეზირს ცდა. ადგა და გარეთ გამოვიდა. სასახლეში გაიარ-გამოიარა და თვალი ისევ კუთხეში მობუზულ სასიძოს მოჰკრა.

— შენ აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ვეზირმა.

— ბატონო, თქვენი ქალიშვილი ერთ საზარელ ხარს ჰყვარებია. გუშინ, როდესაც აფთეხის მისაღებად გამოვედი, აქ დამხვდა და მიბრძანა, რომ ადგილიდან არ დავძრულიყავ. მეც მთელი ღამე აქ გავატარეო, — უპასუხა სიძემ ვეზირს.

ვეზირი მიხვდა რაშიც იყო საქმე. სიძე სასახლიდან გაისტუმრა, თვითონ კი ისევ თავის ქალთან შევიდა და ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა. ქალმა მამას დალაგებით უამბო ყველაფერი და შველა სთხოვა. დაძებნეს მთელი ოთახი და ვაჟის ტანსაცმელთან ერთად ბალიშის ქვეშ ფული და წერილი იპოვეს. ვეზირმა გადაიკითხა წერილი და მაშინვე იცნო თავისი უმცროსი ძმის ნაწერი. მიხვდა, რომ ვაჟი, რომელმაც ქალთან გაათენა ღამე, მისი ძმისწული იყო. ვეზირმა წაიღო წერილი და ფადიშაჰს წაუკითხა. გაოცდა ფადიშაჰი. უჩვეულოდ ეჩვენა ყოველივე მომხდარი და დაფიქრდა. ვეზირი კი დაბრუნდა სასახლეში და ბრძანა, რომ ის ოთახი, სადაც ნეფე-პატარძალმა ღამე გაათია, ხელუხლებლივ დაეტოვებინათ. მსახურებმა გამოკეტეს ოთახის კარი და იმ დღიდან შიგ აღარავინ შეუშვიათ.

ამ ამბის შემდეგ გავიდა ცხრა თვე. ვეზირის ქალს მშვენიერი ვაჟი შეეძინა. შვიდი წლის რომ შესრულდა, ვაჟი სასწავლებელში მიაბარეს. ისიც სწავლისადმი დიდ ნიჭსა და მონდომებას იჩენდა. ერთხელ ბავშვები ერთ ადგილას შეყრილიყვნენ და თამაშობდნენ, მაგრამ ვეზირის შვილიშვილს ახლოსაც არ იკარებდნენ. საცოდავ ბიჭს ძალიან სწყინდა და ამხანაგებს ეხვეწებოდა, მეც გამრიეთ თამაშშიო, მაგრამ ბავშვებმა ამაყად უპასუხეს:

— უმამო ბავშვი რა ჩვენი სწორია, იმას ჩვენთან რა ხელი აქვსო?

— როგორ თუ უმამო, მაშ განა ესა და ეს მამაჩემი არ არისო? — უპასუხა ბავშვმა და თან თავისი დიდვეზირი პაპა დაასახელა.

— არა, ეგ მამაშენი კი არა, პაპაშენია, შენი მამა კი არავის უნახავსო, — მიაძახეს ბავშვებმა და თამაში განაგრძეს.

დადარდიანებული ბიჭი წამოვიდა იქიდან და პირდაპირ ხოჯასთან მივიდა. უამბო ხოჯას თავისი ჯავრი და სთხოვა სიმართლე ეთქვა. ხოჯამ ბავშვს არაფერი დაუმალა და დედამისის უცნაური ქორწინების ამბავი უამბო. ბავშვი ახლა დედას ეცა და თავის მამის ვინაობა ჰკითხა. ამის მოგონებაზე ვეზირის ასულმა ტირილი დაიწყო. ამ დროს ოთახში ვეზირიც შემოვიდა. დაინახა, რომ შვილი და შვილიშვილი ერთმანეთს ეხვევიან და ტირიან. ვეზირმა ქალს ცრემლების მიზეზი ჰკითხა და როდესაც ქალიშვილმა მამას ბავშვის გულისტკივილი შეატყობინა, ესიც ძალიან შეწუხდა და განიზრახა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თავისი ნამდვილი სიძე ეპოვნა. ვეზირმა ფადიშაჰს სთხოვა ნებართვა, წაიყვანა თავისი ქალი, შვილიშვილი, რამდენიმე მსახური და ვაჟის საძებნელად გზას გაუდგნენ.

კარგა ხანს იარა ვეზირმა თავისი ამალით, მრავალი ქალაქი და სოფელი

მოიარეს, მაგრამ ვაჟის კვალიც ვერსად იპოვეს. ბოლოს იმ ქალაქში გაჩერდნენ, სადაც ვაჟი მზარეულად მუშაობდა. ერთხელ ვეზირის შვილიშვილი თავის გამზრდელთან ერთად ბაზარში სეირნობდა. სეირნობის დროს შემთხვევით თავს წააწყდნენ სწორედ იმ მზარეულის დუქანს, სადაც ვაჟი მუშაობდა. ბავშვი და გამზრდელი დუქანში შევიდნენ და კარგად დანაყრდნენ. ბავშვს მზარეული ძალიან მოეწონა და, მართალია თავის მამას არ იცნობდა, მაგრამ მასში რაღაც მამობრივი სითბო იგრძნო. ბავშვს დუქნიდან გარეთ გამოსვლა აღარ უნდოდა. ბევრს ეხვეწა გამზრდელი: — ადექი, წამოდიო, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმა წასვლაზე.

— გამზრდელო, მოდი, მზარეულიც მოვიწვიოთ სუფრასთან, პური ერთად ვჭამოთ! — ეუბნებოდა ბავშვი გამზრდელს.

— რა შენი ტოლი მოგინახავს, რომ გვერდით მოისვა. შენ დიდი ვეზირის შვილიშვილი ბრძანდები, ეგ კი ვიღაც უბრალო მზარეულია, განა მაგის გვერდზე ჯდომა დაგშვენდებაო? — შეუტია გამზრდელმა და ბავშვი დუქნიდან გარეთ ძალით გამოიყვანა.

გამოვიდა ბავშვი დუქნიდან, მაგრამ გრძნობა და გონება მზარეულთან დარჩა. მზარეულსაც ძალიან მოეწონა ბავშვი და მისი ცქერით ვერა ძღებოდა. „ნეტავ დუქანში მეტად აღარ მოვლენო?“ — ფიქრობდა თავისთვის მზარეული და მთელი დღე გზას გაჰყურებდა.

მეორე დღეს ბავშვი და გამზრდელი ისევ გამოვიდნენ ქუჩაში. ბავშვი იმდენს ეხვეწა, იმდენი ემუდარა, რომ გამზრდელმა ისევ იმ მზარეულის დუქანში მიიყვანა. ბიჭი და გამზრდელი შევიდნენ დუქანში და ისადილეს. მზარეულმა ბავშვი დუქანში მოსული რომ ნახა, ძალზე გაიხარა, გემრიელი ხალვა დაამზადა და სტუმრებს მიართვა. როდესაც ბავშვმა მზარეულის ცქერით გული იჯერა, ორივენი ადგნენ და სასახლეში დაბრუნდნენ.

მეორე დღეს ვეზირმა მოინდომა იმ ქალაქში წასვლა, სადაც მისი განსვენებული ძმა ცხოვრობდა. მართლაც, ყველანი გაუდგნენ გზას. როგორც იქნა, მიაღწიეს კიდეც იმ ქალაქს. ვეზირი ფადიშაჰს ეახლა და თავისი ძმის ამბავი ჰკითხა. ფადიშაჰმა უპასუხა:

— შენი ძმა უკვე კარგა ხანია გარდაიცვალა, მაგრამ მას ერთი ვაჟიშვილი დარჩა, მამის სიკვდილის შემდეგ სადღაც გადაიკარგა და ამ ქალაქში მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა. დედამისი აქვე ახლოს ცხოვრობს. თუ გნებავთ, მიდით მასთან და ინახულეთო.

ვეზირი დაემშვიდობა ფადიშაჰს და თავის რძალთან მივიდა. შვილის დაკარგვის შემდეგ ვაჟის დედას თვალზე ცრემლი არ შეშრობია და ვეზირსაც ასე ტირილით შეხვდა.

— რა გატირებს? — ჰკითხა ვეზირმა ქალს.

— როგორ თუ რა მატირებს, ერთადერთი შვილი მყავდა და ისიც ქმრის სიკვდილის შემდეგ დაიკარგა, უკან აღარ დაბრუნებულა, — უპასუხა ქალმა ტირილით.

— ნუ გეშინია, მეც შენი ვაჟის საძებნელად ვარ წამოსული. თუ კი სადმე ცოცხალია, ვიპოვი და შენცა და შენს შვილსაც ორივეს ჩემს სასახლეში წაგიყვანთ, — დაამშვიდა ვეზირმა ქალი და თან ვაჟის ნამოქმედარი ყველაფერი უამბო.

მეორე დღეს ვეზირმა ვაჟის დედაც წამოიყვანა თან და ყველანი ერთად იმ ქალაქში დაბრუნდნენ, სადაც ვაჟი მზარეულად იყო.

ერთ დღეს ვეზირის შვილიშვილი თავის გამზრდელთან ერთად ქუჩაში გამოვიდა და თავისი ნაცნობი მზარეულის დუქნისაკენ გასწია. მზარეულს გაუხარდა ბავშვის მოსვლა, ისევ ისეთი გემრიელი ხალვა დაუმზადა და მიართვა. ბიჭმა დიდი სიამოვნებით შეჭამა და შინ დაბრუნდა. ვეზირის ძმის ცოლსაც იმ დღეს თურმე ხალვა მოემზადებინა. ქალმა აიღო ხალვის კარგა მოზრდილი ნაჭერი, ბავშვს თეფშზე დაუდო და უთხრა:

— შვილო, შეჭამე, ნახე, რა გემრიელია. ასეთი გემრიელი ხალვის დამზადება ჩემს მეტმა არავინ იცისო.

— რას ამბობ, ბები, სწორედ ახლა ბაზარში ამაზე უკეთესი ხალვა ვჭამეთო, — უპასუხა ბიჭმა.

— შვილო, აბა რას ამბობ. ასეთ ხალვას ჩემს მეტი ვერავინ აკეთებს. ეჰ, მხოლოდ საცოდავ მამაშენს ვასწავლე ხალვის დამზადება. საწყალი, ალაჰმა უწყის, ახლა სად არის! — ამოიოხრა ვაჟის დედამ. ბავშვი კი ეფიცებოდა, ბაზარში ასეთი ხალვა ვჭამეო. ქალმა გამზრდელს დაუძახა და ხალვის მოსატანად დუქანში გაგზავნა. წავიდა გამზრდელი ბაზარში და ვაჟს ერთი თეფში ხალვა სთხოვა. ვაჟმა გამზრდელს თეფშით ხალვა გაუწოდა და თანაც დაუმატა:

— ასეთ ხალვას ჩემს მეტი აქ ვერავინ ამზადებს. აქედან შორს, ერთ ქალაქში დედაჩემი ცხოვრობს, ერთი იმან იცის კიდევ ასეთი ხალვის დამზადებაო.

წამოიღო გამზრდელმა ხალვა, ქალს მიუტანა და თანაც მზარეულის სიტყვები გაუმეორა. გაიგონა თუ არა ეს ქალმა, მაშინვე ვეზირთან გაიქცა და — შვილი ვიპოვეო! — ახარა. ვეზირმა გაგზავნა თავისი ხალხი ბაზარში და უბრძანა მზარეული დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო. ხელ-ფეხშეკრული ვაჟი მოიყვანეს ვეზირთან. უკვირდა ვაჟს, რატომ მექცევიან ასეო.

— რა დავაშავე, მითხარით, იქნებ ჩემს მოხარშულ ხალვას რაიმე წუნი დასდეთ. მითხარით, დამანახვეთ, რა შეცდომა ჩავიდინეო! — ეხვეწებოდა ვაჟი ვეზირს.

— შენს დანაშაულს მერე შეგატყობინებენ, ახლა მაგის დრო არა გვაქვსო.—უპასუხა ვეზირმა ვაჟს. შემდეგ თავის მსახურებს უბრძანა, ვაჟი ყუთში ჩასვით და თავი დააჭედეთო. მსახურებმა მსწრაფულ შეასრულეს მისი ბრძანება.

მეორე დღეს ვეზირმა წამოიყვანა მთელი ამალა და თავიანთი ქვეყნისაკენ

გამოეშურა. გზაში, სადაც კი გაჩერდებოდნენ, ვეზირი ვაჟს ამოიყვანდა ყუთიდან, აჭმევდა, ასმევდა და შემდეგ შეუტევდა: — ხალვას ცოტა შაქარი რატომ უყავი, ამისათვის თავი უნდა მოგკვრაო!

ვაჟს ისევ სვამდნენ ყუთში და თავს მაგრად ხურავდნენ, ეშინოდათ ტყვე არსად გაქცეულიყო.

ბევრი იარეს თუ ცოტა, როგორც იქნა ქალაქს მიაღწიეს. სანამ ვეზირი თავისი ამალითურთ ქალაქში შევიდოდა, მხლებლებს უბრძანა:

— ვაჟის საჭმელში ცოტა ძილის წამალი გაურიეთ და მაგრად დააძინეთო.

მსახურებმა ვეზირის ეს ბრძანება სისრულეში მოიყვანეს. მძინარე ვაჟს ჩააცვეს ის ტანსაცმელი, რომელიც მას ამ შვიდი წლის წინ ქორწილის ღამეს ეცვა და იმ ღამის შემდეგ ხელუხლებლად დატოვებულ საქორწინო ოთახში დააწვინეს. ვეზირმა თავის ქალს უბრძანა ისიც ამ ოთახში დარჩენილიყო, სანამ ვაჟი გამოიღვიძებდა.

კარგა ხანს ეძინა ვაჟს. ბოლოს გამოიღვიძა, თვალი მოავლო იქაურობას და ძალიან გაუკვირდა. იფიქრა: — ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს, ახლაც ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც მაშინ, ქორწილის ღამესო? ნეტავ სიზმარში ხომ არა ვარო?

— რა მოგივიდა, ყმაწვილო, ეგრე რამ ჩაგაფიქრაო? — ვეღარ მოითმინა ვეზირის ასულმა და ჰკითხა. ვაჟი ისე იყო გაკვირვებული, რომ ქალს პასუხი არ გასცა და ფიქრი განაგრძო. ქალმა კვლავ გაუმეორა კითხვა. მაშინ კი ვაჟმა ყველაფერი თავიდან ბოლომდე უამბო, მაგრამ ქალმა ამაზე დიდი უარი განაცხადა:

— არა, გენაცვალე, შენ ეგ ყველაფერი სიზმარში გინახავს და მე გვერდიდან არ მომცილებიხარ, რასაც შენ მიამბობ, ეგ ყველაფერი სინამდვილეში არ მომხდარაო. — ეუბნებოდა ქალი და ცდილობდა ვაჟი როგორმე დაერწმუნებინა, რომ ყოველივე მისი ნაამბობი გრძელი სიზმარი იყო. როდესაც ესენი ამ საუბარში იყვნენ გართულნი, შემოვიდა ვეზირი. ვაჟმა დაინახა თუ არა ვეზირი, ფეხზე წამოდგა, ხელზე ეამბორა და მიმართა:

— ჰეი, მამაო, განა შენ არ იყავი, მე რომ ყუთში ჩამკეტე და თანაც თავის მოკვეთით მემუქრებოდიო?

— დიახ, შვილო, მე ვიყავი. ეს ყველაფერი იმიტომ გავაკეთე, რომ მინდოდა კარგად დავრწმუნებულიყავი ქორწილის ღამე მართლა შენ გაათენე ამ სახლში, თუ ვინმე სხვამაო. ახლა უკვე ვრწმუნდები, რომ ის ყმაწვილი შენა ყოფილხარ, ჩემი ძმისწული. ძმებს თქვენი შეუღლება თქვენს დაბადებამდე გვქონდა განზრახული და ალაჰმაც ასე ინება. ამიერიდან იხარეთ და იბედნიერეთ! — უთხრა ვეზირმა და სიძე-ქალიშვილი დალოცა.

ერთი კარგი ქორწილი კიდევ გადაიხადეს.

ქალ-ვაჟი თავის შვილთან და ბაშობლებთან ერთად სიკვდილამდე ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდა.

ორი ოგოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფადიშაჰი. ფადიშაჰს ნშვენიერი ქალ-ვაჟი ჰყავდა. ერთ ხანობას ფადიშაჰი ძალზე მიეძალა ყომარს და მთელი თავისი ქონება გაფლანგა. გაღარიბებულმა ფადიშაჰმა ჩქარა სული განუტევა და მემკვიდრეებს მხოლოდ ჟანგიანი თოფი და პირჩლუნგი ხმალიღა დაუტოვა. ნახეს შვილებმა, რომ ცარიელზე დარჩნენ და მშიერ-მწყურვალებს პატრონი აღარავინა ჰყავდათ. ბევრი იფიქრეს და ბოლოს ბედის საძიებლად სხვაგან წასვლა განიზრახეს. აიღეს ჟანგიანი თოფი, პირჩლუნგი ხმალი და გზას გაუდგნენ.

ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ მთას მიუახლოვდნენ. ბავშვები გზაში ძალიან დაიღალნენ და შესვენება გადაწყვიტეს. „ალაჰი ხვალ გზას გვიჩვენებსო!“ — თქვეს და იქვე ჩამოსხდნენ. ცოტა რომ დაისვენეს, წამოდგნენ, მოაგროვეს ფიცრები, მოზიდეს ტალახი და ერთი პატარა ქოხი აიშენეს. „შენ ცოტა ხანს აქ იყავი. მე წავალ, რამეს მოვინადირებ და ვჭამოთო!“ — უთხრა ძმამ დას. ვაჟი იქვე ტყეში შევიდა. კარგად ინადირა, მოიტანა ნანადირევი სახლში და გემრიელად ივახშმეს. საღამოს დაწვნენ და დაიძინეს.

დილით ქოხში გამოიღვიძეს ობლებმა. ვაჟი საჩქაროდ წამოხტა და კვლავ სანადიროდ გაემართა. გაიარა კარგა მანძილი და შორს სადღაც სასახლეს მოჰკრა თვალი. „ნეტავ ეს სასახლე ვისია? მოდი, წავალ და ვნახავ!“ — გაივლო გულში ვაჟმა და იქითკენ გასწია. როგორც იყო, მიუახლოვდა სასახლეს და შიგ შესვლა მოინდომა, მაგრამ მეკარეებმა არ შეუშვეს. ბევრი ეხვეწა ვაჟი, ბევრი ემუდარა, მაგრამ მის თხოვნას ყური არ ათხოვეს და მუჯლუგუნების კვრით კარებიდან გააგდეს. ეს კი ვეღარ მოითმინა ვაჟმა და მეკარეებს მივარდა. ატყდა ერთი ყვირილი და აყალმაყალი. ამ ხმაურმა ფადიშაჰის ყურამდეც მიაღწია და მიზეზი იკითხა. ფადიშაჰს მოახსენეს, რომ ვიღაცა ვაჟს თქვენი ნახვა სურს და სასახლეში შემოსვლას ლამობსო.

— ვაჟი აქ მომიყვანეთო! — ბრძანა ფადიშაჰმა. კარისკაცებმა სასწრაფოდ შეასრულეს ბრძანება.

— შვილო, ვინა ხარ, აქ რა გინდაო? — ჰკითხა ფადიშაჰმა ვაჟს.

— დიდებულო ფადიშაჰო, მე ერთი ღარიბი კაცის შვილი ვარ, მამა მომიკვდა და ულუკმაპუროდ დავრჩი. ბედის საძებნელად უცხო ქვეყანაში გადმოვიკარგე და, აი, ჩემმა იღბალმა აქ მომიყვანაო, — მიუგო ვაჟმა. ფადიშაჰმა შეათვალიერა ვაჟი, მოეწონა და ჰკითხა: — მეეტლეობა შეგიძლიაო?

— დიდებულო ფადიშაჰო, ეგ ძნელი საქმე არ არის. მიბრძანეთ და გემსახურებითო, — უპასუხა ვაჟმა. უბრძანეს ვაჟს ეტლის შებმა. როცა დარწმუნდნენ, ვაჟმა ამ საქმეს თავი კარგად გაართვა, მეეტლედ დანიშნეს და ახორში გაგზავნეს.

შევიდა ვაჟი ახორში და მაშინლა გაახსენდა უპატრონოდ მიტოვებული დ. ძალიან მოუნდა მისი ნახვა, მაგრამ გვიანლა იყო. აბა, ფადიშაჰის მსახურს ვინ დართავდა ნებას თავის ჭკუაზე ესეირნა? შემოაწვა დარდი ვაჟს და გული რომ გადაეყოლებინა, ჩაკეტა ახორის კარები და დის სურათის ხატვა დაიწყო. ისეთი გატაცებით ხატავდა სურათს, რომ კარგა ხანს გარეთ არ გამოსულა. გაუკვირდათ სასახლის მკვიდრთ, „ნეტავ მეეტლე ამდენ ხანს ახორში რას აკეთებს, მოკვდა თუ დარჩაო?“ — იფიქრეს და კარებს მიაწვნენ, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდათ და ვერ გააღეს. ვერ მოისვენეს ფადიშაჰის მხლებლებმა, ახორში ჭუჭრუტანა იპოვეს და დაიწყეს შიგნით ჭვრეტა. შეიხედეს და პირდაპირ კედელზე ერთი მშვენიერი ასულის სურათი დაინახეს. მნახველები ქალის სილამაზემ გააოცა. მაშინვე გაიქცნენ და ფადიშაჰს აცნობეს: მობრძანდა ფადიშაჰი, შეიჭვრიტა ახორში და მზეთუნახავის სილამაზით ისიც მოიხიბლა. მაშინვე იხმო ვაჟი და ჰკითხა: სურათი დედისა იყო, თუ სატრფოსი. ვაჟმა ფადიშაჰს აღარაფერი დაუმალა და თავისი ამბავი დაწერილებით უამბო. ფადიშაჰს ვაჟის და სურათის დანახვისთანავე შეჰყვარებოდა და მისი ცოლად თხოვა გადაეწყვიტა. ფადიშაჰმა თავისი განზრახვა ვაჟსაც შეატყობინა და სთხოვა: „წავიდეთ ჩქარა. შენი მზეთუნახავი და წამოვიყვანოთო!“ ის იყო ფადიშაჰი და ვაჟი გამგზავრებას აპირებდნენ, რომ ფადიშაჰთან ერთი ბებერი ჯადოქარი გამოცხადდა და მოახსენა: „დიდებულო მბრძანებელო, ქალის მოსაყვანად წასვლა თქვენ არ შეგწვენით. ნება მიბოძეთ და იმ ქალს მე მოგიყვანთო!“ რას გააწყობდა ფადიშაჰი. გაგზავნა ჯადოქარი ქალის მოსაყვანად. თვითონ კი სასახლეში დარჩა და მოუთმენლად ელოდა თავისი სატრფოს გამოჩენას.

იმ ჯადოქარს თურმე ერთი ხანში შესული, უშნო, შინაბერა ქალი ჰყავდა. დედაბერმა სწორედ ამ ქალის გათხოვება მოისურვა ფადიშაჰზე. გამოვიდა ჯადოქარი სასახლიდან, წინასწარ მომზადებულ ეტლში ჩასვა თავისი მახინჯი ქალი და პირდაპირ იმ ქოხისაკენ გაემართნენ, სადაც ვაჟმა თავისი და დატოვა. მიუახლოვდა დედა-შვილი ქოხს, შევიდნენ შიგ და დაიწყეს საჭმლის ჭამა. ვაჟის და ძალზე მშიერი იყო და დედაბერს ცოტა პური სთხოვა. ამაზე მო-

ხუცმა უპასუხა: „თუ ერთ თვალს ამოიღებ და მომცემ, პურს მოგიტეხო“. რაუნდა ექნა ქალს, ძალიან შიოდა. ამოიღო ერთი თვალი და ჯადოქარს მისცა. მეორე დღეს კვლავ მივიდა დედაბერი ქალთან და მეორე თვალიც ძოსთხოვა. დედაბერმა თვალები ჩადო ყუთში და შვილს უბეში შეანახვინა. მერე დედამ და შვილმა თვალებდათხრილი ვაჟის და ჩაისვეს ეტლში და გამოსწიეს. ქალისათვის სასახლიდან წამოღებული ძვირფასი ტანსაცმელი ჯადოქარმა გზაზე თავის შვილს ჩააცვა. დაბრმავებული ქალი კი ჩასვა ტომარაში და ხრამში გადააგდო. მოიყვანა დედაბერმა სასახლეში თავისი მახინჯი ქალი და ფადიშაჰს მიათხოვა. შეხედა ფადიშაჰმა პატარძალს და ელდა ეცა. საცოლე სურათზე გამოსახულ ლამაზ ასულს სრულიად არ ჰგავდა. „აქ რაღაც ამბავიაო“, — გაიფიქრა, მაგრამ ხმა არ ამოიღო.

ახლა ისევ ვაჟის დას მივუბრუნდეთ. თვალებდათხრილმა ქალმა ხრამში ბევრი იტირა, იყვირა, მაგრამ მშველელი არსად იყო. გავიდა რამდენიმე ხანი, ერთხელ მწყემსი იმ ადგილებში საქონელს მწყემსაკდა. უცებ ხრამიდან ადამიანის კვნესა შემოესმა, მივიდა ახლოს, ჩაიხედა ხრამში და ნახა, რომ ერთი ბრმა ქალი გდია. მწყემსს სახლში ოცდაცხრამეტი ღარიბი დასახიჩრებული ქალი ჰყავდა შეკედლებული. „ეს მეორმოცეც მათ მიემატოსო“, — იფიქრა, აიყვანა ქალი და სახლში წამოიყვანა. ბრმა ქალი ღატრიალდა სახლში. სხვა ქალებსაც შესაფერისი საქმე შეასწავლა და ყველა ერთად მუყაითად შრომობდა.

ჯადოქარმა საიდანღაც გაიგო, რომ ბრმა ქალი ცოცხალი იყო, შეეშინდა, საიდუმლო არ გასცესო და მოკვლა გადაწყვიტა. გადაიცვა მათხოვრის ტანისამოსი და კრუსუნ-კრუსუნით მწყემსის სახლში მივიდა. მოხუცი ღამის გასათევად მწყემსთან დარჩა. შუაღამისას, როდესაც ყველას მაგრად ეძინა, ჯადოქარი ადგა, ბრმა ქალს პირში სამი შხამიანი აბი ჩაუდო, გამოვიდა ოთახიდან და წავიდა. დილით გაიღვიძეს ქალებმა და ნახეს, რომ ოსტატი მკვდარია. ბევრი იცეს თავში, ბევრი ივაგლახეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ? — ჩააწვინეს საცოდავი ქალი კუბოში და მიწას მიაბარეს.

ერთხელ ფადიშაჰი მწევარი ძაღლებით სანადიროდ გამოსულიყო. როგორღაც გზად იქით მოხვდა, სადაც ბრმა ქალი იყო დამარხული. ძაღლებმა თითქოს რაღაცა იგრძნესო, მისცვივდნენ იმ ადგილს და დაუწყეს თხრა. ბევრი უძახა ფადიშაჰმა ძაღლებს, მაგრამ ძაღლები იქაურობას არ მოსცილდნენ. ჩაფიქრა ამ ამბავმა ფადიშაჰი და მხლებლებს ის ადგილი ღრმად ამოათხრევინა. ჩქარა გამოჩნდა კუბოც. ახადეს კუბოს თავი და თვალებდათხრილი მკვდარი მზეთუნახავი შერჩათ ხელში. ერთ-ერთი ძაღლი მიუახლოვდა მიცვალებულს და სახის ალოკვა მოუნდომა. გაჯავრდა ფადიშაჰი, მოუღერა ძაღლს ხელი, მაგრამ ძაღლი გვერდზე გახტა და სილა ქალს მოხვდა ლოყაზე. შეეხო თუ არა ქალს ფადიშაჰის ხელი, პირში შერჩენილი შხამიანი აბები წამოსცვივდა და ფეხზე წამოდგა. წამოიყვანა ფადიშაჰმა ბრმა მზეთუნახავი, მოიყვანა სასახლეში და

სთხოვა: „გეთაყვა, ნურაფერს დამიმალავ, მითხარი ეს საქმე ვინ დაგმართაო?“ ქალმაც ყველაფერი უამბო ფადიშაჰს. განრისხდა ფადიშაჰი. თავის მახინჯ ცოლს მზეთუნახავის თვალები ძალით ამოართვა და პატრონს დაუბრუნა, ჩაისვა ქალმა თვალები, სამი დღე და ღამე ილოცა და თვალთახედვა მოუვიდა. ამის შემდეგ ფადიშაჰმა მზეთუნახავი შეირთო ცოლად, მისი ძმა ვეზირად დაისვა და დიდი ქორწილი გადაიხადა. ბებერი ჯადოქარი და მისი მახინჯი ქალი კი გამოაბეს ორმოცი ჯორის კუდს და ქლდე-ღრეში ათრევინეს. ასე დაისაჯნენ ბოროტები, კეთილმა ხალხმა კი თავის სურვილს მიაღწია.

ალმასის შტო და ფადიშაჰის უმცროსი ვაჟი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფადიშაჰი. ის თავის სამ ვაჟთან ერთად მდიდრულად მორთულ სასახლეში ცხოვრობდა. სასახლეს გარს მშვენიერი ბაღი ერტყა, სადაც თვალწარმტაცი ვარდ-ყვავილები და ნაირნაირი ხეხილი ხარობდა. ფადიშაჰს ძალზე უყვარდა ეს ბაღი, მაგრამ ბოლო ხანებში ბაღს ერთი დევი შემოეჩვია, ყოველ წელს ხილობის დროს მოდიოდა, კრეფდა ხილს, ჭამდა და მიდიოდა. დევის შიშით ბაღში შესვლას უკვე ვერავინ ბედავდა. ამ ამბავმა ძალზე დააღონა ფადიშაჰი და დარდისაგან ავად გახდა.

ერთხელ ფადიშაჰის უფროსი ვაჟი მივიდა მამასთან და ჰკითხა:

— მამი, რა მოგივიდა, რამ დაგასნეულა, შენი ჯავრის მიზეზი გვითხარი და იქნებ რამე გიშველოთო.

— ეჰ, შვილო, განა ვერა ხედავთ, რომ ჩვენს ბაღში დევი დათარეშობს? არავის არაფრად გვაგდებს, შემოდის ბაღში, ხილსა კრეფს და მიდის. დღემდე ვერაფერი მოვუხერხე. მაგის დარდმა ლოგინად ჩამაგდო და ჩქარა ალბათ სიცოცხლეს გამომასალმებსო, — უპასუხა დანაღვლიანებულმა ფადიშაჰმა.

— მამი, შენ მაგაზე ნუ ჯავრობ, მომეცი ერთი მშვილდ-ისარი და იმ დევს მოვკლავ. — დააიმედა შვილმა მამა.

— არა, შვილო, ეგ საქმე აგრე ადვილი როდია. გაფრთხილდი, დევი დიდ უბედურებას დაგატეხს თავს, — უთხრა ფადიშაჰმა, მაგრამ შაჰზადემ ყური არ ათხოვა მამის სიტყვებს.

— რაც არ უნდა მომივიდეს, წავალ და დევს მოვკლავო, — დაიჟინა მან.

მამას სხვა რა გზა ჰქონდა, მისცა შვილს მშვილდ-ისარი და ბაღში გაგზავნა. გამოვიდა სასახლიდან შაჰზადე, ჩავიდა ბაღში და ერთ ხეს ამოეფარა. გაიარა ცოტა ხანმა. ბაღს ქშენითა და ცეცხლის ფრქვევით მოადგა დევი. მოხვდა თუ არა ცეცხლის ოხშივარი ვაჟს, დაიყვირა:

— ვაი, მიშველეთ, ვიწვებიო! — და გულწასული დაეცა.

კარგა ხნის შემდეგ იპოვეს შაჰზადე, მოაბრუნეს და სასახლეში წაიყვანეს. ახლა შუათანა ვაჟი მივიდა ფადიშაჰთან და დაუწყო გამოკითხვა:

— მამი, რა მოგივიდა, ავად რამ გაგხადაო?

— დამეკარგე აქედან, ჩემს უფროს ვაჟს ჩემი დარდი რომ ვუთხარი, რა მიშველა, რომ შენ რამე შეება მომცეო, — გაბრაზებით შეუტია ფადიშაჰმა შვილს. მაგრამ ვაჟმა თავისი არ დაიშალა. ბევრი ეხვეწა, ემუდარა — მეც მითხარი შენი ნაღველის მიზეზი, იქნებ რამე ვიღონოო... — და იმდენი ელაპარაკა, რომ ფადიშაჰმა მასაც უთხრა:

— შვილო, ჩემს ბაღში ერთი დევი დადის და მთელ ხილს ისა ჭამს. აი, სწორედ ეს მადარდებს, რომ დღემდე ვერაფერი მოვუხერხეო.

— მამი, იმ დევს მოვკლავ და შენს ტანჯვასაც ბოლო მოეღება, — გამოიდო თავი შუათანა ვაჟმა.

— ეჰ, შვილო, მოდი მაგ საქმეს თავი დაანებე. იმ დევს შენ ვერას დააკლებ და ტყუილუბრალოდ საიქიოს გაგამგზავრებსო, — ურჩია ფადიშაჰმა შვილს, მაგრამ ვაჟი გაჯიუტდა:

— შენ ნუ გენაღვლება, მშვილდ-ისარი მომეცი, ჩემი ძალა უნდა ვცადოო.

ნახა ფადიშაჰმა, რომ შვილს უკან ვერ დაახევინა, მისცა მშვილდ-ისარი და დევთან საბრძოლველად გაისტუმრა. შევიდა ვაჟი ბაღში, ერთ ხეს ამოეფარა და დაუწყო დევს ლოდინი. მალე ისიც გამოჩნდა. დევის პირიდან ამოფრქვეული ცეცხლი მოხვდა თუ არა ვაჟს, — ვაიმე, დავიწვიო! — დაიღრიალა და იქვე უგრძნობლად ჩაიკეცა. დევმა ჭამა ხილი და წავიდა. გულწასული შაჰზადე კი კარისკაცებმა სასახლეში წაიღეს და მოაბრუნეს.

ამის შემდეგ გავიდა კიდევ ხანი. ერთ დღეს უმცროსი ვაჟი მივიდა ფადიშაჰთან და ჰკითხა:

— მამი, შენი ავადმყოფობის მიზეზი მითხარიო.

გაჯავრდა ფადიშაჰი და ისიც გააგდო:

— რაც სხვებმა მიშველეს, შენც იმასვე გამიკეთებო.

— მამი, სხვებმა თუ ვერა გარგეს რა, მე შენს დარდს წამლად დავედები, ნურაფერს დამიმალავო, — შეეხვეწა შვილი.

ფადიშაჰმა მასაც, ისევე როგორც მის უფროს ძმებს, დევის ამბავი უამბო. შაჰზადემ მამას სთხოვა მშვილდ-ისარი და დევის მოსაკლავად წასვლა განიზრახა.

— წადი, ერთი შენი ვაჟკაცობაც ვნახოთო, — წარმოთქვა უიმედოდ ფადიშაჰმა. აიღო ვაჟმა მშვილდ-ისარი, ჩავიდა ბაღში და დაიმალა. გამოჩნდა დევი. შემოვიდა თუ არა ბაღში, უმცროსმა ძმამ ესროლა ისარი და დევი ძირს დასცა, მაგრამ ვერ მოკლა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა დევი და ბარბაც-ბარბაცით უკან გაბრუნდა. ამოვარდა შაჰზადე სასახლეში და ფადიშაჰს ახარა:

— მამი, დევს ვესროლე, მაგრამ ვერ მოვკალი. ახლა უკან უნდა გაეყვე და ბოლო მოვუღოო.

ესიამოვნა ფადიშაჰს დევის დაჭრის ამბავი, მაგრამ შვილის ბოლო სიტყვებმა შეაფიქრიანეს:

— შვილო, უკან დადევნება რად გინდა, დევი რომ მოგერიოს და მოგკლას, მაშინ დარდი ხომ გამიორკეცდება.

ბევრი ემუდარა მამა, მაგრამ შვილმა თავისი არ დაიშალა:

— უნდა წავიდე და დევი მოვკლაო!

უმცროსს უფროსი ძმებიც შეუერთდნენ:

— მამი, ჩვენც თან გავყვებით, სამ კაცს ერთად დევი ვეღარ მოგვერევა, მოვკლავთ და უკან დავბრუნდებითო.

რა გაეწყობოდა, დათანხმდა შვილებს ფადიშაჰი და უთხრა:

— წადით, ოღონდ დიდხანს ნუ დაიგვიანებთ, ჩქარა დაბრუნდით, თორემ თქვენზე ფიქრი არ მომასვენებს.

გამოემშვიდობნენ მამას ვაჟები, ფეხთ რკინის ქალამნები ჩაიცვეს, აიღეს მშვილდ-ისრები და დევის სისხლიან კვალს გაჰყვნენ.

ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ ადგილას ნახეს, რომ ჭასთან სისხლიანი კვალი შეწყდა. მიხვდნენ — დევი ჭაში იყო ჩასული. უფროსმა ძმამ თქვა:

— მომაბით წელზე თოკი და ჭაში ჩამიშვითო.

მოაბეს წელზე თოკი და უფროსი ძმა ჭაში ჩაუშვეს. მიაღწია თუ არა ვაჟმა შუა ჭამდე, ატეხა ერთი ღრიალი: — ვაიმე, ვიწვიო! ძმებმა ამოსწიეს თოკი და უფროსი ძმა ზევით ამოიყვანეს. მერე ჭაში შუათანა ძმამ მოინდომა ჩასვლა. მასაც მოაბეს წელზე თოკი და ჭაში ჩაგზავნეს. ვერც შუათანამ გაუძლო სიმხურვალეს და მორთო ყვირილი:

— მიშველეთ, ვიწვიო!

ისიც ზევით ამოიყვანეს. ჯერი მესამეზე მიდგა. მოიბა უმცროსმა ძმამ წელზე თოკი და ძმებს უთხრა:

— ჩამიშვით ჭაში, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვიყვირო — ვაიმე დავიწვიმეთქი, ზევით არ ამომიყვანოთ. უფრო ღრმად ჩამიშვითო.

ძმებმა ის ჭაში ჩაუშვეს. ბევრი იყვირა ვაჟმა — ვაიმე, დავიწვიო, მაგრამ ამაოდ, — სულ უფრო ღრმად უშვებდნენ. უმცროსი ძმა ჯერ ჭის ფსკერზე ჩასული არ იყო, რომ თოკი გათავდა. ძმებმა ზემოდან ჩასძახეს:

— თოკი გაგვითავდა, რა ვქნათო?

— გაუშვით ხელი და ჭის ფსკერზე დავეცემიო! — ამოსძახა შაჰზადემ.

უშვეს ძმებმა თოკს ხელი. ვაჟი ტრიალ-ბზრიალით ფსკერისაკენ წავიდა და მიწაზე მოადინა ბრაგვანი. წამოსწია თავი და დაინახა, რომ კარების წინა გდია. დიდი გაჭირვებით წამოდგა ზეზე, ოთახის კარები შეაღო და შიგ შევიდა. ოთახში სამი მზეთუნახავი იჯდა და ქარგავდა. ქალებმა შემოსული ვაჟი რომ დაინახეს, შეკრთნენ და შესძახეს:

— ძმაო, საიდან გაჩნდი, აქ როგორ მოხვდი! განა არ იცი, რომ ეს დევის სახლია? დღეს დევი დაჭრილი დაბრუნდა და ძალიან გაბრაზებულია. საცაა, ჩვენს სანახავად შემოვა. შენ რომ დაგინახოს, ჩვენც დაგეხოცავს და შენც მიგაყოლებს.

— თქვენ მაგისი ღარდი ნუ გაქვთ, — მიუგო ვაჟმა და მზეთუნახავებს ამოეფარა.

მართლაც, გაიღო კარი და ოთახში დევი შემოვიდა. სტყორცნა ვაჟმა ისარი და დევი იქვე გააგორა.

— თუ ვაჟკაცი ხარ, ერთხელ კიდევ დამკარი, — სთხოვა სულთმობრძავმა დევმა. მაგრამ ვაჟმა უპასუხა:

— დედამ მე ერთხელ მშობაო.

ამის გაგონებაზე დევს სული ამოხდა. გამოვიდა ვაჟი ოთახიდან, გამოიყვანა მზეთუნახავები და ზევით ძმებს ასძახა:

— გრძელი თოკი ჩამოუშვით, უფროსი ძმის საბედო ზევით აიყვანეთო!

ჩამოუშვეს ძმებმა თოკი. ვაჟმა ერთ მზეთუნახავს წელზე მოაბა და ზევით აგზავნა. როცა ქალი ზევით ავიდა, ძმებმა თოკი ისევ ჭაში ჩაუშვეს. ვაჟმა ახლა მეორე მზეთუნახავს გამოაბა თოკი და შუათანას ასძახა:

— ძმაო, ესეც შენი ყისმათიაო!

ძმებმა ისიც ამოიყვანეს ჭიდან. ჯერი სულ უმცროს მზეთუნახავზე მიდგა. შეხედა ვაჟმა და რასა ხედავს: ქალი ცხარე ცრემლითა ტირის.

— რა გატირებს? — ჰკითხა ვაჟმა მზეთუნახავს.

— იმ მზეთუნახავებს სილამაზით მე ვჯობივარ. შენს ძმებს შეშურდებათ და როდესაც ზევით ამოსვლას დაიწყებ, თოკს გადაგიჭრიან. ბზრიალ-ტრიალით ისევ ჭის ფსკერზე დაეცემი. გონს რომ მოხვალ, ორ ცხვარს დაინახავ: ერთს — თეთრს, მეორეს — შავს. თუ თეთრ ცხვარს მოახტები, ზემოთ ამოგიყვანს, შავი ქვესკნელში გაგაქანებს. აი, ამიტომ ვტირიო, — მიუგო ქალმა.

ვაჟმა მოაბა მზეთუნახავს თოკი წელზე და ძმებს დაუყვირა:

— ეს ქალი ჩემი საცოლეა, ზევით აიყვანეთო!

ამოსწიეს ძმებმა თოკი, ამოიყვანეს ქალი ჭიდან. შეხედეს მზეთუნახავს სახეზე. მართლაც რომ მათ საბედოებს სჯობია და ძალზე გაბრაზდნენ:

— ერთი მაგ არამზადას დამიხედეთ, ყველაზე ლამაზი ქალი თავისთვის ამოურჩევია!

თქვეს და ძმის მოკვლა განიზრახეს. ჩაუგდეს ვაჟს თოკი. გამოიბა უმცროსმა ძმამ თოკი წელზე. ამოსწიეს ძმებმა, ვაჟმა შუა ჭამდე რომ აატანა, ძმებმა თოკი გადაჭრეს და ვაჟი ისევ ფსკერისაკენ წავიდა. გონს რომ მოეგო, როგორც ქალმა უთხრა, ორი ცხვარი დაინახა: ერთი თეთრი, მეორე შავი. საცადა ვაჟმა თეთრს შესჯდომოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და შავ ცხვარს მოახტა. თვალის დახამხამებაში ცხვარმა ვაჟი ქვესკნელში ჩაიყვანა. გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ რომელიღაც ქალაქში იმყოფება. წამოჯდა, ცოტა დაისვენა,

მერე ფეხზე წამოდგა და გაიარ-გამოიარა. უცებ ერთ უზარმაზარ ხეს მოჰკრა თვალი, იქვე დაინახა ბუდე, შიგ ბარტყები ისხდნენ და ყღურტულებდნენ. ხეს ქვემოდან გველი შემოპხვეოდა და ბარტყებს შეჭმას უპირებდა. ვაჟმა იძრო ხანჯალი და გველი აკუწა. თვითონ იქვე ხის ძირას წამოწვა და მიიძინა. თურმე ის გველი ყოველ წელიწადს მოდიოდა ფასკუნჯის ბუდეში და ბარტყებს უჭამდა. გავიდა ცოტა ხანი და მოფრინდა ფასკუნჯი. ხის ქვეშ მწოლი ვაჟი რომ დაინახა, ის იყო უნდა დასძგერებოდა, რომ ბარტყებმა შეაჩერეს და უთხრეს:

— დედი, მაგ ვაჟს ხელი არ ახლო, გველისაგან მაგან გვიხსნაო.

ეს რომ ფასკუნჯმა გაიგო, ვაჟისთვის ხელი აღარ უხლია. ამასობაში მძინარე ვაჟს მზე მოადგა. ფასკუნჯმა გაშალა ფრთები და ვაჟს მოუჩრდილა. კარგა ხანი ეძინა ვაჟს. ბოლოს გამოიღვიძა და ხედავს, რომ უშველებელ ფრინველს ფრთები გაუშლია და მზეს უჩრდილებს. ადგა ვაჟი და წასასვლელად გაემზადა. ფასკუნჯმა გამოიძრო ორი ბუმბული, მისცა ვაჟს და უთხრა:

— როცა გაგიჭირდეს, ეს ბუმბულები ერთმანეთს გაუსვი და მე შენთან გავჩნდებიო.

გამოართვა ვაჟმა ფასკუნჯს ბუმბული, შეინახა და წავიდა.

გაიარა ვაჟმა ქალაქში. ხედავს, სასახლის კარებთან უამრავ ხალხს მოუყრია თავი და ერთი მითქმა-მოთქმა აქვთ. შეერია ისიც ხალხში და გაიგო, რომ იმ დევზე ლაპარაკობენ, რომელიც მან მოკლა.

— თქვენ რომ შიშის ზარსა გცემთ, ის დევი დიდი ხანია ჩავაძაღლეო, — გაიცინა მან.

ამ სიტყვებს რომ მოჰკრეს ყური, ვაჟი მაშინვე ფადიშაჰთან მიიყვანეს და მისი ნათქვამი მოახსენეს. გაუხარდა ფადიშაჰს და ვაჟს უთხრა:

— შვილო, ის დევი ჩვენსკენ მომდინარე წყალს გზას უღობავდა და ჩემს სახელმწიფოში ხალხი წყურვილისაგან იხრჩობოდა. ამიტომ ნაბრძანები მქონდა, ვინც იმ დევს მოჰკლავდა, დიდად უნდა დამესაჩუქრებინა და აი, მართლაც ალაჰმა შენი თავი მხსნელად მოგვივლინა. მთხოვე, რაც გსურსო.

— დიდებულო ფადიშაჰო, თქვენი კარგად ყოფნა და ზევით ასვლა მსურსო, — უპასუხა ვაჟმა.

— შვილო, შენი ზევით აყვანა მარტო ფასკუნჯს შეუძლია, მაგრამ მისი პოვნა ძალიან ძნელიაო, — უთხრა ფადიშაჰმა.

ვაჟმა ამოიღო უბიდან ფასკუნჯის ბუმბული, გაუსვა ერთმანეთს და სასახლის ფანჯრის წინ ფრინველი გამოჩნდა.

— ჩემო ფადიშაჰო, აძაზე ბრძანებდით? — ჰკითხა ვაჟმა.

— დიახ, სწორედ ეგ ფრინველიაო, — მიუგო ფადიშაჰმა და ფასკუნჯი სასახლეში შემოიყვანა.

— ფასკუნჯო, შეგიძლია ეს ვაჟი ზევით აიყვანო? — ჰკითხა ფადიშაჰმა.

— როგორ არა. დაკალით ორმოცი ცხვარი, ხორცი ერთ ფრთაზე ამკიდეთ,

ორმოცი ტიკით წყალი მეორეზე. შემაჯდეს ვაჟი ზურგზე და ზევით აყიყვანო, — უპასუხა ფრინველმა.

ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც ფასკუნჯმა ინება. შეასვეს ვაჟი ზურგზე და სასახლიდან გაისტუმრეს. გაფრინდა ფასკუნჯი. „ყას!“ რომ დაიძახებდა, ვაჟი ხორცს აძლევდა, „ყის“ რომ იტყოდა, წყალს აწვდიდა.

კარგა ხანს იფრინეს ასე. ზევით ასვლამდე ცოტა დააკლდათ, რომ ხორცი შემოელიათ. დაიძახა ფრინველმა „ყა!“ ამოიჭრა ვაჟმა ბარძაყიდან ერთი ნაჭერი და ფასკუნჯს პირში ჩაუდო. ფრინველმა ხორცს გემოზე შეატყო, რომ ადამიანისა იყო, არ გადაყლაპა და ენის ძირში შეინახა. როგორც იქნა, ფასკუნჯმა მიაღწია დედამიწას. ვაჟი ძირს გადმოსვა და უბრძანა ერთი გაიარ-გამოიარეო. ვაჟმა კოჭლობით გაიარა და იქვე ჩამოჯდა.

— შენ უკან დაბრუნდი. მე ცოტას შევისვენებ, მერე ავდგები და წავალო, — უთხრა ვაჟმა ფრინველს. მიხედა ფასკუნჯი რაშიც იყო საქმე. გამოიღო პირიდან ბარძაყის ნაჭერი, თავის ადგილას დაადო და ზედ ნერწყვი წაუსვა. ვაჟს ფეხი გაუმთელდა. წამოდგა და თავის გზას გაუდგა.

იარა, იარა ვაჟმა და ერთ ქალაქს მიაღწია. შევიდა ქალაქში, იყიდა საქონლის ფაშვი, თავზე წამოიცვა და ქაჩალს დაემსგავსა. ბევრი იარა ქალაქში. ხან ერთ მედუქნესთან მივიდა და შეგირდად დამაყენეო, — სთხოვა, ხან მეორესთან, მაგრამ ზედაც არავინ შეხედა. ბოლოს ერთ ოქრომჭედელს მიადგა. ბევრი ემუდარა, — საქმე მომეცი რამეო. როგორც იქნა დაიყოლია. ვაჟი ოქრომჭედლის დუქანში შეგირდად დადგა და მთელ დღეს ციბრუტივით ტრიალებდა.

ახლა უფროსი ძმების ამბავი შევიტყოთ. წამოიყვანეს უფროსმა და შუათანამ სამი მზეთუნახავი და მოვიდნენ სასახლეში. გახარებული ფადიშაჰი შეეგება შვილებს და უმცროსი ვაჟი მათ შორის რომ ვერ დაინახა, მოიკითხა:

— მამი, აქედან რომ წავედით, დევი მოვკალით, ეს ქალები წამოვიყვანეთ და სასახლისაკენ წამოვედით. გზაზე უმცროსი ძმა ჩამოგვცილდა. ახლავე მოვალო, — თქვა, სადღაც წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, — უპასუხეს ვაჟებმა. ფადიშაჰმა იტირა, იგლოვა შვილი და მერე ორი მზეთუნახავი უფროსსა და შუათანა ვაჟზე დანიშნა.

სასახლეში დიდი ქორწილის სამზადისი დაიწყო.

ფადიშაჰს ალმასისაგან გამოკვეთილი ერთი შტო ჰქონდა. რძლების საჩუქრად მეორე ასეთივე შტოს დამზადებაც გადაწყვიტა. სასახლის კარისკაცებმა მთელი ოქრომჭედლები ჩამოიარეს — ალმასისაგან ასეთ შტოს ვინ გააკეთებსო, მაგრამ ყველამ უარი უთხრა: — ჩვენ მაგის გამკეთებლები არა ვართო. ბოლოს იმ ოქრომჭედლის დუქანს მიადგნენ, სადაც ფადიშაჰის უმცროსი ვაჟი შეგირდად იყო. ოსტატმა დახედა ალმასის შტოს, ეძნელა მისი გაკეთება და ის იყო უარი უნდა ეთქვა, რომ შეგირდი ჩაერია ლაპარაკში და ფადიშაჰის მხლებლებს მიმართა:

— მაგისთანას მე გაგიკეთებთო.

გაუკვირდათ ფადიშაჰის მსახურთ, გულში გაიფიქრეს, ამ ქაჩალმა ბიჭმა რა უნდა გააკეთოსო, და შეგირდს მიუბრუნდნენ:

— კარგი, ორმოც დღეს დაგიდებთ ვადად. ამ ორმოც დღეში თუ დაამზადებ, ხომ კარგი, თუ არადა თავს მოგკრეთო. მისცეს ალმასის შტო შეგირდს და სასახლეში დაბრუნდნენ. კარისკაცები დუქნიდან რომ გავიდნენ, შეგირდმა ოსტატს უთხრა:

— უსტა, დუქანი ორმოცი დღით უნდა დავკეტოთ. შენ საცა გინდა, წადი, მე კი ალმასის შტო უნდა გავაკეთოო.

ოსტატი დათანხმდა. ვაჟი დუქანში მარტო დატოვა და თვითონ კი სახლში წავიდა. შეგირდმა დაკეტა დუქანი, წავიდა ბაზარში, ორი ტომარა თხილი იყიდა და მოიტანა. მაგრად გამოიკეტა დუქნის კარები, დაჯდა და დაიწყო თხილის მტვრევა. გამვლელ-გამომვლელს ყველას ეგონა, ქაჩალი ბიჭი ალმასის შტოს ჭედავსო. ვაჟი კი მხართეძოზე წამოწოლილი თხილს ამტვრევდა და შრომით დიდად თავს არ იწუხებდა.

გადიოდა დრო. ერთ დღეს დუქანში ოსტატი მოვიდა. ჩაქუჩის ხმა რომ მოესმა, იმედი მიეცა და შეგირდს შესძახა:

— ბიჭო, როგორაა საქმე, ალმასის შტოს აკეთებ თუ არაო?

— როგორ არა, ოსტატო, ისეთი ალმასის შტო გამოვჭედო, რომ უკეთესი თვალს არ ენახოს, — უპასუხა შეგირდმა.

— აბა, მაშ შენ იცი, იჩქარე, დრო ცოტაღა დარჩა. დღეს ფადიშაჰის უფროსი ვაჟი ჯირითს აწყობს, საყურებლად ხომ არ წამოხვალო? — ჰკითხა ოსტატმა შეგირდს.

— ერთი შენც იტყვი რაღა, ოსტატო! — მიუგო შეგირდმა. — აბა, მე იმოდენა ხალხში რა მინდა. ერთიც ვნახოთ და ვინმემ ამ ქაჩალ თავში რამე ჩამარტყას და გამიტეხოს, მერე რაღა ვქნა? თან საქმეს თავს ვერ დავანებებ. შენ წადი, მე ვიმუშავებო.

ოსტატი წავიდა. ვაჟმა მაშინვე უჩიდან ფასკუნჯის ბუმბული ამოიღო, ერთმანეთს გაუსვა და ფრინველიც მასთან გაჩნდა:

— ახლავე ერთი წითელი ცხენი და ერთი ხელი წითელი ტანსაცმელი მომიტანეო — უბრძანა ვაჟმა ფასკუნჯს. ფრინველმა ვაჟის ბრძანება თვალის ერთ დახამხამებაში შეასრულა. ვაჟმა საქონლის ჯუჯაიანი ფაშვი თავიდან გადაიძრო, ძვირფასი ტანსაცმელი ჩაიცვა, შეჯდა ცხენზე და პირდაპირ საჯირითო მოედნისაკენ გასწია. მოედანზე აუარებელი ხალხი მოგროვილიყო და სეირს უყურებდა. ფადიშაჰის უფროსი ვაჟი ცხენზე იჯდა, მოედანს ამაყად უვლიდა და მეტოქეს ათვალიერებდა. ეს რომ უმცროსმა ძმამ დაინახა, ჰკრა ცხენს დეზი, საჯირითო მოედანზე შეაგდო და უფროს ძმას ეკვეთა. ფადიშაჰის უფროსმა ვაჟმა ძმა ვერ იცნო და ისე შეეშინდა, რომ ცხენიდან გადმოვარდა. ვაჟმა ძმას ხელი აღარ ახლო, გამობრუნდა და წავიდა. ერთ მოფარებულ

ადგილას გაიხადა ტანისამოსი, ცხენზე დააწყო და ცხენს მათრახი გადაუჭირა. მერე თავზე ისევ საქონლის ფაშვი წამოიცვა, დაბრუნდა დუქანში და თხილის მტვრევა განაგრძო.

გავიდა ცოტა ხანი. ოსტატი ისევ მოვიდა დუქანში, დადგა კარებთან და შეგირდს გამოელაპარაკა:

— ბიჭო, რა კარგი ჰქენი, რომ დღეს არ წამოხვედი! იცი, რა მოხდა? საჯირითო მოედანზე ერთი წითელტანსაცმლიანი, წითელ ცხენზე მჯდომი მხედარი გამოჩნდა. ისე ეკვეთა ფადიშაჰის უფროს ვაჟს, რომ ცხენიდან გადმოაგდო და კინაღამ არ მოჰკლა. ყველას ძალიან შეგვეშინდა.

— აი, ხომ გითხარი, ოსტატო. რომ წამოვსულიყავი, იქნებ ჩემთვისაც თავში რამე ეთხლიშათ და თავი გაეხეთქათ. კიდევ კარგი, სახლში დავრჩიო, — უპასუხა შეგირდმა.

ოსტატი ცოტა ხანს კიდევ იდგა კარებთან, მერე გატრიალდა და წავიდა.

მეორე დღეს ოსტატი ისევ მოვიდა დუქანში და შეგირდს უთხრა:

— ბიჭო, დღეს ფადიშაჰის შუათანა ვაჟი აწყობს ჯირითს. თუ გინდა, წამო, წავიდეთო!

— არა, ოსტატო, მოდი, თავი დამანებე. დღესაც გუშინდელი ამბავი რომ დატრიალდეს მოედანზე და თავზე რამე უბედურება დამატყდეს, რაში მჭირდება. ესეც არ იყოს, საქმესაც მოვცდები. მოდი, შენ წადი, მე კი ჩემს საქმეს მივხედავო, — მიუგო შეგირდმა.

ამჯერადაც მარტო წავიდა ოსტატი ჯირითის საყურებლად. ვაჟმა მაშინვე ამოიღო ფრინველის ბუმბული, გაუსვა ერთმანეთს და ფასკუნჯი თავისთან იხმო:

— ერთი ხელი თეთრი ტანსაცმელი და ერთი თეთრი ცხენი მომგვარეო,— უბრძანა მან ფრინველს.

ფასკუნჯმა ბრძანება შეუსრულა. ვაჟმა ჩაიცვა, შეჯდა ცხენზე და საჯირითო მოედნისაკენ გააქანა. მივიდა მოედანთან და დაინახა, რომ ახლა შუათანა ძმა შემჯდარა ცხენზე და ტოლს ეძებს. გამოქახდა ვაჟი და ისე ეძგერა ძმას, რომ ერთი დაკვრით ძირს დასცა. გამოვიდა მოედნიდან და წავიდა. ძვირფასი ტანსაცმელი გაიხადა, ცხენზე დააწყო, გადაჰკრა ცხენს მათრახი და გაუშვა. თვითონ დაბრუნდა დუქანში, წამოიცვა ფაშვი და აუყენა თხილს ტკაცატკუცი. ჩქარა ოსტატიც მოვიდა, დადგა დუქნის კარებთან და შეგირდს გასძახა:

— ვაი, იცი, დღეს მოედანზე რა მოხდა? ნეტავ ერთი წამოსულიყავი და გენახა. ვიღაც თეთრი მხედარი მოგვევლინა, ერთი დარტყმით ძირს დასცა ფადიშაჰის შუათანა ვაჟი და კინაღამ სული გააფრთხობინაო.

— კიდევ კარგი არ წამოვედი, ოსტატო, თორემ მეც თავს გამიტეხავდნენო, — უპასუხა შეგირდმა.

ოსტატმა ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკა და წავიდა.

გავიდა ორმოცი დღე. ალმასის შტოს ჩაბარების დრომაც მოატანა. ვაჟმა

იხმო ფასკუნჯი და ალმასის შტოს მოტანა დაავალა. ფრინველმა ვაჟს სურვილი მაშინვე შეუსრულა. ვაჟმა გააღო დუქანი და ფანჯარაში ალმასის ორივე შტო გამოფინა. ყველას გაუკვირდა — ქაჩალ შეგირდს ალმასის შტო მართლა გაუკეთებიაო. მოვიდნენ დუქანში, დაუწყეს გამოკითხვა:

— ბიჭო, ეს ალმასის შტო ვინ გააკეთაო?

— მე გავაკეთეო, — მიუგო ვაჟმა.

ამასობაში ფადიშაჰის მხლებლებიც მოვიდნენ. ნახეს, რომ ალმასის შტო უკვე მზადაა და ქაჩალ შეგირდს უთხრეს:

— მოგვეცი, ფადიშაჰს ჩვენ წავუღებთო.

— არა, თქვენ ვერ განდობთ, მე თვითონ მივუტანო, — უპასუხა ვაჟმა.

— ფადიშაჰთან შენ რა გესაქმება, მოიტა ახლავე შტო, — შეუტიეს ფადიშაჰის მხლებლებმა.

გაბრაზდა ქაჩალი შეგირდი. გადმოიღო ალმასის შტო და დამტვრევა დაუპირა. შეეშინდათ ფადიშაჰის მხლებლებს, ეცნენ ხელში შეგირდს და შეეხვეწნენ:

— ოღონდ ნუ დაამტვრევ, და ფადიშაჰს შენ თვითონ მიუტანეო.

ქაჩალ შეგირდსაც სწორედ ეს უნდოდა. აიღო ალმასის შტო და მათთან ერთად სასახლისაკენ გასწია. მივიდნენ თუ არა სასახლის კარებთან, ფადიშაჰის მხლებლებმა ისევ დაიჩემეს:

— ალმასის შტოს ფადიშაჰს ჩვენ მივართმევთო.

მაგრამ არც აქ დაუთმო ქაჩალმა შეგირდმა და მორთო ერთი ყვირილი:

— თუ ხელიდან გამოართმევას დამიპირებთ, ახლავე დავამტვრევო!

ფადიშაჰის მხლებლებმა აღარაფერი უთხრეს და ვაჟი სასახლეში შეიყვანეს. ავიდნენ კიბეზე, ფადიშაჰის ოთახის კარების წინ გაჩერდნენ და ქაჩალ შეგირდს უთხრეს:

—შენ აქ მოიცადე, ალმასის შტო მოგვეცი და ფადიშაჰს ჩვენ შევუტანთო.

ამაზე ერთი აყალმაყალი და ჩხუბი ატყდა. ხმაურმა ფადიშაჰის ყურამდე მიაღწია და იკითხა რა ამბავიაო? ფადიშაჰს ქაჩალი შეგირდის ამბავი მოახსენეს.

— ერთი შემოიყვანეთ, მაჩვენოს როგორი შტო დაამზადაო, — ბრძანა ფადიშაჰმა.

ვაჟი ფადიშაჰთან შეიყვანეს. ფადიშაჰმა დაათვალიერა ალმასის შტო, ძალზე მოეწონა. და ჰკითხა:

— შვილო, ეს ნივთი მართლა შენი ნახელავია?

— დიახ, დიდებულო ფადიშაჰო, მე გამოვჭედე. — მიუგო ვაჟმა.

— მაშ გასამრჯელოდ რაც გინდა, ისა მთხოვე. — უთხრა ფადიშაჰმა.

— დიდებულო ფადიშაჰო, თქვენს ჰარამხანაში რომ ერთი მზეთუნახავია, ის ჩემია, — გამოუცხადა ქაჩალმა შეგირდმა.

— რას ამბობ, ბიჭო, ის მზეთუნახავი შენი საიდან არის? — გაუკვირდა ფადიშაჰს.

— დიახ, ყოვლისშემძლე ფადიშაჰო. იმ მზეთუნახავს ზურგზე ჩემი დამღა აქვს. გამოიყვანეთ, ნახეთ, თუ ქალს ნიშანი არ ექნება, მე მტყუანად დაძსახეთ, თუ ზურგზე ნიშანს უპოვით, ქალი შე მომეცით, — უთხრა ვაჟმა.

მართლაც მოიყვანეს სულ უმცროსი მზეთუნახავი, კარგად შეათვალიერეს და ნახეს, რომ ზურგზე სისხლიანი ხუთი თითი ატყვია. თურმე, როდესაც შაჰ-ზადემ ჭაში დევი მოკლა, სისხლში ხელი დაისველა და თავის საცოლეს ზურგზე ნიშნად დაადო. მიხვდა ფადიშაჰი, რომ ქაჩალი შეგირდი მისი უმცროსი ვაჟი იყო. გადაეხვია, გადაჰკოცნა და დაუწყო გამოკითხვა:

— შვილო, ამოდენა ხანი სად იყავი? მე შენ მკვდარი მეგონე და კიდევ კარგი, რომ ამ სიბერის ჟამს მაინც გიხილეო!

შაჰზადემ უამბო მამას, როგორ მოექცნენ ძმები, რა გადახდა თავს და სასახლემდე როგორ მოაღწია.

მოიხმო ფადიშაჰმა უფროსი ვაჟები, ორივეს სათითაოდ ათქმევინა ყველა-ფერი და მერე მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა. ჯალათმა უფროსსა და შუათანა ძმას თავები მოჰკვეთა. ამის შემდეგ ფადიშაჰმა სამივე მზეთუნახავი შერთო უმცროს ვაჟს და დიდი ქორწილი გადაუხადა.

თუთიყუში

ქალაქ თავრიზში ერთი ვაჭარი ცხოვრობდა. დიდძალი ქონება ჰქონდა და ერთადერთი ვაჟის მეტი არავინ ჰყავდა. ვაჭარი ხშირად დადიოდა სტამბოლში, ჰყიდდა თავის საქონელს, ყიდულობდა იქაურსა და ქონებას თანდათან უმატებდა. ერთხელ ვაჭარი ავად გახდა და მალე სული ალაჰს ჩააბარა. მთელი სიმდიდრე დარჩა ვაჟს. ვაჟი ჯერ გამოუცდელი იყო. რამდენიმე წელიწადს ვაჭრობა გაუჭირდა და მისმა ქონებამაც იკლო. ვაჭარს ერთი ძველი მეგობარი ჰყავდა. როცა ნახა ვაჟის საქმეები ცუდად მიდიოდა, მივიდა, რჩევა-დარიგება მისცა, შერთო ცოლი და რამდენიმეჯერ სავაჭროდ სტამბოლში გაჰყვა. როდესაც ვაჟი სავაჭროდ მიდიოდა, ცოლი სახლში მარტო რჩებოდა და სწყინდებოდა. ნახა ვაჟმა, რომ ცოლს მობეზრდა სახლში მარტო ყოფნა, წავიდა ბაზარში და ორი თუთიყუში იყიდა. ერთი ოთახში დააბა, მეორე გარეთ, კარებთან. ვაჟმა ისევ განაგრძო ვაჭრობა. ერთხელ წავიდა სტამბოლში და ცოლს დაუბარა: სამ დღეში დავბრუნდებიო! იმავე ქალაქში ერთი ახალგაზრდა ვაჭარი ცხოვრობდა. მას თურმე იმ ვაჭრის ცოლი შეჰყვარებოდა და ცდილობდა როგორმე ენახა. მოისყიდა ერთი დედაბერი, მისცა ბლომად ფული და ქალის მოსაყვანად გაგზავნა. მივიდა დედაბერი ვაჭრის ცოლთან. ის იყო ოთახში ფეხი უნდა შეედგა, რომ თუთიყუშებმა მორთეს ყვირილი. შეკრთა დედაბერი და ქალს უთხრა:

— შვილო, რად გინდა, რომ კარებთან ეს თუთიყუში გიბია? წააწყვიტე თავი და გადააგდეო!

დაუჯერა ქალმა, გამოიტანა დანა და გარეთ მიბმულ თუთიყუშს თავი გააგდებინა. მერე მიუბრუნდა დედაბერს და ჰკითხა:

— რა იყო, დედი, რაზე გარჯილხარო?

— შვილო, ჩემს ვაჟიშვილს ვაქორწინებ და შენს დასაპატიჟებლად მოვედიო, — უპასუხა ქალმა.

— კარგი, გენაცვა, ახლავე წამოვალო, — თქვა ქალმა და სამზადისს შეუდგა. დაინახა თუთიყუშმა, რომ ვაჭრის ცოლი მოირთო, მოიკაზმა და თან წასაღებად ერთი ხელი ტანსაცმელი გადმოაწყო.

— ვაიმე, ხანუმ, მიდიხარო? — ჰკითხა თუთიყუშმა ქალს.

— მივდივარ, თუთიყუშო, მივდივარ, — მიუგო ვაჭრის ცოლმა.

— ხანუმ, მოიცა, ერთ ამბავს გიამბობ, კარგად მომისმინე და მერე წადი. ერთ ქალსა და ვაჟს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ერთმანეთს ვერსად ვერა ხვდებოდნენ. ერთხელ ორივენი გავიდნენ ზღვის ნაპირას და დაინახეს, რომ ნაპირთან ახლოს ცარიელი გემი დგას, ჩასხდნენ გემში და სხვა ქალაქში გაპარვა დააპირეს. მართლაც შესცურეს ზღვაში და რამდენიმე ხნის შემდეგ ერთი ქალაქის ნაპირს მიადგნენ. — წავალ ბაზარში, რამეს ვიყიდი, მოვალ და გზა განვაგრძოთო! — უთხრა ვაჟმა, გადმოვიდა გემიდან და ბაზრისაკენ გასწია. გემის უფროსმა რომ დაინახა ვაჟი ნაპირზე ჩავიდა, ქალი კი გემზე დარჩა, აუშვა იალქანი და ქალი გაიტაცა. დაბრუნდა ვაჟი ნაპირზე, მაგრამ ვეღარც გემი იპოვა და ვეღარც ქალი. ბევრი იცა თავში, ბევრი ინანა. მაგრამ რაღა დროსი იყო. აი, ხანუმ, არ წახვიდე, თორემ შენც იმ ვაჟივით ინანებ, მაგრამ გვიანი იქნებაო, — თქვა თუთიყუშმა. ნაამბობმა ქალი შეაფიქრიანა და დედაბერს უთხრა:

— წადი, დედი, დღეს ვერ წამოგყვები, ხვალ მოვალო! — იმ დღეს დედაბერი ხელცარიელი დაბრუნდა ვაჭართან.

გავიდა რამდენიმე დღე და ვაჭარმა ქალს დედაბერი ისევ მიუგზავნა.

— შვილო, ერთი კვირაა ქორწილი მაქვს, გელით და შენი ნახვა არ გვეღირსა. რა მოხდა, განა ეგეთი უკადრისობა შეიძლებაო? — უსაყვედურა მოხუცმა ქალს.

— დედი, ნუ ჯავრობ, ახლავე ორ ხელ ტანისამოსს წამოვიღებ და წავიდეთო! — დაფაცურდა ვაჭრის ცოლი.

თუთიყუშმა, რომ დაინახა ქალი არ იშლიდა და წასასვლელად ემზადებოდა, ენა ამოიდგა და მიმართა:

— ხანუმ, მიდიხარ? იმას კი არა კითხულობ, იმ გემის უფროსმა ქალი სად წაიყვანაო?

— ვაი, შენს ენას ვენაცვალე, თუთიყუშო, მათ ამბავს როგორ არა ვკითხულობ? იმ ღამეს მაგაზე ფიქრით არა მძინებიაო, — მიუგო ქალმა.

— მაშ თუ გაინტერესებს, ყური დამიგდეო! — უთხრა თუთიყუშმა და განაგრძო, — მოიტაცა გემის უფროსმა ქალი და ზღვაში შეცურდა. დიდხანს იცურა გემმა და ბოლოს ერთ ქალაქს მიუახლოვდა. ჩამოვიდა გემის უფროსი ნაპირზე და საქმეების მოსაგვარებლად ქალაქში წავიდა. მაშინ იხელთა დრო ქალმა, აუშვა იალქნები და ქალაქს გასცილდა. გემის უფროსმა მოიარა ქალაქი, გააწყო საქმეები და ნაპირზე დაბრუნდა, მაგრამ იქ არც გემი დახვდა, არც

ქალი. წაიშინა თავში ხელები, იტირა, ივაგლახა, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ვერაფრით უშველა. აი, ხანუმ, გაფრთხილდი, შენც ეგრე არ მოგივიდესო!

თუთიყუშის სიტყვები ქალს გულში მწარედ მოხვდა და დედაბერს უთხრა:

— წადი, დედი, ამ საღამოს ვერ წამოვალ, ხვალ გნახავო. — მეტი რა გზა ჰქონდა დედაბერს. ადგა და წავიდა. მეორე დილით მოხუცი ისევ ვაჭრის ცოლთან გაჩნდა და ქალს ერთი მაგრად შეუტია:

— ამოდენა ხანია გელოდებით, შენ კი თუთიყუშის როშვას აჰყოლიხარ და მაგის ლაპარაკს უჯერებ. წააწყვიტე თავი ერთი მაგ მეტიჩარას და გადააგდეო!

— დედი, ნუ ცხარობ, ახლავე სამ ხელ ტანისამოსს ავიღებ და წავიდეთო, — დაამშვიდა ქალმა დედაბერი. ვაჭრის ცოლმა მოამზადა სამი ხელი ტანისამოსი და ის იყო ოთახიდან უნდა გამოსულიყო, რომ თუთიყუშმა შეაჩერა და ჰკითხა:

— ხანუმ, მაინც მიდიხარო?

— შენს ენას ვენაცვალე, ჩემო თუთიყუშო, მივდივარ, მივდივარო, — უპასუხა ქალმა.

—მაშ არ გაინტერესებს იმ ქალმა გემი რომ წამოიყვანა, სად წავიდა?—არ ეშვებოდა თუთიყუში.

— შენ გენაცვალე, ჩემო თუთიყუშო. ღამე მაგაზე დარდით არ მძინებია, იმ ქალის ბედმა ისე შემაწუხაო, — მიუგო ქალმა.

— მაშ მომისმინე! ქალმა წამოიყვანა გემი და გამოსცურა, მიადგა ერთ ნაპირს, გადმოვიდა გემიდან და იქაურობა დაათვალიერა. უცებ ქალი ორმოცი ყაჩაღის სამყოფელს წაადგა. გამოცვივდნენ ყაჩაღები, დაიჭირეს ქალი და მეთაურს მიჰგვარეს. სხვა ყაჩაღებს ყველას ცოლები ჰყავდა თან. ლამაზი ქალის პოვნა გაუხარდა ყაჩაღების უფროსს. ქალი ცოლად შეირთო და დიდი ლხინი გადაიხადა. კარგად იქეიფეს ყაჩაღებმა, მაგრად დათვრნენ და დაიძინეს. მიეპარა მძინარე ყაჩაღებს ქალი. ოცდაცხრამეტ ყაჩაღს თავები დასჭრა, წამოიყვანა მათი ცოლები, ჩასხა გემში და წამოვიდა. მეორე დილით გამოეღვიძა ყაჩაღების უფროსს. ადგა და რასა ხედავს. მის ამხანაგებს ყველას თავები დაჭრილი აქვთ. არც მისი ცოლი ჩანს და არც სხვა ქალები. ბევრი ინანა ყაჩაღების უფროსმა, რომ ასე დაუფიქრებლად მოიქცა, ბევრი იჯავრა, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ვერაფერი უშველა. კარგად იფიქრე, ჩემო ხანუმ, შენი საქციელი შენც სანანებლად არ გაგიხდესო! — უთხრა თუთიყუშმა.

— დედი, დღეს წამოსვლა არ შემიძლია, ხვალ მოვალო, — უთხრა ქალმა დედაბერს და გაისტუმრა.

გავიდა ცოტა ხანი და ვაჭარი სტამბოლიდან დაბრუნდა. გადმოტვირთეს ქარავნები, დააბინავეს საქონელი და შეუდგნენ მოგების ანგარიშს. საღამოს ვაჟის მამის მეგობარი ვაჭარი მოვიდა. დასხდნენ, ილაპარაკეს. მამის მეგობარს სადღაც ყური მოეკრა, რომ ვიღაცა ვაჭარს ვაჟის ცოლი შეჰყვარებოდა და

მასთან დაახლოვებას ცდილობდა. მეგობარმა განიზრახა ქალის ერთგულება შეემოწმებინა და ვაჟს უთხრა:

— შვილო, მე ყოველთვის მამის მაგივრობას გიწევდი, ახლაც მენდე და ნურაფერს მკითხავ. როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი. აბალამ მთელი შენი ქონება ჩემთან გადავზიდოთ. სახლში ნურაფერს დატოვებ. დილით მსახური გაგზავნე ბაზარში და ყველას აცნობოს: ვაჭრის შვილი თავის სახლებსა ჰყიდის-თქო. ვინც ყიდვას მოისურვებს, მოურიგდი და ცარიელი სახლი მიჰყიდე, დანარჩენს მერე გაიგებო!

დაუჯერა ვაჟმა. ღამით ჩუმად მთელი ქონება მამის მეგობართან გადაზიდა, დილით ბაზარში კაცი გაგზავნა და გამოაცხადებინა, ვაჭრის შვილი სახლებს ჰყიდისო! გაიგო თუ არა ეს ამბავი იმ ვაჭარმა, რომელსაც ვაჟის ცოლი უყვარდა, მივიდა და ჰკითხა: ბინებს რას აფასებო? ვაჭარმა ძვირად დაუფასა, მაგრამ მეორემ უკან არ დაიხია და იყიდა. ამასობაში მოვიდა ვაჟის ცოლიც. ძალიან გაუკვირდა, რომ ქმარი სახლებს ჰყიდდა და მიზეზის გაგება მოისურვა. — ვალი დამედო და იმიტომ ვყიდიო, — უპასუხა ვაჟმა.

— მაშ, ღარიბ-ღატაკი ქმარი მე არ მჭირდებაო, ვისაც სახლ-კარი აქვს იმასთან წავალო, — მიაძახა გაბრაზებულმა ქალმა ქმარს და იმ ვაჟთან მივიდა, ვინც იმათი სახლი იყიდა. ეწყინა ქმარს ცოლის ვერაგობა. ახლა კი მიხვდა მამის მეგობარმა რატომ ურჩია ასე და გამობრუნდა. იმ ვაჭარმა წაიყვანა ქალი და სახლში შევიდა. გააღო ერთი ოთახი, ეგონა სავსე დახვდებოდა, მაგრამ შიგ ცარიელი კედლების მეტი ვერა ნახა რა. დაიარა ყველა ოთახი, არსად არაფერი არ იყო. მიხვდა, რომ მოტყუვდა. იძრო ხანჯალი, ქალიც მოკლა და თავიც მოიკლა.

ვაჟის მამის მეგობარმა ვაჟი მეორედ დააქორწინა და დიდი ლხინი გადაუხადა.

გულუხვი და ძუნწი

იყო და არა იყო რა, იყო ორი ღარიბი ამხანაგი—გულუხვი და ძუნწი. ძალიან გაუჭირდათ ახალგაზრდებს სოფლად ცხოვრება და ფულის საშოვნელად სადმე წასვლა გადაწყვიტეს. მოიმზადეს საგზალი, ჩაილაგეს ჩანთებში და გაუდგნენ გზას. ამხანაგებს გზაში მოშივდათ. გაშალეს თავიანთი საგზალი და დაიწყეს ჭამა. ძუნწი ცოტას ჭამდა, გულუხვი კი ბევრს. ჩქარა გულუხვს საჭმელი შემოელია და ძუნწს უთხრა:

— ძმაო, ცოტა პური მაჭამეო.

— ვერა, ვერ მოგცემო, — უპასუხა ძუნწმა. რას იზამდა გულუხვი. განაგრძეს გზა.

ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ გზაჯვარედინთან მივიდნენ. აქ ამხანაგები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ერთი ერთ გზას გაჰყვა, მეორე მეორეს.

გულუხვი ერთ ხეობაში შევიდა. დაჰყვა ხეობას ქვემოთ და ერთ წისქვილს მიადგა. შევიდა შიგ და დაიმალა. დაღამდა თუ არა, მთელი წისქვილი ფერიებით გაივსო. ფერიებმა ხალვა მოამზადეს, ჭამეს, სვეს და დრო გაატარეს. ნარჩენები კი მოაგროვეს და გარეთ გაღაყარეს. ეს ნამცეც-ნაფშხვენები სადღაც ძუნწის კერაზე დაცვივდა. აკრიფა ძუნწმა, შეჭამა და მუცელი ამოივსო.

ჭამის შემდეგ ფერიებმა ერთმანეთში გააბეს საუბარი. ის კი არ იცოდნენ, რომ გულუხვი წისქვილში იყო დამალული და სულგანაბული უსმენდა.

— დღეს რა ნახეთ, სად რას მოჰკარით თვალიო? — ეკითხებოდნენ ფერიები ერთმანეთს.

ერთმა ფერიამ თქვა:

— ამ წისქვილის ქვეშ ოქროებით სავსე ქვევრია. ამ ქვევრს თუ წაიღებენ, წისქვილი გაჩერდება.

მეორე ფერიამ დაუმატა:

— ამა და ამ სოფელს წყალი არა აქვს. ხალხი ძალიანა წვალობს, წყალს

შორიდან ეზიდება, მაგრამ მათ არ იციან, რომ იმ სოფელში ერთი ალვის ხის ქვეშ მთელი წისქვილის სამყოფი წყალი მოედინება. ეს წყალი ჩვენი კუთვნილებაა, ხალხმა არ უნდა გამოიყენოს.

ამასობაში გათენდა კიდეც. მამლებმა იყივლეს. ფერიებმა შეიფრთხიალეს და გაუჩინარდნენ.

გულუხვმა ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა. ფერიების წასვლის შემდეგ გამოვიდა წისქვილიდან და წყლის დინებას გაჰყვა. ცოტა იარა თუ ბევრი, დაინახა, რომ გლეხები მოგროვილან წყაროსთან და ჭურჭლებს ავსებენ. გულუხვი მივიდა გლეხებთან და სთხოვა:

— ძმებო, მშიერი ვარ, პური მაჭამეთო, — გლეხებმა შეიცოდეს საწყალი კაცი, დააპურეს და სოფლისაკენ ერთად გაემართნენ.

მთელი ორი საათი ერთად იარეს. შემდეგ გულუხვმა გლეხები წინ გაუშვა, თვითონ კი ჩამორჩა. გლეხები სოფელში შევიდნენ. გულუხვმა დაიწყო იმ ადგილის ძებნა, სადაც ფერიების თქმით მიწის ქვეშ წყალი უნდა ყოფილიყო. მართლაც იპოვა ის ალვის ხე, დაიხარა და მიწას ყური დაადო. მიწიდან გარკვევით მოესმა წყლის ჩხრიალი. გახარებული გულუხვი წამოდგა და სოფელში შევიდა, მივიდა გლეხებთან და უთხრა:

— ძალზე მწყურია, ცოტა წყალს ვერ დამალევინებთ?

— ვერა, ვერ დაგალევინებთ, რადგან წყალს შორიდან ვეზიდებით, — უპასუხეს გლეხებმა.

— თუ თქვენ მე წყალს დამალევინებთ, სოფელში წყალს გამოგიყვანთო, — უთხრა გულუხვმა.

— ეჰ, შენც ამბობ, რაღა! რაც დედამიწა გაჩნდა, წყალს სულ შორიდან ვეზიდებით და შენ როგორ გააჩენო? — არ დაუჯერეს გლეხებმა.

— თქვენ რა გენაღვლებათ! მე ცოტა წყალი მიშოვეთ, თქვენ ილოცეთ და სოფელში წყალი გექნებათო, — გაუმეორა გულუხვმა.

მეტი რა გზა ჰქონდათ გლეხებს. დაალევინეს წყალი და იმ ღამეს სტუმრად სოფელში დატოვეს, თანაც იფიქრეს: — ამაღამ ეს კაცი აქედან არ გაგვეპაროსო, — და მთელი ღამე რიგრიგობით ყარაულობდნენ.

მეორე დილით ადრე ადგა გულუხვი. გლეხებს ნერაქვი და ნიჩაბი მოატანინა და ალვის ხისაკენ გასწია. გულუხვს გლეხებიც გაჰყვნენ და ყოველ მის მოქმედებას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ. გულუხვმა ალვის ხის ძირას მიწა ერთი მტკაველის სიღრმეზე ამოთხარა და წყალმაც ამოხეთქა. აჩოჩქოლდნენ გლეხები, დაეწაფნენ წყალს. დაიწყეს ერთმანეთში ჩხუბი — არა მე უნდა ავავსო ჭურჭელი, არა მეო! — გულუხვმა დაამშვიდა გლეხები და უთხრა:

— ეს წყალი ბოროტ ძალას გამოვგლიჯეთ, ახლა ხალხისა იქნებაო, ნუ გეშინიათ, წყალს ვერავინ წაგართმევთო.

დაიწყო წყალმა უხვად დენა. მორწყა გლეხების დამშეული მიწა და გლეხებმაც შვება იგრძნეს. კმაყოფილმა გლეხებმა მადლობის ნიშნად გულუხვს

მიწა-წყალი მისცეს და სახლ-კარიც მოუწყვეს. შრომობდა დღედაღამ გულუხვი და სახლი ჩქარა დოვლათით აავსო.

სოფელმა შეიყვარა გამრჯე და პატიოსანი კაცი, შვილივით შეითვისა და ყველაფერში ხელს უმართავდა. ერთხელ გლეხებმა გულუხვს ცოლის შერთვაზე ჩამოუგდეს სიტყვა და სოფლის საუკეთესო ქალები აჩვენეს. ბოლოს, როგორც იყო, ამოურჩიეს ერთი ლამაზი ქალი და ცოლად შერთეს. ქორწილის ღამეს გულუხვმა ცოლს ჰკითხა:

— მავან ხეობაში რომ წისქვილია, ვისიაო?

— ხოჯასიო, — უპასუხა ქალმა.

მეორე დილით ადრე ადგნენ და წისქვილში წავიდნენ. გულუხვს წისქვილის ქვეშ ოქროებით სავსე ქვევრი ეგულებოდა. იპოვეს ქვევრი, ამოთხარეს და სახლში წამოიღეს. იმ ოქროებით ძალზე გამდიდრდა გულუხვი და ცოლშვილში ბედნიერად ცხოვრობდა.

ერთხელ გულუხვის სახლის წინ ერთმა ღარიბმა კაცმა ჩამოიარა. გულუხვმა გამოიხედა სახლიდან და იცნო თავისი ძუნწი ამხანაგი, რომელსაც რამდენიმე ხნის წინათ დასცილდა. გულუხვმა მაშინვე დაუძახა თავის ცოლს და იმ კაცის სახლში ამოყვანა უბრძანა. ჩავიდა ქალი და ძუნწს უთხრა:

— აღა გეძახის, ზევით ამოდიო!

ძალზე გაუკვირდა ღარიბ კაცს, არ მისდევდა სახლში:

— აბა, ეგეთ მდიდარ კაცს როგორ ვეჩვენო, მას ჩემთან რა საქმე ექნებაო?

მაგრამ ქალი ჩააცივდა, ბევრი ეხვეწა და როგორც იყო, დაიყოლია. სახლში აიყვანა და ქმარს მიჰგვარა. გულუხვმა და ძუნწმა ბევრი ილაპარაკეს, ისაუბრეს. ბოლოს გულუხვმა ამხანაგს ჰკითხა:

— ვერ მიცანი ვინა ვარ, განა მე შენი ამხანაგი არა ვარო?

— ვერა, ვერ გიცანი. შენ ჩემი ამხანაგი საიდანა ხარ! შენ მდიდარი ხარ, მე კი ღარიბიო! — უპასუხა ძუნწმა.

მაშინ გულუხვმა ძუნწს ყველაფერი მოაგონა, როგორ წამოვიდნენ სოფლიდან, გულუხვი რომ ბევრსა ჭამდა და საგზალი ჩქარა გაუთავდა, როგორა სთხოვა პური ძუნწს და მან უარი უთხრა, მერე გზაჯვარედინზე ერთმანეთს რომ დასცილდნენ და სხვადასხვა გზით წავიდნენ. მაშინ კი მოაგონდა ძუნწს ყველაფერი და იცნო თავისი ამხანაგი.

— მერედა ასეთ სიმდიდრეს როგორ მიაღწიეო? — ჰკითხა ძუნწმა გულუხვს.

— როგორა და, შენ რომ დაგშორდი, ამა და ამ წისქვილში შევედი და დავიმალე. ღამით მოფრინდნენ ფერიები. ჭამეს, სვეს, იეხიარულეს და მერე ერთმანეთში საუბარი დაიწყეს. მე მათი ლაპარაკი მოვისმინე და ზოგი საიდუმლო გავიგე, და ასე გავმდიდრდი. წადი შენც წისქვილში, სადმე დაიმალე და ფერიების გამოჩენას დაელოდე. მოვლენ ფერიები, ჯერ ივახშმებენ, დროს გაატა-

რებენ და მერე მოჰყვებიან ლაპარაკს. შენ მათი ნათქვამიდან არაფერი გამოგეპაროს, ყური კარგად დაუგდე და მერე ისე მოიქეცი, როგორც საჭირო იქნებაო, — დაარიგა გულუხვმა ძუნწი.

დაუჯერა ძუნწმა ამხანაგს და პირდაპირ წისქვილისაკენ გასწია. შეეიდა წისქვილში და დაიმალა. მართლაც, ღამით მოფრინდნენ ფერიები და დაიწყეს გაჯავრებული ლაპარაკი. ერთმა თქვა:

— აქ ვილაცა ყურს გვიგდებს და ჩვენს საიდუმლოს იგებს. წისქვილის ქვეშ რომ ოქრო იყო შენახული, წაუღიათ!

მეორე ფერიამაც დაიჩივლა:

— სოფელში ალვის ხის ქვეშ დამალულ წყალს ვილაცამ მიაგნო, ამოიყვანა და ახლა მთელი სოფელი სარგებლობს.

გაბრაზებულმა ფერიებმა დაიწყეს წისქვილში კუთხე-კუნჭულის ძებნა-ჩხრეკა. იპოვეს წისქვილში დამალული კაცი.

— ეს იქნება ჩვენი საიდუმლოების გამცემიო, — თქვეს, მისცვივდნენ და მოახრჩვეს.

ასე დაასრულა ძუნწმა თავისი ცხოვრება.

არაგი მოახლე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ქალი. ქალს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. გოგონა მთელი დღე სახლში იჯდა და ქარგავდა. დედა კი შეძლებულ ხალხს სარეცხს ურეცხავდა. ასე ირჩენდნენ თავს.

ერთ დღეს დედა სარეცხის გასარეცხად იყო წასული. გოგონა ოთახის ერთ ფანჯარასთან მიმჯდარიყო და საქმობდა. უცებ საიდანღაც ოთახში ჩიტი შემოფრინდა, გოგონას ხელსაქმეზე ჩამოუჯდა და შესჩიკჩიკა.

— გოგონა, შენს თავს რაღაც უბედურება დატრიალდებაო! — სამჯერ გაუმეორა ესა და გაფრინდა.

საღამოს დედა დაბრუნდა სამუშაოდან, გოგომ ჩიტის ამბავი უამბო. შეწუხდა ქალი და შვილს უთხრა:

— რა ვქნა, შვილო, ხვალ მე ისევ სარეცხად უნდა წავიდე. შენ კი მაგრად ჩაკეტე კარ-ფანჯარა, რომ ის საძაგელი ჩიტი არ შემოფრინდეს და შენი საქმე აკეთეო.

დილას დედა ადგა და წავიდა. გოგონამ მაგრად ჩაკეტა კარები, ფანჯრები და საქარგავს მიუჯდა. უცებ „ფრრრ"-ო გაისმა და კვლავ ის ჩიტი შემოფრინდა, ჩამოუჯდა ხელსაქმეზე და გაუმეორა: — გოგონი, დიდი უბედურება გელისო. — ისევ სამჯერ ჩაიჩიკჩიკა და გაქრა. დაინტერესდა გოგო. — ნეტავ, ეს რას უნდა ნიშნავდესო! — გაიფიქრა და საღამოს, როდესაც დედა შინ დაბრუნდა, ჩიტის ხელმეორედ მოფრენის ამბავი დაახვედრა. შეწუხდა ქალი. — შვილო, ხვალ ოთახიც მაგრად ჩაკეტე, შენ კი საკუჭნაოში შედი და ხელსაქმე იქ სანთლის შუქზე აკეთე, იქნებ ჩიტმა იქ ვერ მოგაგნოსო, — უთხრა დედამ.

გათენდა დილა. დედა სამუშაოდ წავიდა. შვილმა ოთახის ფანჯრები მაგრად ჩაკეტა, კარები გადარაზა, თვითონ შეეიდა საკუჭნაოში, შიგნიდან კარი კარგად ჩაიკეტა, აანთო სანთელი და ხელსაქმეს მიუჯდა.

გავიდა ცოტა ხანი. უცებ ჩიტმა შეიფრთხიალა და კვლავ ქარგაზე ჩამოჯ-

და. სამჯერ შესძახა გოგოს — უბედურება შეგემთხვევაო, — და გაფრინდა. ფრინველის ამ დაჟინებულმა წინასწარმეტყველებამ ისე დაადარდიანა გოგონა, რომ ხელსაქმე ვეღარ გააგრძელა, ერთ ადგილას გაშეშდა და მთელი დღე ფიქრებში გაატარა.

საღამოს გოგონამ დედას აცნობა ჩიტის მოფრენის ამბავი და თანაც დაუმატა: — ასე რომ გაგრძელდეს, ჯავრისაგან გავგიჟდებიო. დედა-შვილმა გადაწყვიტა მეორე დღეს დედა არსად წასულიყო, ეყარაულათ და ჩიტი დაეჭირათ. მაგრამ ჩიტი აღარ მოფრენილა და ეს ამბავიც ნელ-ნელა დავიწყებას ბიეცა.

ერთ დღეს მეზობლის ქალები მოვიდნენ მრეცხავთან და უთხრეს: — ჩვენ მავან ადგილას გასართობად მივდივართ და შენი გოგოც გამოგვაყოლე, ამ ქვეყანაზე ცოტა თვალი ამანაც გაახილოსო.

— არა, ჩემს ქალს ვერავის გავატან, ერთმა ჩიტმა სამჯერ ზედიზედ უბედურება უწინასწარმეტყველა, რა ვიცი, გზაში იქნებ რა შეემთხვესო, — უპასუხა დედამ.

— ქალო, რაებს ამბობ, ნეტავი ერთი შენც მოგცლია. ეს ამოდენა ქალები ერთ გოგოს ვეღარ მივხედავთ? შენ დარდი ნუ გაქვს, ერთი კარგად მივატარ-მოვატარებთ, გავასეირნებთ და მოგიყვანთო. — ჩააცივდნენ ქალები და იმდენი ელაპარაკეს, რომ დედა დაითანხმეს და გოგო თან წაიყვანეს.

ქალებმა სეირნობით გული რომ იჯერეს, უკან დაბრუნდნენ, ერთ წყაროსთან გაჩერდნენ და წყალი დალიეს. გოგოც დაიხარა წყლის დასალევად. უცებ მეზობელ ქალებსა და მას შორის თვალუწვდენელი კედელი აღიმართა. კედელი ისეთი მაღალი იყო, რომ ზედ ვერავინ გადავიდოდა. კედლის იქითა მხარეს დარჩენილმა ქალებმა ატეხეს წივილ-კივილი და ყაყანი.—ეს რა მოგვივიდა, რატომ დედას არ დავუჯერეთ და გოგო სახლში არ დავტოვეთ. განა დედამ თავისი ამბავი უკეთ არ იცოდა, რომ არ მოვეშვით და ჩვენი სიჯიუტით ასეთი უბედურება შევამთხვიეთ? ახლა ქალს რა პასუხი გავცეთ, ნეტავ გაქვავებულიყავით და აქ არ წამოვსულიყავითო! — მოსთქვამდნენ ქალები. კედლის მეორე მხრიდანაც გოგო აძლევდა ბანს. ბოლოს, როცა ქალებმა ტირილით ცოტა გული მოიოხეს, გადაწყვიტეს, მისულიყვნენ მრეცხავ ქალთან და ეს უბედურება შეეტყობინებინათ. იქნებ იმან მაინც რამე იღონოსო, — იფიქრეს და გზას გაუდგნენ. მივიდნენ მოსარეცხესთან და ის იყო ეზოში უნდა შესულიყვნენ, რომ ქალი თვითონ გამოეგება ქუჩაში. შვილმა რომ შეიგვიანა. დედას შეეშინდა, სადმე ხომ არ გაჩერდნენო, გაიფიქრა და ჭიშკართან ლოდინი გადაწყვიტა. ამ დროს ქალებიც გამოჩნდნენ ქუჩაში. დედამ მათ შორის შვილი რომ ვერ დაინახა, შესძახა: — ჩემი გოგო რა უყავითო? იმათ ტირილით უამბეს რაც მოხდა. გამწარებულმა მრეცხავმა ქალებს უსაყვედურა, ხომ გითხარით, ნუ წაიყვანთ, რატომ არ დამიჯერეთო და იქით გაიქცა, სადაც კედელი იყო აღმართული. მიაღწია თუ არა ამ წყაროს, აქეთ დედამ და იქით შვილმა გულსაკლავად შებღავლეს და შესტირეს ერთმანეთს.

ასეთ ტირილსა და ვაებაში კედლის იქით მხარეს გოგოს ჩაეძინა. დილას რომ გამოეღვიძა, დაინახა, კედელში უშველებელი კარია დატანებული. — რაც იქნება, იქნებაო, — გაიფიქრა, გამოაღო კარი და შიგ შევიდა. მის წინ მშვენიერი სასახლე იდგა. გოგომ გაიხედ-გამოიხედა და უცებ თვალში მოხვდა კედელზე ჩამოკიდებული ორმოცი გასაღები. აიღო გოგომ გასაღები და ოცდაცხრამეტი ოთახი გააღო. ოთახები თვალმარგალიტითა და ოქრო-ვერცხლით იყო სავსე. გააღო მეორმოცე ოთახის კარიც და დაინახა, რომ ოთახში ერთი ახალგაზრდა ბეგი იწვა და ეძინა. გოგო მიუახლოვდა ბეგს, გულზე დადებული ქაღალდი ააცალა და წაიკითხა: — ვინც ორმოც დღეს მე ლოცვას წამიკითხავს და დამინიავებს, მთელ ჩემ ქონებას მას მივცემ. თუ ქალი იქნება ცოლად ვითხოვო, — ეწერა ქაღალდზე. გოგომ მაშინვე მიიღო აფთესი, დაუჯდა ვაჟს თავთან, აიღო საგრილობელი და შეუდგა საქმეს.

ოცდაცხრამეტი დღე უკითხავდა ლოცვას მძინარე ბეგს და უნიავებდა. მეორმოცე დღეს ფანჯარაში ერთი არაბი მოახლე ქალი დაინახა. დაუძახა და სთხოვა, ცოტა ხანს ბეგს უნიავე, მე თავს მივხედავო. იმ დღეს ხომ ბეგს უნდა გამოღვიძებოდა! გამოვიდა გოგო ბეგის ოთახიდან და მორთვა-მოკაზმვა დაიწყო. ამასობაში არაბმა მოახლემ ბეგის გულზე დადებული ქაღალდი წაიკითხა და მიხვდა რაშიც იყო საქმე. გავიდა ცოტა ხანი. უცებ ბეგმა ცხვირი მაგრად დააცემინა და წამოდგა. ბის გვერდით არაბი მოახლე რომ დაინახა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა-ალერსი. ამასობაში გოგომ ვაათავა მორთვა და გამოწყობილი შევიდა ბეგის ოთახში. არაბმა მოახლემ დაინახა თუ არა მშვენივრად ჩაცმული გოგო, მორთო ყვირილი: — დამიხედეთ ერთი მაგ კახპასა, მე დიდებული ბეგის ცოლი, დახეულ-დაგლეჯილი დავდივარ და ეს ვიღაცა ქუჩის ქალი კი გამოპრანჭულა და მობრძანებულაო. გამოლანძღა არაბმა მოახლემ გოგო და გააგდო გარეთ. ბეგი დაინტერესა ამ ამბავმა, მაგრამ გაჩუმდა და ხმა არ ამოიღო. ბოლოს გოგო მზარეულად დანიშნა და თვითონ კი არაბი მოახლე ითხოვა ცოლად.

დღესასწაული ახლოვდებოდა. ბეგმა თავის ცოლს და გოგოს ჰკითხა რა სურდათ საჩუქრად. არაბმა მოახლემ ბეგს ძვირფასი ტანსაცმელი სთხოვა. გოგომ კი ყვითელი საპონი და შავტარიანი დანა. ბეგმა ორივეს შეუსრულა თხოვნა, მაგრამ გოგოს სათხოვარმა ცოტა არ იყოს გააკვირვა და ეჭვი აღუძრა. — ნეტავ დღესასწაულისათვის ეს გამოუსადეგარი საგნები რაში სჭირდებაო. — გაიფიქრა და გოგოს ჩუმად უკან გაჰყვა. გოგომ ბეგს გამოართვა საჩუქარი და სამზარეულოში შეიტანა. ბეგიც უკან შეჰყვა და ერთ კუთხეში დაიმალა. შუაღამისას გოგომ საპონი წინ დაიდო, შავტარიან დანას ხელი მოჰკიდა და თავისი თავგადასავლის თხრობა დაიწყო. ყველაფერი თავიდან ბოლომდე უამბო ყვითელ საპონს. ამბის თხრობისას ყვითელმა საპონმა აქაფება დაიწყო. საპონი ნელ-ნელა ქაფდებოდა და ბუშტებს უშვებდა. ქალმა გაათავა თუ არა თავისი ამბავი, საპნის ბუშტიც გასკდა. — ჰეი, ყვითელო საპონო, შენც კი ვერ

აიტანე ჩემი გასაჭირი და გასკდი, მე ხომ ადამიანი ვარ, როგორღა მოვითმინო ეს ყველაფერი? — თქვა და ის იყო დანა მკერდში უნდა დაერტყა, რომ ბეგი ხელში წვდა და დანა გამოსტაცა. — ახლა ყველაფერი გავიგე, ჩემი მხსნელი ნამდვილად შენ ყოფილხარ და არა ის გაიძვერა გომბიოო,—უთხრა ბეგმა გოგოს და ცოლად შერთვა აღუთქვა. ჩქარა გადაიხადა ბეგმა ქორწილი და სასახლეში ორმოცი დღე და ღამე ქეიფი და ლხინი არ შეწყვეტილა. ქორწილის შემდეგ ბეგმა იხმო არაბი მოახლე თავისთან და ჰკითხა: — რით გირჩევნია სიკვდილი: ჯორის კუდზე გამოგაბა, თუ თავი მოგჭრაო?

ქალმა ჯორის კუდზე გამობმა ირჩია. — ეგრე იქნებ ჩემს სამშობლოს მივაღწიო, ორმოცი დანა კი მტრის კისერზე იყოსო!

მაშინვე გამოაბეს მხლებლებმა არაბი მოახლე ჯორის კუდს და ჯორს მათრახი გადაუჭირეს. მოსწყდა ჯორი ადგილს, გადაიარა მთები, კლდეები და არაბი მოახლე ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ბეგმა და გოგომ კი ბედნიერად იწყეს ცხოვრება.

ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ქალი. ქალს სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. სულ უმცროსი ვაჟი მეტისმეტად უქნარა იყო. მთელი დღეები სახლში იჯდა და ნაცარში გორაობდა. ერთ დღეს ორი ძმა ყანაში სამუშაოდ წავიდა. დედას დაუბარეს, შუადღისას დას საჭმელი გამოატანე ჩვენთანო. დედამ მოამზადა საჭმელი, ჩააწყო კალათში და გოგონას გაატანა. თურმე იქვე მახლობლად ერთი საზარელი დევი ცხოვრობდა. ამ დევის შიშით ცაში ჩიტს ვერ გადაეფრინა და დედამიწაზე ჭიანჭველას ვერ გაეელო. გოგონას გზა დაებნა და სწორედ ამ დევის სამყოფელს მიადგა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და წინ სამთავიანი დევის დედა შემოხვდა:

— შვილო, აქ რა გინდა? წამოდი, სახლში შეგიყვან და დაგმალავ, თორემ მე სამი შვილი მყავს, ახლა ჩქარა დაბრუნდებიან და შენ აქ რომ დაგინახავენ, გადაგყლაპავენ, ცოდო ხარო, — უთხრა დედაბერმა.

შეშინებულმა გოგონამ მოხუცს არაფერი უპასუხა და ოთახში შეჰყვა. გოგონა თურმე დევების მამასაც დაენახა. ამოეფარა კედელს და ცოლს ჩუმად უთხრა:

— ქალო, გოგოს აანთებინე ცეცხლი და უთხარი შეუბეროს. მე უკანიდან მივეპარები და გადავყლაპავო.

დევების დედამ გოგონა მიიყვანა კერიასთან და უთხრა:

— შვილო, ალბათ მოგშივდებოდა, მოდი, შენ ცეცხლი დაანთე და მე კი ცომს მოვზელო.

დაიხარა გოგონა და შეუკეთა ცეცხლს. ამ დროს სწვდა დევი და გადაყლაპა.

შუადღისას ძმებმა დაუწყეს დას ლოდინი. აი, ახლა გამოჩნდება და საჭმელს მოგვიტანს, აი, ახლაო, მაგრამ ამაოდ. გოგონა არა ჩანდა. შუადღე გადა-

ვიდა. გაიარა სამხრობამაც. საღამო ჟამს ძმებმა უკვე იმედი დაკარგეს და შინ დაბრუნდნენ.

— დედი, საქმელი რატომ არ გამოგვიგზავნე? — უსაყვედურეს ვაჟებმა დედას.

— როგორ არა, შვილებო, თქვენს დას გამოვატანეო, — უპასუხა დედამ.

მაშინ კი ყველა მიხვდა, რომ დას გზა დაეკარგა.—ნამდვილად დეევებს ჩაუვარდა ხელში, — იფიქრა უფროსმა ძმამ, მაშინვე ფეხზე წამოხტა და დის საძებნელად გაემართა.

იარა, იარა და ერთ ფურნეს მიადგა. გზად ერთმა მგზავრმა გამოიარა და ვაჟს ურჩია:

— შეეამე რაც კი პურებია ამ ფურნეში, და დევი მოკვდებაო.

— ეს იოლი საქმეაო, — გაუხარდა ვაჟს და პურის ჭამას მოჰყვა, მაგრამ ერთი პურიც კი ძლივს გაათავა. — აღარ შემიძლიაო, — თქვა და ჭამას თავი ანება.

წამოვიდა ვაჟი იქიდან და გზა განაგრძო. გაიარა კიდევ ცოტა მანძილი და გზაზე ერთ ღვინით სავსე უზარმაზარ ქვაბს წაადგა. იმ მგზავრმა ისევ ჩამოიარა და ვაჟს ჰკითხა:

— სად მიდიხარო?

ვაჟმა ამასაც უამბო თავისი დარდი. მგზავრმა ურჩია:

— რაც ამ ქვაბში ღვინოა, შენ თუ იმას დალევ, დევი მოკვდებაო.

ეადვილა ვაჟს ეს საქმეც და ღვინის სმა დაიწყო, მაგრამ ცოტა დალია თუ არა, — ვაიმე, გავსკდიო! — თქვა და ღვინის სმას თავი ანება.

არც აქ გაჩერდა ვაჟი. დის საძებნელად გასწია. იარა, იარა და გზის პირად ორი ხიდი დაინახა. ერთი ფიცრისა იყო, მეორე კი რკინის. ხიდების თავში ორი ვაშლის ხე იდგა, ერთი ტკბილი, მეორე მწარე. როდესაც ვაჟმა ხიდზე გადასვლა დააპირა, სამთავიანმა დევმა დაინახა და ცოლს უთხრა:

— მოდი, ერთი ვნახოთ, რკინის ხიდზე გადმოვა თუ ფიცრისაზე, მწარე ვაშლს შეჭამს თუ ტკბილსაო.

ვაჟმა იფიქრა: ფიცრის ხიდზე რომ გავიდე, ვაითუ ჩამიტყდესო — და რკინისაზე გადავიდა. ვაშლის ხეებთან რომ მივიდა, მწარე ვაშლს ხელი არ ახლო: — ჯერ არ დამწიფებულაო, — მწიფე მოწყვიტა და შეჭამა. დაინახა ეს სამთავიანმა დევმა და ცოლს უთხრა:

— დღეს ჩვენი საქმე კარგადაა. ესეც ჩვენი ლუკმა არის, წადი, ახლავე დაიჭირე და ისევე მოექეცი, როგორც იმ გოგოსო.

ადგა დედაბერი, მიუახლოვდა ვაჟს და ჰკითხა:

— ვინ ხარ, სად მიდიხარო?

ვაჟმაც უამბო ყველაფერი დედაბერს.

— შვილო, მე ვიცი შენი და სადაც არის და გაპოვნინებო, — უთხრა დე-

ვის დედამ და ვაჟი სახლში შეიყვანა. მასაც აანთებინა ცეცხლი, მერე კი ვაჟს უკნიდან დევი მიეპარა და გადაყლაპა.

სახლში დიდხანს უცადეს და-ძმას, მაგრამ როცა არ იქნა და არ გამოჩნდნენ, შუათანა ძმა წამოდგა და თქვა:

— წავალ, ერთი ვნახავ, იმათ თავს რა ამბავია, — გამოვიდა სახლიდან და გზას გაუდგა. ისიც ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა, გზაზე შეხვდა ფურნეს, მგზავრს, ხიდებს, ვაშლის ხეებს. ისიც რკინის ხიდზე გადავიდა და ტკბილი ვაშლი შეჭამა. მასაც დევების დედა შეეგება და საბოლოოდ დევის მუცელში ამოყო თავი.

რიგი უმცროს ძმაზე მიდგა. როცა დაინახა ნაცარქექიამ, რომ და-ძმანი სახლში აღარ დაბრუნდნენ, წამოდგა: — მე წავალ და სამივეს ვიხსნიო, — თქვა და სახლიდან გამოსვლა დააპირა, მაგრამ დედა შეეხვეწა:

— შვილო, შენ სადღა მიდიხარ, ხომ ნახე, სამნი წავიდნენ და უკან არც ერთი აღარ დაბრუნებულა, შენც გინდა, რომ ხელიდან გამომეცალოო?

მაგრამ ნაცარქექიამ ყური არ ათხოვა დედის მუდარას და და-ძმების საშველად გაემართა.

გამოვიდა ნაცარქექია გარეთ და ნაცარი რომ შეიბერტყა, ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ ახლომახლო მყოფმა გლეხებმა შიშისაგან მოჰკურცხლეს და გუთნები უპატრონოდ მიატოვეს. მივიდა ნაცარქექია, მოაგროვა გუთნები, მიუტანა მჭედელს და რკინისაგან დიდი გურზის გაკეთება სთხოვა: — ეგ გურზი ისეთი მაგარი უნდა იყოს, ჰაერში რომ ავაგდებ და ქვეშ თითს შევუშვერ, თითზე დაცემისას არ უნდა დაიმსხვრესო.

მჭედელმა ნაცარქექიას შეკვეთა შეუსრულა. ააგდო ნაცარქექიამ გურზი ჰაერში და ქვევიდან თითი შეუშვირა. დაეცა თუ არა თითზე გურზი, სულ ნამსხვრევებად იქცა.

— არ ვარგა შენი გაკეთებული გურზი, — უთხრა ნაცარქექიამ მჭედელს და წამოვიდა. მოვიდა შინ, ნაცარში გადაგორდ-გადმოგორდა, ამოიგანგლა და გარეთ გამოვიდა. იქ ერთი კარგად შეიბერტყა ტანისამოსი და კვლავ მტვრის კორიანტელი დააყენა. შეშინებულმა გლეხებმა ისევ კისრისტეხით მოუსვეს, ნაცარქექიამ კი მოაგროვა მიტოვებული გუთნები, მიუტანა მჭედელს ძველი და ახალი რკინეული და ისევ გურზი შეუკვეთა. ახლა გურზმა გამოცდას გაუძლო და აღარ დამსხვრეულა. წამოიღო ნაცარქექიამ გურზი და გზას გაუდგა.

იარა, იარა და ფურნესთან მივიდა. გამოიარა მგზავრმა და მიესალმა.

— საით მიდიხარო? — ჰკითხა მან ნაცარქექიას.

— ჩემი და-ძმები სამთავიანმა დევმა დაიჭირა და ისინი უნდა ვიხსნაო. — უპასუხა ნაცარქექიამ.

— შენ დევის მოკვლას მაშინ შესძლებ, თუ ამ ფურნეში რაც პურია სულ შეჭამ და გზაზე რომ დიდი ქვაბით ღვინო დაგხვდება, იმასაც დალევო, — უთხრა მგზავრმა.

— რა გაეწყობა, უნდა შევჭამო და დავლიოო, — მიუგო ნაცარქექიამ და პურის ჭამა დაიწყო. შეჭამა რაც კი პური იყო ფურნეში და ღვინის ქვაბისაკენ გაემართა. ღვინოც სულ დალია და გზა განაგრძო. მიადგა ორ ხიდს, ერთს ფიცრისას, მეორეს — რკინისას.

— რა ვქნა, რომლით გავიდეო,—გაიფიქრა ნაცარქექიამ. ამ დროს ნაცარქექია სამთავიანმა დევმა დაინახა და ცოლს გასძახა:

— ქალო, დღეს ბედმა გაგვიღიმა, ხიდის თავში ვიღაც დაეხეტება. ერთი კარგად უყურე, რომელ ხიდზე გამოვა და რომელ ვაშლს შესჭამსო.

დედაბერმაც დაუწყო ნაცარქექიას თვალთვალი. ნაცარქექიამ იფიქრა, ეფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა ფიცრის ხიდზე გასულიყო.

— რკინის ხიდზე ყველა გავა, ვაჟკაცობა ფიცრის ხიდზე გავლაა, სამთავიანი დევის მოსაკლავად მივდივარ და ამან როგორ უნდა შემაშინოსო. გაიარა ფიცრის ხიდზე, ნახა, ხიდის თავში ორი ვაშლის ხე დგას. ერთს მწიფე ვაშლი ასხია, მეორეს — მკვახე.

— მწიფე ვაშლის ჭამა ხომ ყველას შეუძლია, საქმე ის არის, მკვახე ვჭამოო, — თქვა და მწარე ვაშლი შეჭამა.

ეს ყველაფერი დედაბერმა რომ დაინახა, სამთავიან დევს შეატყობინა. ძალზე შეეშინდა დევს.

— ეს ბიჭი თავის ძმებს არა ჰგვანებია, მაგას ცეცხლს ვერ დავანთებინებო, — გაიფიქრა და ცოლს გურზის მომზადება უბრძანა. ნაცარქექიამ სამთავიანი დევი შორიდანვე დაინახა, მაშინვე გაეშურა მისკენ და მიესალმა. დევმაც სალმითვე უპასუხა და ნაცარქექიას მიუბრუნდა:

— სალამი რომ არ მოგეცა, ერთ ყლუპად არ მეყოფოდიო.

— შენ კი, ჩემს სალამზე რომ არ გეპასუხა, ჩემი გურზით სულს გაგაფრთხობინებდიო. — მიუგო ნაცარქექიამ.

— რაო, მაშ შენ ისეთი ვაჟკაცი ხარ, რომ ეგრე მემუქრები? — გაცხარდა დევი.

— დიახ, სწორედაც რომ ეგეთი ვაჟკაცი გახლავარ! — უპასუხა ნაცარქექიამ.

— მაშ თუ ეგრეა, ჰა ბურთი და ჰა მოედანი! მოდი, დამარტყი, ვნახოთ, ვინ აჯობებსო! — გაბრაზდა დევი.

— მერიდება, პირველმა როგორ დაგარტყა, თუ ვაჟკაცი ხარ, შენ მესროლე!

დაუმიზნა დევმა შორიდან და გამოსტყორცნა გურზი. ნაცარქექიამ დაახვედრა ნეკი და გურზი ნამსხვრევებად აქცია. ჯერი ნაცარქექიაზე მიდგა. ესროლა სამთავა დევს გურზი და დევმა სულისღაფვა დაიწყო.

— თუ ვაჟკაცი ხარ, ერთი კიდევ დამარტყი,—შეეხვეწა დევი ნაცარქექიას, მაგრამ ნაცარქექიამ — ვაჟკაცს ორჯერ დარტყმა არ შეჰფერისო, დედამ მე ერთხელ მშობაო, — უთხრა და მომაკვდავ დევს მოსცილდა. ნაცარქექიამ ახლა

დევის ცოლი მოძებნა და ისიც თავის ქმრის გზას გაუყენა. შემდეგ გაუპრა-დევს მუცელი, თავისი ორი ძმა და და გაათავისუფლა და ყველანი ერთად თა-ვიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ.

შუა გზას რომ მიაღწიეს, ძმებმა წყალი მოითხოვეს:

— დევის მუცელში ძალიან მოგვწყურდა და თუ არ დავლევთ, ისე ვერ ვივლითო.

ნაცარქექიამ მიიხედ-მოიხედა და იქვე ჭა შენიშნა. ეიიყვანა ძმები ჭასთან, შემოხსნა ყველას ქამრები, გადაბა ერთმანეთზე და უფროსი ძმა ჭაში ჩაუშვა. ვაჟმა მიაღწია თუ არა შუა ჭამდე—ვაიმე, ვიწვიო!—დაიყვირა. ამოიყვანეს უფ-როსი ძმა ჭიდან და ახლა შუათანა ძმა ჩაუშვეს. იმანაც ისევე, როგორც უფ-როსმა ძმამ, როგორც კი შუამდე ჩავიდა, იღრიალა: დავიწვიო! და ზევით ამო-იყვანეს. ჯერი ნაცარქექიაზე მიდგა. სანამ ნაცარქექიას ჭაში ჩაუშვებდნენ, ძმებს უთხრა: — რამდენიც არ უნდა ვიყვირო, არამც და არამც ზევით არ ამო-მიყვანოთ, სულ ქვევით ჩამიშვითო.

ჩავიდა ნაცარქექია ჭაში. მივიდა შუამდე და მორთო ყვირილი. მაგრამ ძმებმა ყურიც არ ათხოვეს მის ყვირილს და უფრო ღრმად ჩაჰკიდეს ჭაში. როგორც იქნა, ვაჟმა ჭის ფსკერს ჩაღწია. გაიხედა და პირდაპირ ოთახი დაინახა. ადგა ნაცარქექია და იმ ოთახში შევიდა. ოთახში სამი მზეთუნახავი ქალი იჯდა. ქალებმა ნაცარქექია რომ დაინახეს, შეეშინდათ და მიაძახეს:

— ჭაბუკო, ჩვენთან როგორ მოხვედი? აქ ერთი დევია, რომ დაგინახოს, მაშინვე შეგჭამსო.

ნაცარქექია არ დაიბნა და უპასუხა:

— მეც სწორედ მაგისათვის გეახელით. რამდენი ხანია, მაგ დევს დავეძებ, აბა ერთი მაჩვენეთ, დევის ოთახი რომელიაო!

ქალებს შეებრალათ ვაჟი და დაუწყეს სვეწნა:

— შენი თავი როგორ არ გენანება. ახალგაზრდა კაცი ტყუილუბრალოდ თავს დაიღუპავ. მოდი, ამ საქმეს თავი დაანებე და საიდანაც მოსულხარ, ისევ იქეთ გასწიო.

გაჯიუტდა ნაცარქექია:

— რადაც უნდა დამიჯდეს, ის დევი უნდა ვნახოო!

მეტი რა გზა ჰქონდათ მზეთუნახავებს, აჩვენეს ვაჟს დევის ოთახი და ნა-ცარქექია იქით გაეშურა. შეაღო ნაცარქექიამ დევის ოთახის კარი და შიგ შე-ვიდა. დევმა დაინახა თუ არა მის ოთახში ვაჟი, დაიბუტბუტა:

— ჩემი შიშით აქ როგორ შემოჰბედეო!

— სწორედ შენს მოსაკლავად მოვედი. შენ ვინა ხარ, რომ შენი შემეშინ-დესო! — მიუგო ნაცარქექიამ.

გაბრაზდა დევი, სტაცა თავის გურზს ხელი და ფეხზე წამოხტა.

— თუ ვაჟკაცი ხარ, პირველად შენ დამკარიო! — შესძახა ვაჟმა.

დევმა მოუქნია ნაცარქექიას გურზი. დაიხარა ვაჟი და აიცდინა. დიდი ძა-

ლით მოქნეული გურზი თვითონ დევს მოხვდა თავში და იქვე სული გააფრთხობინა.

როგორც კი დევი მოკვდა, მზეთუნახავები მისცვივდნენ ვაჟს და დაუწყეს კოცნა:

— შვიდი წელია, რაც ამ დევს ტყვედა ვყავართ, შენ გვიხსენი და ახლა საცა გინდა იქ წაგვიყვანეო.

ნაცარქექიამ ქალებს ერთი დოქი წყალი სთხოვა. წამოიყვანა მზეთუნახავები და ჭიდან ზევით ამოსვლა დააპირა. სანამ ქალებს ზევით აგზავნიდა, ყველას სათითაოდ გამოუცხადა: უფროსს უთხრა: — შენ ჩემი უფროსი ძმისთვის მინდიხარო, შუათანას — შენ ჩემი საშუალო ძმისთვისაო. სულ პატარას რომ მიუბრუნდა, მისმა სილამაზემ გააოცა და უთხრა: — რადგან შენც ჩემსავით ყველაზე უმცროსი ხარ, ცოლად მე მერგე. ზევით, ჭის თავზე, ჩემი ორი ძმა და ერთი და მელოდება, აიტანეთ ეს ერთი დოქი წყალი, ადით და მე ყველაზე ბოლოს ამოვალო.

აუშვა ორი უფროსი და და წყალიც გაატანა. ახლა უმცროსი დის ჯერი დადგა, მაგრამ ქალი არ დაეთანხმა: — სილამაზით მე ჩემს დებსა ვჯობივარ, როდესაც შენი ძმები დამინახავენ, თავიანთ საცოლეებზე უფრო მე მოვეწონები, შენზე გაბრაზდებიან და ჭიდან აღარ ამოგიყვანენ. მოდი, ჯერ შენ ადი ზევით და მერე მე ამიყვანეო.

არ დაუჯერა ნაცარქექიამ ქალს.

— პირველად შენ ადი, მე როგორმე ამოვალო.

რამდენჯერმე სთხოვა ქალმა ვაჟს, მაგრამ თავისზე წინ მაინც ვერ აგზავნა. მზეთუნახავი დაჰყვა ვაჟის ნებას და ზევით ასასვლელად მოემზადა, მაგრამ სანამ ზევით ავიდოდა, ქალმა უბიდან ერთი პატარა ყუთი ამოიღო და ვაჟს გაუწოდა:

— როცა კი გაგიჭირდეს, ამ ყუთიდან კვეს-აბედი ამოიღე, დააკვესე და ერთი არაბი გამოგეცხადება. ამ არაბს რასაც კი დაავალებ, ყველაფერს შეგასრულებს; თანაც თუ შენი ძმები ზევით არ ამოგიყვანენ და აქ დაგტოვებენ. იცოდე, ქვემოთ ერთი აუზია, რომელთანაც ყოველდღე ორი ცხვარი მოდის. ამ ცხვრებიდან ერთი თეთრი იქნება, მეორე კი შავი. თუ შავ ცხვარზე შეჯდები, ქვესკნელში ჩაგიყვანს, თუ თეთრზე — ზევით ამოგიყვანს.

ამ სიტყვების შემდეგ ვაჟმა თავისი საცოლე ზევით აგზავნა. ძმებმა მზეთუნახავი რომ დაინახეს, შეშურდათ, რომ მათი საცოლეები ესოდენ ლამაზნი არ იყვნენ. გაბრაზდნენ უმცროს ძმაზე და ჭიდან აღარ ამოიყვანეს. წამოიყვანეს სამი მზეთუნახავი და შინისაკენ გამოსწიეს.

დარჩა ჭაში ნაცარქექია. ეწყინა ძალიან, რომ ძმებმა ასე უღალატეს და ჭაში მარტოდმარტო დატოვეს. უცებ გაახსენდა თავისი საცოლის ნათქვამი. მივიდა აუზთან და ცოტა ხანს იქ გაჩერდა. მართლაც, აუზს ორი ცხვარი მოუახლოვდა, ერთი თეთრი, მეორე კი შავი. ცხვრები ერთმანეთს ეთამაშებოდნენ.

მიეპარა ვაჟი ცხვრებს, შეეცადა თეთრზე შეჯდომას, მაგრამ შავ ცხვარს მოექცა ზურგზე. შავმა ცხვარმა ვაჟი თვალის ერთ დახამხამებაში ქვესკნელში ისროლა. გაახილა ვაჟმა თვალი და დაინახა, რომ მარტოდმარტო გდია ერთი მდინარის პირას. — ასე მარტო აქ როდემდე ვიყოო, — გაიფიქრა და ქალის მიერ ბოძებული ყუთი მოაგონდა. ამოიღო ყუთიდან კვეს-აბედი, ჩამოჭრა ერთმანეთს და მის წინ ერთი უზარმაზარი არაბი გამოიჭიმა.

— საჩქაროდ ერთი ხელი ძველი ტანსაცმელი და საქონლის შიგნეული მომიტანეო!—უბრძანა ვაჟმა არაბს. არაბმა ვაჟის ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულა. ჩაიცვა ნაცარქექიამ ძველი ტანსაცმელი, საქონლის ფაშვი თავზე წამოიცვა და ქალაქისაკენ გაემართა. მივიდა წნილით მოვაჭრის დუქანთან და შეგირდად აყვანა სთხოვა. წნილის გამყიდველმა ვაჟი აათვალიერ-ჩაათვალიერა, მოეწონა და თავის შეგირდად აიყვანა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ვაჟი ბეჯითად ასრულებდა თავის მოვალეობას და ვაჭარიც კმაყოფილი იყო.

ერთ დღეს ქალაქში ერთი აურზაური ატყდა. ფადიშაჰის მაცნეები გამოსულიყვნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ.

— ეს რასა ნიშნავსო? — იკითხა ვაჟმა.

— შვილო, ჩვენს ქალაქს ერთი დევი შემოეჩვია. ეს დევი წელიწადში ერთხელ წყალს გვაძლევს და სამაგიეროდ თითო ქალი მიჰყავს. ჩვენს ქალაქში უკვე აღარც ერთი ქალი აღარ დარჩა და ახლა ჯერი ფადიშაჰის ქალიშვილზეა მიმდგარი. ფადიშაჰმა ქალაქში მაცნეები გამოგზავნა და ხალხს აუწყებს, რომ ვინც ამ დევს მოჰკლავს, თავის ქალიშვილს მას მიათხოვებს და ყველა სხვა სურვილსაც შეუსრულებსო, — უპასუხა წნილის გამყიდველმა.

ვაჟმა ეს გაიგონა თუ არა, მაშინვე დუქნიდან გამოვიდა, ერთ მოფარებულ ადგილას მივიდა. არაბი იხმო და უბრძანა:

— სასწრაფოდ ერთი ხელი სუფთა ტანსაცმელი, ერთი გურზი და ერთიც ფარი გამიჩინეო!

გაქრა არაბი და ერთ წამში ვაჟს ყველაფერი მოუტანა. ვაჟმა ჩაიცვა ტანსაცმელი და პირდაპირ სასახლისაკენ გაეშურა. მივიდა ფადიშაჰთან და მოახსენა:

— დიდებულო ფადიშაჰო, მაგ დევს მე მოვკლავო.

— შვილო, შენ ჯერ სულ ახალგაზრდა ხარ. რამდენი ვაჟკაცი დამარცხებულა ამ დევთან ბრძოლაში. ცოდო ხარ, შენს თავს აგრერიგად ნუ გასწირავო, — ურჩია ფადიშაჰმა.

— ეჰ, დიდებულო მბრძანებელო, რამდენი დევი მომიკლავს, მაგ ერთმა დევმა უნდა შემაშინოს? ნუ გენაღვლებათ. თქვენს ქალსაც ვიხსნი და მაგ დევსაც ჩავაძაღლებო, — მიუგო ვაჟმა.

„იქნებ ალაჰმა ეს ვაჟი მართლაც მხსნელად მოგვივლინაო“, — გაიფიქრა

ფადიშაჰმა, თავისი ქალიშვილი გამოაწყო, გამოემშვიდობა და ვაჟს გაატანა, თან მშობლიური ლოცვა-კურთხევა და დიდი ჯარი გააყოლა.

წამოიყვანა ნაცარქექიამ ფადიშაჰის ქალიშვილი და იმ წყაროსთან მივიდა, სადაც დევი ხალხს წყალს აძლევდა. ვაჟმა ქალს მიმართა:

— მე ძლიერ დავიღალე, და მოდი შენს კალთაზე ცოტას დავიძინებო. დევი როგორც კი გამოჩნდება, მაშინვე გამაღვიძეო. — ჩაუდო ვაჟმა ქალს კალთაში თავი და მაშინვე ჩაეძინა. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა დევი და თვალი მოჰკრა თუ არა ქალ-ვაჟს, მათკენ გამოემართა. ფადიშაჰის ქალიშვილმა ვაჟის გაღვიძება დაუპირა, მაგრამ შეეცოდა, აღარ გააღვიძა, თვითონ კი სიმწრისაგან ცრემლები გადმოსცვივდა და ვაჟს ლოყაზე დაეწვეთა. ვაჟმა ლოყაზე რაღაც სისველე იგრძნო თუ არა, თვალი გაახილა და ქალს ჰკითხა:

— რა მოხდაო!

ქალმა უპასუხა:

— დევი ჩვენსკენ მოდის და სიკვდილს არ ღაგვაყრისო.

ამის გაგონებაზე ვაჟი ფეხზე წამოიჭრა, აისხა იარაღი და დევის დასახვედრად მოემზადა. დევმა ვაჟი რომ დაინახა, გაუხარდა: ამ წელიწადს ბედმა ორი ყაცი მარგუნაო, — გაიფიქრა და კბილების კრაჭუნი დაიწყო.

— თუ ვაჟკაცი ხარ, დამარტყი, ერთი ვნახოთო! — შესძახა ვაჟმა.

გაეცინა დევს და მოუქნია ვაჟს გურზი. ვაჟმა დევის გურზს თითი დაახვედრა და მტვრად აქცია. ახლა ნაცარქექიამ შემოუქნია გურზი დევს და იქვე ჩააძაღლა.

ფადიშაჰის ქალიშვილი და ჯარი დაწინაურდნენ და ფადიშაჰს ახარეს დევის სიკვდილი. გაუხარდა ფადიშაჰს. სამ დღესა და ღამეს ზეიმობდა მთელი ქალაქი და ფადიშაჰის სასახლე გადარჩენას, მეოთხე დღეს ფადიშაჰმა დაიბარა ნაცარქექია და უთხრა:

— შვილო, ჩემი ქალი შენია, თუ სხვა რამეცა გსურს, მთხოვეო.

— დიდებულო მბრძანებელო, თქვენი კარგად ყოფნის მეტი არა მინდა, რაო, — უპასუხა ვაჟმა.

— მაშ თუ ასეა, საქორწინო მზადებას შეეუდგეთ! — ბრძანა ფადიშაჰმა.

— დიდებულო მბრძანებელო, მაპატიეთ, მაგრამ მე ჩემს ქვეყანაში საცოლე მყავს. ნება მიბოძეთ წავიდე და ისიც აქ მოვიყვანო. შვიდ წელიწადს მიცადეთ, თუ დაებრუნდი, თქვენს ქალიშვილსაც ვითხოვ, თუ არადა, დამიეწყეთო, — უთხრა ესა, გამოემშვიდობა ფადიშაჰსა და მის ქალიშვილს და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ უშველებელ ხეს წაადგა. ხეს გარშემო დიდი გველი შემოხვეოდა და ზევოთ მიხოსავდა. ზევით, ხის ტოტზე შიშისაგან სულგანაბული ბარტყები შეყუჟულიყვნენ. ეს რომ ვაჟმა დაინახა, გველს მოუქნია გურზი და თავი გაუპეპეა. სიარულისაგან დაღლილ-დაქანცული ნაცარქექია იქვე ხის ძირას მიწვა და დაეძინა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოფრინდა ბარ-

ტყების დედაც. ხის ქვეშ მწოლარე ვაჟი რომ დაინახა, მისკენ გაქანდა და დაგლეჯა დაუპირა. თურმე გველი ყოველ წელიწადს მოდიოდა და ამ ფრინველს ბარტყებს უპამდა. ახლაც ფრინველს ვაჟი თავისი ბარტყების მპამელი ეგონა და ამიტომ ეძგერა თავგამეტებით, მაგრამ ბარტყებმა დედა შეაჩერეს და ყველაფერი უამბეს. ეს რომ გაიგო დედა ჩიტმა, გაშალა ფრთები და ვაჟს დაუჩრდილა.

ნაცარქექიამ კარგად რომ გამოიძინა, გაახილა თვალი და გაუკვირდა, რომ უზარმაზარი ფრინველის ფრთების ჩრდილი ედგა თავზე.

— შენ ჩემი ბარტყები განსაცდელისაგან იხსენი და ახლა რაც გინდა, მთხოვეო.

— ერთადერთი სათხოვარი მაქვს. თუ შეგიძლია, ჩემს ქვეყანაში ამიყვანეო, — უთხრა ვაჟმა.

— შენი ზევით აყვანა შემიძლია, მაგრამ ორმოცი ბათმანი ხორცი უნდა მომიტანო, ორმოცი ბათმანი წყალი. „ყას“ რომ დავიძახებ, ხორცი მომაწოდე, „ყის“ დავიძახებ და წყალი დამალევინეო, — უთხრა ფასკუნჯმა ვაჟს.

ნაცარქექიამ ჯიბიდან ამოიღო ყუთი, გაკრა კვეს-აბედს და არაბს ხორცისა და წყლის მოტანა დაავალა. არაბმა მაშინვე გააჩინა ხორცი და წყალი. ვაჟმა სანოვაგე აჭიდა ფასკუნჯს ერთ ფრთაზე, მეორეზე თვითონ შეჯდა და გაფრინდნენ. როდესაც ფრინველი „ყას“ დაიძახებდა, ნაცარქექია ხორცს აძლევდა, „ყის“ დაძახებაზე წყალს ასმევდა. ასე ააღწიეს დედამიწას. ამოფრინდა თუ არა ფასკუნჯი ქვესკნელიდან დედამიწაზე, ვაჟი გადმოხტა ფრთიდან და ფასკუნჯს დაუბარა:—სამი დღე აქ დამელოდეო. თვითონ ერთ ადგილს ამოეფარა და კვეს-აბედით არაბი იხმო. ამა და ამ სახლში სამი მზეთუნახავი ცხოვრობს, სულ პატარას უთხარი, შუაღამისას, როდესაც ყველა დაიძინებს, მზად იყოს, მივალ და წამოვიყვანო, — უთხრა არაბს.

არაბი მართლაც მივიდა მზეთუნახავებთან, უმცროსი ქალი გააღვიძა და ვაჟის დანაბარები გადასცა.

— ძალიან კარგიო, — გაუხარდა ქალს. კარგად მოირთო-მოიკაზმა და დაუწყო ვაჟს ლოდინი. შუაღამისას დაპირებისამებრ მოვიდა ნაცარქექია და ქალი ფასკუნჯთან წაიყვანა. ფასკუნჯმა ქალ-ვაჟის უკან დასაბრუნებლად ორმოცი-ორმოცი ბათმანი ხორცი და წყალი მოითხოვა. ვაჟმა ფასკუნჯს მოუტანა საჭმელ-სასმელი, აჭიდა ფრთაზე, თვითონაც მეორე ფრთაზე შემოისვა ქალი და კვლავ ქვესკნელისაკენ დაეშვნენ. ამჯერად ფრინველს მეტი ძალის დახარჯვა დასჭირდა და ადგილზე არც კი იყვნენ მისულნი, რომ ხორცი შემოელიათ. ბევრი აღარ იფიქრა ნაცარქექიამ, ფასკუნჯმა „ყა“ რომ დაიძახა, გამოიქრა ბარძაყიდან ხორცი და ფრინველს პირში ჩაუდო. ფასკუნჯმა ხორცს როგორც კი გემო გაუსინჯა, მიხვდა, რომ ადამიანისა იყო და არ გადაყლაპა, ენის ქვეშ შეინახა.

როგორც კი მიაღწიეს დანიშნულ ადგილს, ქალ-ვაჟი გადმოხტნენ ფასკუნჯის ფრთიდან და ის იყო, თავიანთ გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ ფრინ-

ველმა ვაჟი გააჩერა, პირიდან გამოიღო ბარძაყის ნაგლეჯი და იმავე ადგილზე დაადო, საიდანაც ვაჟმა ამოიჭრა. ვაჟს კვლავ გაუმთელდა ფეხი.

ნაცარქექიამ დიდი მადლობა გადაუხადა ფრინველს და ქალ-ვაჟმა პირდაპირ ფადიშაჰის სასახლეს მიაშურა. შევიდა ვაჟი სასახლეში და ფადიშაჰს მოახსენა:

— ჩემი საცოლე მოვიყვანეო!

გაიხარა ფადიშაჰმა, რომ ვაჟი დაუბრუნდათ. გადაუხადა დიდი ქორწილი და ორივე ქალი — მზეთუნახავი და თავისი ქალიშვილიც ვაჟს მიათხოვა.

წამოიყვანა ნაცარქექიამ ქალები თავის ქვეყანაში და ბედნიერად დაიწყო ცხოვრება.

ჯადოსნური ხალიჩა, მათრახი და კიბე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფადიშაჰი. მოხუცებულობის ჟამს ფადიშაჰმა თქვა:

— ჩემი აღსასრული ჩქარა დადგება. უნდა მოვასწრო, მთელი ქვეყანა შემოვიარო და ვნახო ხალხი როგორა ცხოვრობსო!

ადგა და სამოგზაუროდ წავიდა. შემოიარა მრავალი ქვეყანა, ბევრი რამ ნახა და ბოლოს ერთ საფადიშაჰოში მივიდა. შევიდა ფადიშაჰის სასახლეში, დაათვალიერა ყველაფერი და ბოლოს ერთი ცარიელი ოთახი ნახა. — მოდი აქ ისეთ ნიშანს დავტოვებ, რომ ყველამ გაიგოს ჩემი აქ მოსვლაო! — თქვა ესა, ჯიბიდან თავისი ასულის სურათი ამოიღო და კედელზე ჩამოკიდა, მერე სასახლიდან ჩუმად გამოვიდა.

გავიდა ხანი. ერთხელ იმ ქვეყნის ფადიშაჰი სასახლეში სეირნობდა. შემთხვევით შევიდა ცარიელ ოთახში და დაინახა, რომ კედელზე ვიღაცა მზეთუნახავის სურათი ჰკიდია. „ეს ქალი ალბათ ჩემი შვილის საცოლეაო", — გაიფიქრა, ვაჟი იხმო და სურათი აჩვენა. დახედა ვაჟმა ქალის სურათს, მოეწონა და მამას უთხრა:

— მამი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა წავიდე და ეგ ქალი ვიპოვოო!

ბევრი ეხვეწა მამა, ბევრი ემუდარა: თავი დაანებე, შვილო, ვინ იცის, სად უნდა ეძებოო, მაგრამ შაჰზადეს თავის განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა. წაიღო ვაჟმა რამდენიმე დღის საგზალი და მზეთუნახავის საძებნელად გასწია.

იარა, იარა და ერთ მთას მიუახლოვდა. დაინახა, რომ მთაზე ასულა ორი დევი და თავგამეტებით ერთმანეთს ებრძვიან. მივიდა შაჰზადე დევებთან და ჰკითხა:

— რა იყო, რა გაჩხუბებთო?

— ქონებას ვიყოფთ და ვერ მოვრიგდით, მოდი მოგვეშველეო! — უპასუხეს დევებმა.

— აბა ერთი მაჩვენეთ, რა გაქვთო? — დაინტერესდა ვაჟი.

— მთელი ჩვენი ქონებაა ხალიჩა, მათრახი და კიბე, როგორ გავიყოთ, არ ვიცითო, — მიუგეს დევებმა.

— ხალიჩა მე მომეცით, მათრახი ერთსა გქონდეთ, კიბე კი მეორესაო, — თქვა ვაჟმა. ეს რომ გაიგეს დევებმა, დაიღრიალეს:

— დაიჭირეთ ერთი ეგ თავხედი, შევჭამოთო! — შეეშინდა ვაჟს და დაიყვირა:

— მოიცათ, ხელი არ მახლოთ, ჩემი ჭკუის ნახევარი მეორე მთაზე დამრჩა, მოდი, მივიდეთ, ავიღებ ჭკუას და ქონების გაყოფაში მოგეშველებითო.

გაუხარდათ დევებს, გაჰყვნენ ვაჟს. სამივე ერთ მაღალ მთაზე ავიდა. იქ შაჰზადემ დევებს უთხრა:

— ერთი მრგვალი ქვა იპოვეთ, ქვას მთიდან ძირს დავაგორებ. თქვენ დაედევნებით და ვინც ქვას უფრო მალე ამომიტანს უკან, ხალიჩას და კიბეს იმას მივცემ. მათრახს კი — მეორესო!

— შენი ჭირიმე, ადამიანის შვილო, მიდი, დააგორე ქვა. ვნახოთ ვის რა შეხვდებაო! — აყაყანდნენ დევები. სანამ ვაჟი მთიდან ქვას დააგორებდა, დევებს ჰკითხა:

— ეს ნივთები რაში გამოდგებაო?

— ხალიჩაზე რომ დაჯდე, საცა გინდა იქ მიგიყვანს, რაც არ უნდა ღრმა ჭაში ჩავარდე, კიბე იქიდან ამოგიყვანს, მათრახი ხელში რომ დაიჭირო, ვერავინ დაგინახავსო, — უპასუხეს დევებმა. დააგორა შაჰზადემ ქვა. დაედევნენ დევები. ამასობაში ვაჟი დაჯდა ხალიჩაზე, მათრახი და კიბე გვერდით დაიდო და გაფრინდა. დაინახეს ქვემოდან დევებმა, რომ ვაჟი ხალიჩაზე ზის და მიფრინავს. შემოიკრეს თავში ხელი, ეს რა მოგვივიდა, ადამიანის შვილმა ეგრე როგორ გაგვაბრიყვაო! მაგრამ რაღა დროს იყო, ვაჟი უკვე აღარც კი ჩანდა.

იფრინა, იფრინა შაჰზადემ და იმ ქვეყანაში მივიდა, სადაც მზეთუნახავი ცხოვრობდა. შევიდა ერთ სახლში და სახლის პატრონსა ჰკითხა: თქვენი ფადიშაჰი სადა ცხოვრობსო. ვაჟს უჩვენეს ფადიშაჰის სასახლე. ღამე ვაჟი დაჯდა ხალიჩაზე და ფადიშაჰის სასახლეში შეფრინდა. შევიდა ფადიშაჰის ასულის ოთახში, დაინახა, რომ მზეთუნახავს ტკბილად სძინავს, მაგიდაზე ნაირნაირი საჭმელი აწყვია. მიუჯდა მაგიდას ვაჟი, კარგად ივახშმა, დანარჩენი საჭმელი გადაყარა და თეფშებიც დაამტვრია. მერე გამოვიდა სასახლიდან და გზას გაუდგა.

დილით ადრე გაიღვიძა ფადიშაჰის ასულმა და ნახა, რომ საჭმელი შეჭმულია, თეფშები — დამტვრეული. გაუკვირდა მზეთუნახავს, მივიდა დედასთან და უთხრა:

— წუხელ ჩემს ოთახში ვიღაცა შემოსულა, საჭმელი შეუჭამია და თეფშებიც დაუმტვრევია. ნეტავი ვინ უნდა იყოსო?

— შვილო, ამაღამაც გაშალე სუფრა და ნუ დაიძინებ, უთვალთვალე, ოთახში ვინ შემოვაო! — ურჩია დედამ. დაუჯერა ქალმა დედას. შუაღამემდე უცადა უცნობ სტუმარს, მაგრამ ოთახში არავინ არ შემოვიდა. დაწვა ქალი და დაიძინა. შუაღამე რომ გადავიდა, ვაჟი დაჯდა ხალიჩაზე და ისევ ქალის ოთახში შეფრინდა. შეჭამა საჭმელი, დაამტვრია ჭურჭელი და წავიდა. გაიღვიძა დილით ქალმა. ნახა ყველაფერი არეულ-დარეულია, ჭურჭელიც დამტვრეული, ოთახში კი არავინაა. მზეთუნახავმა კვლავ შესჩივლა დედას:

— დედი, ის ვიღაცა ჩემთან კიდევ მოსულა, მაგრამ ვერ დავიჭირეო.

ბევრი იფიქრეს დედა-შვილმა და რჩევის საკითხავად ჯადოქართან მისვლა გადაწყვიტეს. მივიდნენ დედაბერთან და ყველაფერი უამბეს.

— შვილო, ამაღამაც უთვალთვალე. რომ არ დაგეძინოს, თითი გაიჭერი და ზედ მარილი დაიყარე. იქვე მზადა გქონდეს კირი. თითის ტკივილი არ დაგაძინებს. ვაჟი ოთახში რომ შემოვა, კირიანი ხელი ზურგზე დაარტყი და მაგ ნიშნით მერე ჩვენც ვიცნობთო! — უთხრა ჯადოქარმა.

დაღამდა. ფადიშაჰის ასული მოუთმენლად ელოდა ოთახში უცნობის გამოჩენას. უცებ გაიღო კარი და ოთახში პირმშვენიერი შაჰზადე შემოვიდა. მზეთუნახავმა ვაჟი რომ დაინახა, ძალზე მოეწონა, იქვე მომზადებულ კირში ჩაყო ხელი და ჩუმად ვაჟს ზურგზე ნიშანი დაადო. ქალ-ვაჟს ერთმანეთი ძალიან შეუყვარდათ და ვაჟმა ერთგულების ნიშნად ქალს ჯადოსნური ხალიჩა, მათრახი და კიბე აჩუქა.

დილით ვაჟი გამოვიდა სასახლიდან და ქალაქში გაისეირნა. ფადიშაჰის მსახურებს ნაბრძანები ჰქონდათ, ქალაქში თუ ზურგზე ნიშანდადებული კაცი შეგხვდეთ, დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო. მართლაც, ნახეს, რომ ქუჩაში ერთი მშვენიერი ვაჟი მოდის, ზურგზე კირიანი ხუთი თითი ატყვია. მაშინვე მისცვივდნენ, დაიჭირეს და ფადიშაჰს მიჰგვარეს. ფადიშაჰს ერთი ორმოცმეტრიანი ჭა ჰქონდა და ბრძანა, ვაჟი ამ ჭაში ჩაგდეთო. ფადიშაჰის ბრძანება მალე შეასრულეს. ქალის დედამ შვილს სასწრაფოდ ახარა ვაჟის დაჭერა. ფადიშაჰის ასულს ვაჟი თავდავიწყებით შეჰყვარებოდა და ვაჟის დაჭერის ამბავი მეხივით დაეცა. მაგრამ მოაგონდა, რომ ჯადოსნური კიბე ვაჟმა მას დაუტოვა. ღამით ადგა და კიბე ვაჟს ჩაუგდო. ამოვიდა ვაჟი ჭიდან და ქალს უთხრა:

— თუ გიყვარვარ, მოდი აქაურობას გავეცალოთ, სადმე უკაცრიელ ადგილას დავსახლდეთ და ჩვენთვის ტკბილად ვიცხოვროთო!

დათანხმდა მზეთუნახავი. დასხდნენ ხალიჩაზე, შუა ზღვაში, ერთ უკაცრიელ კუნძულზე მიფრინდნენ, იქ დაასახლდნენ და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

მივუბრუნდეთ ფადიშაჰს. დილით სასახლეში გამოიღვიძეს და ნახეს, რომ ფადიშაჰის ასული აღარსადაა. შეწუხდა ფადიშაჰი და სულთან ხანუმი. „ვინც ჩემს ქალს იპოვის და მომიყვანს, ცოლად მივათხოვებ, თან თავის წონა ოქრო-

საც მივცემო“. — გამოაცხადა ფადიშაჰმა. საიდანღაც ერთი ჯადოქარი გამოჩნდა. ეახლა ფადიშაჰს და მოახსენა: „დიდებულო მბრძანებელო, თქვენს ასულს ბე ვიპოვი და მოგიყვანთო!“

დედაბერმა კოკა აქცია ცხენად, გველი მათრახად, შეჯდა და გააჭენა. შემოიარა მთელი ქვეყანა, მაგრამ ფადიშაჰის ასული ვერსად იპოვა. ბოლოს მოაგონდა შუა ზღვაში კუნძული რომ იყო. „მოდი, ერთი იქაც მივალ და ვნახავო!“ — გაიფიქრა. დიდის გაჭირვებით გადაცურა ზღვა, მიაღწია კუნძულამდე და ნახა, რომ შუა კუნძულზე კარავია გაშლილი და შიგ ქალ-ვაჟი ცხოვრობს. ჯადოქარი იქვე ახლოს დაიმალა და დაუწყო თვალთვალი.

ერთხელ ვაჟი ნადირობიდან კარავში ბრუნდებოდა. უცებ შორიახლოს თვალი მოჰკრა ერთ მოხუც ქალს. შეებრალა დედაბერი და კარავში წაიყვანა. ფადიშაჰის ასულმა მოხუცი ქალი რომ დაინახა, არ ესიამოვნა და ქმარს უთხრა: „ეს დედაბერი რამე უბედურებას შეგვამთხვევს, მოდი, ზღვაში გადავაგდოთო!“ არ დაუჯერა ვაჟმა და ჯადოქარი იმ ღამეს კარავში დატოვა. დედაბერმა ვაჟს საჭმელში ძილის წამალი ჩაუყარა და მაგრად დააძინა. წამოიყვანა ფადიშაჰის ასული და გამოსწია.

კარგა ხნის შემდეგ გამოეღვიძა ვაჟს, ნახა, რომ აღარც ცოლია, აღარც მოხუცი. შემოიკრა თავში ხელი. ბევრი ინანა, რატომ ქალს არ დავუჯერე და ჯადოქარი ზღვაში არ გადავაგდეო? მაგრამ რაღა დროსი იყო. მარტო ვაჟი აღარ გაჩერდა კარავში. „წავალ, კუნძულს დავივლი. იქნებ აქ ჩემს გარდა სხვა ხალხი კიდევ იყოსო!“ — გადაწყვიტა და მთელი კუნძული შემოიარა. ერთ ადგილას მშვენიერ სასახლეს მოჰკრა თვალი. მივიდა ახლოს. სასახლეს სურნელოვანი ყვავილებითა და ვარდებით სავსე ბაღი ერტყა გარს. შევიდა ვაჟი ბაღში, მოწყვიტა ერთი ყვავილი და უყნოსა. ვაჟი უცებ ვირად იქცა და მოჰყვა ბაღში სირბილს. სასახლის ბეგის ასულმა ფანჯრიდან ყველაფერი დაინახა, გაიქცა და მამას უამბო. გამოვიდა ბეგი ბაღში, მოწყვიტა მეორე ყვავილი, მიუტანა ვირს ცხვირთან და ასუნებინა. ვირი კვლავ ვაჟად იქცა. ვაჟმა კარგად დაიხსომა, რომელი რა ყვავილი იყო. მოწყვიტა და ერთ ჯიბეში ვირის ყვავილი ჩაიდო, მეორეში კი ადამიანისა. ის იყო ვაჟი ბაღიდან გამოსვლას აპირებდა, რომ ბეგმა დაუძახა და უთხრა: „შვილო, აჰა, ეს აღვირი გამომართვი. მიდი ზღვის პირას და დაიქნიე. ზღვიდან რაში გამოვა, შეჯდები და ხმელეთზე გადაგიყვანსო“. გამოართვა ვაჟმა აღვირი, მივიდა ზღვასთან და დაიქნია. გამოვიდა რაში, შეჯდა ვაჟი და ისევ ცოლის სახელმწიფოში მივიდა. გამოვიდა თუ არა ვაჟი ხმელეთზე, მისი ყურადღება ზურნის და დოლ-საკრავის ხმამ მიიქცია. ჩანდა, რომ სადღაც დიდი ქორწილი იყო, დაინტერესდა ვაჟი და იკითხა: ვისი ქორწილიაო?

— ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ფადიშაჰის ასული ვიღაცამ მოიტაცა. დიდხანს ეძებეს ქალი და ვერ იპოვეს. ბოლოს ერთმა ჯადოქარმა მოტაცებულ

მზეთუნახავს მიაგნო და მამას მოუყვანა. ფადიშაჰმაც პირობისამებრ თავისი ქალი ჯადოქრის ვაჟს მიათხოვაო, — უპასუხეს ვაჟს. ამ ამბავმა ძალზე დააღონა შაჰზადე, მაგრამ გული არ გაიტეხა და იმ ქალაქის მცხოვრებლებს გამოკითხვა დაუწყო: თქვენთან ქორწილის დროს როგორი ადათიაო?

— ქორწილის წინ ვაჟის დედა, მამა და თვითონ ვაჟი მიდიან აბანოში, იბანავებენ და შემდეგ ქალის მოსაყვანად გაემართებიანო, — მიუგო ერთმა. ვაჟმა მაშინვე აბანოსაკენ გასწია და მეაბანოებს სამუშაოზე მიღება სთხოვა. ვაჟი დააყენეს აბანოში ცეცხლფარეშად. გავიდა ცოტა ხანი და ვაჟმა დაინახა, რომ მექორწინეები აბანოსაკენ მოდიან, წინ სწორედ ის წყეული ჯადოქარი მოუძღვით. დაიმალა ვაჟი აბანოს კარებს უკან და შემოდგა თუ არა ჯადოქარმა აბანოში ფეხი, ვაჟმა ვირის ყვავილი შიუტანა ცხვირთან და ასუნებინა. ჯადოქარი იქცა ვირად. ფადიშაჰს სასწრაფოდ შეატყობინეს, შენი მძახალი ვირად იქცაო. ფადიშაჰმა ხალხს გამოუცხადა: ვინც ჩემს მძახალს კვლავ ადამიანად აქცევს, ჩემს ასულს მივათხოვებო. ეს რომ ვაჟმა გაიგო, თქვა: „მაგაზე ადვილი რა არისო?“ გაიგეს ეს სიტყვები იქ მყოფებმა, მივიდნენ ფადიშაჰთან და ვაჟის ნათქვამი გადასცეს. გაუხარდა ფადიშაჰს, დაიბარა ვაჟი და ჰკითხა:

— მართლა შეგიძლია ჩემი მძახალი ადამიანად აქციო? თუ ამას შეძლებ, ჩემს ასულს მოგათხოვებო?

— დიდებულო ფადიშაჰო, მაგაზე ადვილი საქმე ჩემთვის არაფერიაო, — მიუგო ვაჟმა. ამოიღო ჯიბიდან ადამიანის ყვავილი, მიუტანა ვირს ცხვირთან და ვირი ისევ ადამიანად იქცა. ფადიშაჰმა თავისი ასული ვაჟს მიათხოვა. წამოიყვანა ვაჟმა მზეთუნახავი და მამასთან მოვიდა.

ქალ-ვაჟი რომ ქალის სამფლობელოს გამოსცდნენ, მერე ჩაფიქრდა ფადიშაჰი. „ეს რა მომივიდა, ქალი ვიღაცას როგორ გავატანეო“. — თქვა და შვილის მობრუნება მოისურვა, დაგზავნა ქალაქში მაცნეები და ხალხს აუწყა: ვინც ჩემს ქალს დამიბრუნებს, ცოლად მივათხოვებო. ისევ იმ ჯადოქარმა გამოიღო თავი, მივიდა ფადიშაჰთან და მოახსენა: „დიდხანს სიცოცხლე ფადიშაჰს, შენს ასულს მოგიყვან და ჩემს შვილს მიათხოვეო!“—დედაბერმა კოჟა კვლავ აქცია ცხენად, გველი მათრახად, შეჯდა ცხენზე და ვაჟის ქვეყნისაკენ გაქუსლა, მივიდა ვაჟის მამასთან და ახარა: „მძლეთა მძლეო ფადიშაჰო, შენი ვაჟი მოდის და მზეთუნახავი მოჰყავსო!“ ფადიშაჰმა დაინახა, რომ ვაჟი მოდიოდა, მაგრამ ქალს ხელში მათრახი ეჭირა და არა ჩანდა. ამიტომ ჯადოქარს არ დაუჯერა და უთხრა: „მზეთუნახავს ვერა ვხედავ, ჩემი ვაჟი მარტოდმარტო მოდისო“. ამასობაში ქალ-ვაჟი სასახლეში შემოვიდნენ. ფადიშაჰი მოსულებს რომ მიუახლოვდა, ჯადოქარი მიეპარა ქალს და ხელიდან მათრახი გამოსტაცა. მაშინ კი დაინახა ფადიშაჰმა მზეთუნახავი, ძალიან მოეწონა და შვილსა და რძალს გადაეხვია. ვაჟი მიხვდა, რომ მათრახის წართმევა ისევ იმ ჯადოქრის

ხაქმე იყო. ამოიღო ჯიბიდან ვირის ყვავილი და დედაბერს ცხვირთან მიუტანა. ჯადოქარი ისევ ვირად იქცა. შვილმა ფადიშაჰს თავისი თავგადასავალი თავიდან ბოლომდე უამბო. ფადიშაჰმა ვაჟს დიდი ქორწილი გადაუხადა და ორმოც დღეს სასახლეში დიდი ლხინი და ნადიმი გრძელდებოდა. ვირი კი ფადიშაჰმა მისცა ერთ ღარიბ კაცს და თანაც უთხრა: „სხვა ვირები თუ ტყეში სამჯერ მიდიან, ეს ცამეტჯერ წაიყვანე და მუშაობით ტყავი გააძრეო!“ ასე და ამგვარად ყველამ ჭამა, სვა და თავის მიზანს მიაღწია. თქვენც თქვენი სურვილი შეგსრულებოდეთ.

ჩიტების დამჭერი და ეშმაკი ბეღურა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. ის ყოველდღე ტყეში დადიოდა, იჭერდა ფრინველებს, ბაზარზე ყიდდა და ამით არჩენდა ცოლ-შვილს.

ერთ დღეს კაცი ავად გახდა და მოკვდა. ცოლ-შვილი დარჩა მშიერ-მწყურვალი. ერთხელ ვაჟი მივიდა დედასთან და უთხრა:

— დედი, ასე რომ ვისხდეთ, შიმშილით სული ამოგვხდება. მითხარი, რა ხელობას მისდევდა მამაჩემი, რითი გვარჩენდა? თუ შევძლებ, მეც ვიმუშავებ და მშივრები აღარ დავიხოცებითო.

— შვილო, მამაშენი ჩიტებს იჭერდა და ჰყიდდა, ამით გვაცხოვრებდა. სახლის სხვენზე ჩიტების მახეა შენახული, ჩამოიღე და შენც მაგ საქმეს მიჰყავ ხელი. იქნებ ალაჰმა მოწყალე თვალით გადმოგვხედოს და ცოტა გვეშველოსო, — უპასუხა დედამ.

ავიდა ვაჟი სხვენზე, ჩამოიღო მახე და ჩიტებზე სანადიროდ წავიდა. შევიდა ტყეში, ერთ ხეზე დააგო მახე და დაუწყო ცდა. მოფრინდა ერთი ბეღურა, ჩამოჯდა ხეზე და მაშინვე მახეში გაება. ნადავლის ჩამოსაყვანად ვაჟი ხეზე ავიდა, მაგრამ ბეღურამ დაუწყო ხვეწნა-მუდარა:

— მე რომ დამიჭირო და გამყიდო, ბევრ ფულს მაინც არ მოგცემენ, გამიშვი და ისეთ ლამაზ ჩიტებს გამოგიგზავნი, რომ ბლომად ფულს მოიგებო.

ვერ გაუძლო ვაჟმა ფრინველის მუდარას და გაუშვა. მახე ისევ გაშალა ხეზე და თვითონ ქვემოთ ჩამოვიდა. უცებ მოფრინდა ერთი ჩიტი და ისიც მახეში გაება. ავიდა ვაჟი ხეზე და ჩიტი რომ დაინახა, ისე მოიხიბლა, რომ ახლოს მისვლაც კი ვერ მოახერხა. ამ დროს მოფრინდა ისევ ის ბეღურა და ვაჟს შესჭიკჭიკა:

— წაიყვანე ეგ ჩიტი და ფადიშაჰს აჩუქე. ჩიტი ფადიშაჰს ძალიან მოეწონება და ბლომად ფულს მოგცემსო!

დაუჯერა ვაჟმა ბეღურას. ჩასვა ჩიტი გალიაში და პირდაპირ ფადიშაჰის სასახლისაკენ გაემართა. ფადიშაჰმა დაინახა. თუ არა ჩიტი, მართლაც ძალიან მოეწონა და ვაჟი გულუხვად დაასაჩუქრა. გახარებული ვაჟი დაბრუნდა სახლში, დედას ფული მიუტანა და ყველაფერი უამბო.

ფადიშაჰმა ფრინველისათვის ოქროს გალია გააკეთებინა, ჩასვა შიგ თავისი ლამაზი ჩიტი და დღედაღამ იმით ერთობოდა. ფადიშაჰს ერთი ბოროტი ვეზირი ჰყავდა. შეშურდა ვეზირს ვაჟის ბედი და მისი დაღუპვა განიზრახა. ერთ დღეს მივიდა ფადიშაჰთან და მოახსენა:

— დიდებულო მბრძანებელო, ეგ ჩიტი ძალიან ლამაზია, ამ სასახლეს არ უხდება, სპილოს ძვლისაგან ააშენებინეთ კოშკი და ჩიტი იქ მოათავსეთ, მისი ადგილი იქ არისო.

— ეჰ, ჩემო ვეზირო, მერე და იმდენი სპილოს ძვალი სად ვიშოვნო, რომ ერთ კოშკს ეყოსო, — უთხრა დაღონებულმა ფადიშაჰმა ვეზირს.

— ჩემო ბატონო, ვინც ფრინველი მოგგვარათ, ის სპილოს ძვალსაც გიშოვნით, — მიუგო ღვარძლიანმა ვეზირმა.

ფადიშაჰმა მაშინვე ვაჟი სასახლეში დაიბარა და სპილოს ძვლისაგან კოშკის აგება შეუკვეთა. დაიბნა ვაჟი და შიშით ფადიშაჰს ჰკითხა:

— ჩემო ფადიშაჰო, მაგდენი სპილოს ძვალი სად ვიშოვო?

— საცა გინდა იშოვე და კოშკი ააგე. ორმოც დღეს გაძლევ ვადას. თუ შეასრულებ, ხომ კარგი, თუ არადა თავს მოგჭრიო, — დაემუქრა ფადიშაჰი.

დადარდიანებული ვაჟი სასახლიდან შინ დაბრუნდა და დაიწყო ფიქრი. ამ დროს მოფრინდა ბეღურა და ვაჟს ჰკითხა:

— რა იყო, რამ ჩაგაფიქრაო?

ვაჟმა უამბო ბეღურას თავისი გასაჭირი. ბეღურამ მოუსმინა და უთხრა.

— შენ მაგაზე ნუ სწუხარ. ყველაფერი მოგვარდება. ოღონდ წადი და ფადიშაჰს ორმოცი ურემი ღვინო სთხოვეო.

დაუჯერა ვაჟმა ბეღურას. ადგა, მივიდა ფადიშაჰთან და ორმოცი ურემი ღვინო მოსთხოვა. ფადიშაჰმა მაშინვე გასცა განკარგულება ვაჟისათვის ღვინო მიეცათ. წამოიღო ვაჟმა ღვინო და წამოვიდა. გზაში ისევ ის ბეღურა შეხვდა და უთხრა:

— მავან ადგილას ორმოცი წყლის ჭურჭელი დაგხვდება. მთელი ქვეყნის სპილოები იქ მიდიან და წყალს იქა სვამენ. შენ ღვინო იმ ჭურჭლებში ჩაასხი და იქვე დაიმალე. სპილოები რომ მოვლენ, წყლის მაგიერ ღვინოს დალევენ. დათვრებიან და დაწვებიან. ამ დროს შენც მიეპარე, ეშვები სათითაოდ დააცალე და ფადიშაჰს მიუტანეო.

ვაჟმა ბელურას დარიგება კარგად მოისმინა, ურმები იმ ადგილისაკენ წაიყვანა და ისე მოიქცა, როგორც ბელურამ ასწავლა. მოაგროვა სპილოს ეშვები, გაავსო ტომრები, დადო ურმებზე და ფადიშაჰს მიუტანა. ფადიშაჰმა სპილოს ძვლებისაგან მშვენიერი კოშკი ააშენებინა და ფრინველი შიგ მოათავსა. მაგრამ ჩიტი ხმას არ იღებდა, აღარ გალობდა. გაუკვირდა ფადიშაჰს: — ასეთი ლამაზი ფრინველია და არა გალობს, ნეტა რა მიზეზიაო?

ვერ მოისვენა გულღვარძლიანმა ვეზირმა და ფადიშაჰს კვლავ მოახსენა.

— ჩემო მბრძანებელო, მაგ ჩიტს ალბათ თავისი პატრონი ჰყავს. თუ მოუყვანთ, ფრინველიც გალობას დაიწყებსო.

— მერედა, ვეზირო, მაგის პატრონს ვინ მოიყვანსო? — იკითხა ფადიშაჰმა.

— ვინც ამდენი სპილოს ძვალი მოგიტანაო, — უპასუხა ვეზირმა.

იხმო ფადიშაჰმა ვაჟი.

— ჩემო ბატონო, სად უნდა ვიპოვო მაგის პატრონი, ვინ იცის ვინ არისო, — მაგრამ ფადიშაჰი დაჟინებით მოითხოვდა სურვილის შესრულებას.

— წადი, ორმოცი დღე ვადა მომიცია, თუ იპოვი, მოიყვან, თუ არადა თავს მოგკვეთო.

დაბრუნდა ვაჟი სახლში და დაიწყო მოთქმა-ტირილი. უცებ ვაჟთან ბელურა გაჩნდა და ჰკითხა:

— რა მოგვიდა, რა გატირებსო?

ვაჟმა უამბო, თუ რა ძნელი დავალება მისცა ფადიშაჰმა.

— ეჰ, მერედა მაგისთვის ტირი? ახლავე მიდი ფადიშაჰთან და ერთი გემი სთხოვე. გემის მსახურად ორმოცი ქალიშვილი წაიყვანე. გემზე ლამაზი ბაღი და ერთი აბანო გააშენებინე. ჩაჯექი გემში, წადი და იმ ფრინველის პატრონს იპოვიო, — ჩაიჩიკჩიკა ბელურამ და გაფრინდა.

მივიდა ვაჟი ფადიშაჰთან და გემი სთხოვა. ფადიშაჰმა დაუყოვნებლივ შეასრულა ვაჟის თხოვნა. გემი ისე მოუწყო, როგორც ვაჟსა სურდა, ჩაჯდა ვაჟი გემში და ზღვაში შესცურა. მაგრამ რა იცოდა, საით უნდა წასულიყო? ამ დროს მოფრინდა ბელურა და ვაჟს უთხრა:

— გემის მიმართულება მარჯვნივ გეჭიროს. კარგა ხანს იარე ასე. ბოლოს ერთი მთა გამოჩნდება. მთაზე ორმოცი ქალწული ცხოვრობს, ერთი მათგანი ჩიტის პატრონია, შენც იმ მთისკენ გასწიე და გემი ნაპირს მიაყენე. ქალწულები ყოველ საღამოს სასეირნოდ ზღვის ნაპირზე გამოდიან. როგორც კი მათ დაინახავ, ჩაჯექი ნავში და იმათთან მიდი. ქალწულებმა არ იციან გემი რა არის. ძალიან გააკვირვებთ გემის დანახვა და მის დათვალიერებას გთხოვენ. შენ მარტო უფროსი ქალიშვილი ჩასვი ნავში და გემზე მოიყვანე. სანამ ქალი ბაღსა და აბა-

ნოს დაათვალიერებს, შენ იალქნები აუშვი და გემი წამოიყვანე. ამგვარად ფრინველის პატრონი შენს ხელში იქნებაო.

გაუხარდა ვაჟს და გემი იქით წაიყვანა, საითაც ბეღურამ უჩვენა. ბევრი იცურა თუ ცოტა, მიადგა იმ მთას და ნაპირთან ღუზა ჩაუშვა. თვითონ კი დაუწყო თვალყურის დევნება. საღამო ჟამს ნაპირზე ორმოცი ქალწული გამოჩნდა. ქალწულთა უფროსმა გემი რომ დაინახა, გაუკვირდა და შორიდან თვალიერება დაუწყო. ვაჟი მაშინვე ჩაჯდა ნავში და ნაპირზე გადმოვიდა. მივიდა ქალიშვილებთან და მიესალმა. ქალწულთა მეთაურმა ვაჟს ჰკითხა:

— ყმაწვილო, ვინ ხარ, ან ზღვაში ეგ რა გიდგასო?

— მშვენიერო ასულო, ზღვაში რასაც ხედავ, გემია და მეც მაგ გემის კაპიტანი ვარო, — მიუგო ვაჟმა.

— მაშ თუ ეგრეა, მოდი, შენს გემზე წამიყვანე და დამათვალიერებინე, ერთი ვნახო გემი რა არისო, — სთხოვა ქალმა ვაჟს. ვაჟსაც ეს უნდოდა, ჩაისვა ნავში და გემზე აიყვანა, კარგად დაათვალიერებინა გემი, მოატარა ბაღი და ბოლოს აბანოშიც შეიყვანა.

— მოდი, ბარემ აქა ვარ და ვიბანავებო, — თქვა ქალმა, ტანთ გაიხადა და ბანაობა დაიწყო.

ამასობაში ვაჟმა აუშვა იალქანი, გემი მოხსნა ნაპირს და თავისი ქვეყნისაკენ გამოსწია.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა ბანაობა გაათავა და აბანოდან გამოვიდა.

— ვაიმე, უკვე ჩამობნელდა. ეს რამდენი დრო გასულაო! — ჩაილაპარაკა და ირგვლივ მიმოიხედა.

როდესაც მიხვდა, რომ გაშლილ ზღვაში გემზე იმყოფებოდა, მოჰყვა მოთქმა-გოდებას:

— როგორ მოვტყუვდი და გამოგყევი, ახლა რა მეშველებაო.

ვაჟმა დაამშვიდა ქალი და უთხრა:

— ფადიშაჰმა შენს წამოსაყვანად გამომგზავნა და იქ მივდივართო.

მიაღწიეს ქალაქს. გეში ნაპირს მიადგა თუ არა, დაიგრიალეს ზარბაზნებმა და ფადიშაჰს ვაჟის დაბრუნება აუწყეს. გაუხარდა ფადიშაჰს და მოუთმენლად დაუწყო ვაჟს ლოდინი. ვაჟმა მშვენიერი ქალწული გადმოიყვანა გემიდან და ფადიშაჰს მიჰგვარა. როგორც კი ფადიშაჰმა ქალი დაინახა, ძალზე მოეწონა და თავდავიწყებით შეუყვარდა. ოქროს გალიაში დამწყვდეულმა ჩიტმაც გალობა დაიწყო. ფრინველი ისე მომხიბლავად გალობდა, რომ თავისი ხმით მთელი ქვეყანა მოაჯადოვა.

ფადიშაჰმა ჩქარა ქალი ცოლად შეირთო და დიდი ქორწილი გადაიხადა.

გავიდა ხანი. ერთ დღეს ქალს საშინელი ტკივილები დაეწყო და ავად გახდა. თურმე ქალს ასეთი ტკივილები ხშირად უვლიდა. მას თავის კუნძულზე

ჰქონდა რაღაც წამალი, რომელიც ამ ტკივილებს უამებდა. ფადიშაჰმა სასწრაფოდ დაიბარა ვაჟი და უბრძანა, წამალიც მოეტანა. რა გზა ჰქონდა საწყალ კაცს! ჩაჯდა ისევ გემში და გზას გაუდგა. გზაში ბეღურა ისევ მოფრინდა ვაჟთან და ჰკითხა:

— სად მიდიხარო?

— ეჰ, ჩემო კარგო, სულთან ხანუმს რაღაც წამალი ჰქონია და იმის წამოსაღებად მივდივარო, — უპასუხა დაღვრემილმა ვაჟმა.

— წადი, იმ ადგილს როგორც კი მიაღწევ, ერთ სასახლეს დაინახავ. სასახლის კარებთან ორი ლომი დაგხვდება. გამომართვი ეს ბუმბული და ჯერ ერთ ლომს გამოუსვი პირში, მერე — მეორეს. ლომები გზას მოგცემენ და აღარაფერს დაგიშავებენო, — დაარიგა კვლავ ბეღურამ.

გამოართვა ვაჟმა ბეღურას ბუმბული და გზა განაგრძო. მიაღწია დანიშნულ ადგილს და ისეთი სასახლე გამოჩნდა, რომ ფადიშაჰის სასახლეს ბევრად სჯობდა. ვაჟმა გემი ნაპირთან გააჩერა და თვითონ სასახლისაკენ გაემართა. სასახლის კარებთან მართლაც ორი ლომი იწვა. გამოუსვა ორივეს პირში ბუმბული და სასახლეში შევიდა. ქალებმა როგორც კი სასახლეში ვაჟი დაინახეს, მიხვდნენ, რომ მათ უფროსს ტკივილები დასწყებოდა და ვაჟი წამლის წასაღებად იყო მოსული. მისცვივდნენ ვაჟსა და გამოკითხვა დაუწყეს: — ჩვენი უფროსი ხომ არ მომკვდარაო?

— არა, სულთან ხანუმი ავადაა, წამლისათვის მოვედიო, — უპასუხა ვაჟმა.

ქალებმა გაუვსეს ვაჟს შუშა წამლით და გაატანეს. სასახლეში შესვლისას ვაჟს ბეღურა მხარზე დააჯდა და თან შეჰყვა. ფადიშაჰის ცოლი ტკივილებისაგან გათანგული იწვა ლოგინში. ვაჟმა ფადიშაჰს წამალი ჩააბარა და სულთან ხანუმის ლოგინთან გაჩერდა. ქალს წამალი დაალევინეს თუ არა, მაშინვე თვალი აახილა და ვაჟის მხარზე მჯდომი ბეღურა რომ დაინახა, ერთი შეჰკივლა და დაუწყო ბეღურას ლანძღვა:

— ჰეი, შე უნამუსოვ, შენა, ბოლოს და ბოლოს, მე ჩემს მხარეს მომაშორე და აქეთ გადმომაგდე. მე ბევრი არაფერი დავკარგე, მაგრამ ეს საცოდავი ყმაწვილი რამდენი აწვალე, არა გრცხვენიაო?

გაკვირვებულმა ფადიშაჰმა იკითხა, რაში იყო საქმე. სულთან ხანუმმა უთხრა:

— ეს ბეღურა წინათ ჩემი მოახლე იყო. ერთხელ ძალიან გამაჯავრა. მეც ბეღურად ვაქციე. ახლა მაგანაც სამაგიერო გადამიხადა. მართალია, მე ცუდი არაფერი დამმართნია, ფადიშაჰის ცოლი გავხდი და ჩემს ნებაზე ველარ დავნავარდობ; მაგრამ ეს უდანაშაულო ყმაწვილი კი ძალზე აწამა. ეგ რა შუაში იყოო, — შემდეგ მიუბრუნდა ბეღურას და დაუყვირა: — აი, შე უსინდისო, ახლავე წადი და ადამიანის ტანისამოსი გადაიცვიო!

ამ სიტყვებზე ბეღურა ერთი შეიშმუშნა და მშვენიერ ასულად იქცა, მაგრამ სულთან ხანუმს სილამაზეში მაინც ჩამოუვარდებოდა.

— ახლა, ჩემო ფადიშაჰო, ეს ვაჟი იშვილე და ეს ქალწულიც ცოლად შერთეო! — უბრძანა ქალმა ქმარს.

ფადიშაჰმა ცოლის ბრძანება შეასრულა, ვაჟი იშვილა, ქალიშვილი ცოლად შერთო და ისეთი ქორწილი გადაუხადა, რომ ორმოცი დღე-ღამე სასახლეში ლხინი არ შეწყვეტილა.

ვაჭარი და ფადიშაჰი

I

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ვაჭარი. ვაჭარს ცოლი და მშვენიერი ქალ-ვაჟი ჰყავდა. ერთ დღეს ვაჭარი ავად გახდა და ჩქარა სული ალაჰს ჩააბარა. დარჩათ მთელი ქონება შვილებს და შეუდგნენ ოჯახზე ზრუნვას. ვაჟმა იცოდა, რომ მამას საქონელი სავაჭროდ ბაღდადში დაჰქონდა და თვითონაც გადაწყვიტა აბრეშუმეული იქ გაეყიდა. აჰკიდა საქონელი აქლემებს და გაუდგა გზას ბაღდადისაკენ. ჩავიდა ბაღდადში, იქირავა ერთი დუქანი და დაიწყო ვაჭრობა. საქონელი ჩქარა გაასაღა, ფული ბლომად მოიგო და ორიოდე დღე ბაღდადში გასართობად დარჩენა დააპირა.

ერთხელ გავიდა ვაჟი ბაზარში და ნახა, რომ ვაჭრები დუქნებს კეტავენ. გაუკვირდა ვაჟს და მიზეზი იკითხა. თურმე ერთი მდიდარი ვაჭარი მომკვდარიყო და მისი ამხანაგები დასაფლავებაზე წასვლას აპირებდნენ. ვაჟმაც მოინდომა დასაფლავებაზე დასწრება და ვაჭრის სახლისაკენ გაემართა. თურმე ამ ქვეყნის ადათ-წესების მიხედვით მიცვალებულის პატივსაცემად მისული სტუმრები მთელ ღამეს სასაფლაოზე ათევენ, განსვენებულის საფლავის ახლოს დგამენ კარვებს და მთელ ღამეს იქა რჩებიან. ვაჟმა მოისურვა ღამისთევა, მაგრამ გაახსენდა, რომ შინ ღამით არავინ რჩებოდა. „სახლში ქურდები არ შევიდნენ და ფული არ მომპარონო“ — გაიფიქრა, შეუმჩნევლად ადგა და ქალაქისაკენ გამოსწია. მიადგა ქალაქის კარებს, მაგრამ დაკეტილი დახვდა. სხვა გზა აღარ ჰქონდა, იქვე მახლობლად სასაფლაოს მიაშურა. სასაფლაოს კარი ღია იყო და ვაჟიც შევიდა. ცოტა ხნით საფლავის ქვაზე ჩამოჯდა და შეისვენა. უცებ შორიდან სანთლის შუქი გამოჩნდა. ვაჟმა მაშინვე ჩაკეტა სასაფლაოს კარი, და იქვე ხეზე ავიდა. სინათლე ნელ-ნელა ახლოვდებოდა და ბოლოს სასაფლაოს კარებამდე მიაღწია. ვაჟი ხიდან უთვალთვალებდა ყველაფერს და გაარჩია, რომ სამი არაბი სასაფლაოს კართან გაჩერებულიყო და ბუბუნებდნენ.

ერთ-ერთ მათგანს მხარზე მოზრდილი სკივრი ედო. ვაჟმა ყური დაუგდო მათ საუბარს და შემდეგი სიტყვები გაარჩია:

--- კარი ჩვენ განგებ ღია დავტოვეთ და ახლა ვიღაცას დაუკეტია, ნეტავ ეს რასა ნიშნავსო! — ამბობდა ერთი. — ალბათ სასაფლაოზე ჩვენს შემდეგ კიდევ ვინმე მოვიდა. ამ გზაზე ყაჩაღები დათარეშობენ და ხალხის ძარცვის შემდეგ იქნება სასაფლაოზე იმალებიანო? — დაუმატა მეორემ. ბევრი ლაპარაკისა და ფიქრის შემდეგ სამივენი სასაფლაოს კედელზე აფოფხდნენ და შიგ გადავიდნენ. არაბებმა ხეზე მჯდომი ვაჟი ვერ შენიშნეს; იმავე ხის ძირას გათხარეს საფლავი, სკივრი შიგ ჩაუშვეს, მიაყარეს მიწა და უკან გაბრუნდნენ. როცა არაბები თვალს მიეფარნენ, ვაჟი ხიდან ჩამოვიდა, გათხარა მიწა, სკივრი საფლავიდან ამოიღო და თავი ახადა. დაინახა, რომ შიგ მდიდრულად მორთული, გონებამიხდილი მშვენიერი ასული წევს. ვაჟი ქალის სილამაზემ ისე მოხიბლა, რომ თვალი ვეღარ მოსწყვიტა და მოჯადოებულივით დააცქერდა. უცებ ქალმა დაამთქნარა, თითქოს ღრმა ძილისაგან გამოიღვიძაო, გაიზმორა და ფეხზე წამოდგა. გაიხედ-გამოიხედა აქეთ-იქით, მის წინ უცნობი ვაჟი რომ დაინახა, შეკრთა და იკითხა: ეფენდი, მე აქ ვინ მომიყვანაო?

— მშვენიერო ქალწულო, ვიღაც უცნობმა არაბებმა მოგიყვანეს. ალაჰს მადლობა შესწირე, რომ მე ამ ამბავს შემთხვევით შევესწარი, ყველაფერი დავინახე და დროზე მოგეშველეო, — უპასუხა ვაჟმა. ქალმა აღარაფერი თქვა და ვაჟსა სთხოვა:

— სადმე ცხენი იშოვე, აქედან წამიყვანე და დამმალეო! — ვაჟმა ქალის თხოვნა მაშინვე შეასრულა. მოიყვანა ცხენი, ქალი ისევ სკივრში ჩასვა, აჰკიდა ცხენსა და სახლში მიიყვანა. სახლში ქალი სკივრიდან ამოსვა, თვითონ კი საჰმელ-სასმელის საყიდლად ბაზარში წავიდა. დაბრუნდა ვაჟი ბაზრიდან დატვირთული, გაშალეს მშვენიერი სუფრა და მიეცნენ დროს ტარებას: ვაჟს ქალი თავდავიწყებით შეუყვარდა, მაგრამ სიყვარულის გამომჟღავნებას ვერა ბედავდა. ასე გაიარა კარგა ხანმა. ბოლოს ვაჟმა ვეღარ გაუძლო დარდს და ქალს გული გადაუშალა. ქალმა მოისმინა ვაჟის აღსარება და ასე უპასუხა: ჰეი, ვაჟკაცო, სიყვარული შენზე მეტად მე მწვავს გულს, მაგრამ რას ვიზამ. მე ჩვენი ფადიშაჰის უსაყვარლესი ქალი ვიყავი. ფადიშაჰის სასახლეში დავიბადე და გავიზარდე და ამიტომ ფადიშაჰთან შეჩვეული ვიყავი. რადგან სილამაზეში ქვეყნად ტოლი არა მყავდა, ფადიშაჰმა სასახლეში ცალკე ოთახი მიმიჩინა, ათი მოახლე დამინიშნა და თვითონაც დღედაღამ გვერდიდან არა მცილდებოდა. ერთ დღეს ფადიშაჰი სადღაც გაემგზავრა. სულთან ხანუმი ჩემზე ყოველთვის ეჭვიანობდა და ქმარი წასული რომ დაიგულა, ერთი ჩვენი მოახლე მოისყიდა და ჩემი საჰმელი მოაწამვლინა. მე ამის შესახებ არა ვიცოდი რა. შევჭამე მოწამლული საჰმელი და გრძნობა დავკარგე. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ჩამდეს სკივრში და არაბებმა აქ დამმარხეს. ეფენდი, შენ რომ აქ არ შემსწრებოდი, ახლა ცოცხალი აღარც კი ვიქნებოდი. ამიტომ ახლა ჩემს თავზე უფრო მეტად

შენ მიყვარხარ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფადიშაჰი სადაცაა სასახლეში დაბრუნდება და მაშინვე მომიკითხავს. იქ რომ არ დავხვდები, ძებნას დამიწყებს, ქვეყანას გადააბრუნებს და მაინც მიპოვის. ჩვენ ორივენი ხელში რომ ჩაგვიგდოს, მეც მომკლავს და შენც. ამიტომ ჯერ ცოლად არ წამოგყვები, ცოტა ხანი მოვითმინოთ და ჩქარა დადგება დრო, როდესაც ჩვენს გულის წადილს შევისრულებთო.

დაუჯერა ვაჟმა ქალის სიტყვებს და ხელი არ ახლო. მთელი დღე ერთად იყვნენ და დროს სიცილ-კისკისში და თამაშში ატარებდნენ. ახლა ესენი დროებით აქ დავტოვოთ და ფადიშაჰის ცოლს მივუბრუნდეთ!

სულთან ხანუმმა მოიცილა ლამაზი მეტოქე თავიდან და მერე ჩაუფიქრდა თავის საქციელს: „ეს გომბიო ხომ დავამარხვინე და თავიდან მოვიშორე, მაგრამ ფადიშაჰი რომ დაბრუნდება, რა პასუხი უნდა გავცე? მას ეს ქალი გაგიქეთ უყვარს და დაბრუნებისთანავე მოიკითხავს. ჩემი ოინიც რომ შეიტყოს, ნამდვილად ცოცხალს არ დამტოვებს და თავს მომკვეთსო!“ — ფიქრობდა და წუხდა სულთან ხანუმი, მაგრამ რაღას უშველიდა.

ფადიშაჰის მეუღლეს ერთი ჯადოქრობით განთქმული არაბი მოახლე ჰყავდა. მოახლემ ქალბატონი ასე დარდიანი რომ დაინახა, მიზეზი ჰკითხა. სულთან ხანუმმა უამბო თავისი გასაჭირი და შველა სთხოვა. მოახლემ ქალბატონი დაამშვიდა და უთხრა:—ჩემო მბრძანებელო, თქვენ მაგაზე ნუ ფიქრობთ. ხისგან ადამიანის ტანი გამოათლევინე, შეასუდრინეთ, როგორც ეს მიცვალებულს ეკუთვნის და აქვე სასახლის ბაღში დაამარხვინეთ. როდესაც ფადიშაჰი დაბრუნდება და საყვარელს მოიკითხავს, უპასუხეთ: ჩემო კარგო, საცოდავი ქალი გარდაიცვალა, მე ვიცოდი, რომ შენ ის ქალი ძალიან გიყვარდა და ამიტომ სასახლის ბაღში დავამარხვინე-თქო. ამაზე ფადიშაჰი საყვედურს ვეღარ გეტყვით და ამგვარად მისი რისხვაც აგცდებათო. მოახლის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა ფადიშაჰის ცოლს და გაუხარდა, რომ ასე ადვილად გადარჩებოდა. მაშინვე ხისაგან ქალის მსგავსი სხეული გამოათლევინა და ბაღში დაამარხვინა.

გავიდა ხანი და ფადიშაჰი სასახლეში დაბრუნდა. ვითომ დამწუხრებული სულთან ხანუმი შეეგება ქმარს და საყვარლის სიკვდილი აუწყა. ამის გაგონებაზე ფადიშაჰმა მორთო მოთქმა-ტირილი. ბევრი იბღავლა, იღრიალა და ბოლოს გლოვასა და დარდს რომ ვერ გაუძლო, წავიდა ბაღში, გაათხრევინა საფლავი და მიცვალებული მიწიდან ამოაღებინა. „ჩემს საყვარელს ერთხელ კიდევ დავხედავ სახეზეო“, — იფიქრა და მხლებლებს სუდარის ახდა უბრძანა. ამას კი აღარ ელოდა სულთან ხანუმი; ძალზე შეშინდა, მაგრამ არ დაიბნა, მიუახლოვდა გამწარებულ ქმარს და დამშვიდება დაუწყო: „ჰოი, მბრძანებელო, თქვენისთანა დიდ ფადიშაჰს ესოდენ დაუფიქრებელი მოქმედება არ შეშვენის. თქვენ თუ ასეთ საქციელს ჩაიდენთ, თქვენი ხელქვეითები უარესს გააკეთებენ, ცოტა მოითმინე და ჯავრი გაგინელდებაო!“ იმდენი ელაპარაკა სულთან ხანუმი ქმარს, რომ ფადიშაჰმა მიცვალებულს სახეზე აღარ დახედა და კვლავ დამარხვა.



უბრძანა. დარდისაგან გახელებულმა ფადიშაჰმა გლოვის ნიშნად სახე ჩამოიკაწრა, ტანისამოსი შემოიხია და ამ ყოფით სასახლეში შეავიდა. შემდეგ გასცა განკარგულება ღარიბ-ღატაკთათვის მოწყალება გაეცათ და თვითონ მძიმე გლოვას მიეცა. ყოველ ღამე ძილის წინ ფადიშაჰი გამოდიოდა ბაღში, ქალის საფლავზე ტიროდა, მოთქვამდა და გაუთავებელ გლოვას ეძლეოდა. შემდეგ შედიოდა სასახლეში და იძინებდა.

ერთ ღამეს ფადიშაჰი ლოგინში იწვა და ბურანში იყო, საწოლს გვერდით ორი მოახლე უჯდა და უნიავებდნენ. მოახლეებს ფადიშაჰი ჩაძინებული ეგონათ და გაიბეს ერთმანეთში საუბარი. ერთმა მეორეს უთხრა: „ჰე, ჩვენმა ფადიშაჰმა რომ გაიგოს, მის საყვარელს რა უყვეს, ვინ იცის, რას იზამდაო?“ ფადიშაჰმა ამ სიტყვებს ყური რომ მოჰკრა, გაიტრუნა და თავი მოიმძინარა. მეორე მსახურმა პირველსა ჰკითხა: „რა იყო, გენაცვალე, რა მოხდაო?“. პირველმაც სულთან ხანუმის ნამოქმედარი ყველაფერი დაწვრილებით უამბო ამხანაგს და თანაც დაუმატა: „როგორც მე გავიგე, ახლა ის ქალი თურმე ერთი ვაჭრის სახლში ცხოვრობსო“. ვეღარ მოითმინა ფადიშაჰმა, და ამის გაგონებაზე ლოგინიდან წამოვარდა. მოუხმო თავის ვეზირს და უბრძანა: „ახლავე ამა და ამ ადგილისაკენ გასწი, მავანი ვაჭარი იპოვე და ორივე — ვაჭარი და ჩემი საყვარელიც აქ მომგვარეო!“ ვეზირი სასწრაფოდ გაეშურა ფადიშაჰის ბრძანების შესასრულებლად. იპოვა ამ ვაჭრის სახლი და ის იყო შიგ უნდა შესულიყო, რომ ქალმა ვეზირი ფანჯრიდან დაინახა. მიხვდა, რისთვისაც იყო მოსული. ქალი გადაეხვია ვაჟს და შეეხვეწა: „მოდი, ახლავე აქაურობას გაეცალე, შენი სიცოცხლე საფრთხეშია. მე ჩემს თავს მოვუვლი. ყველაფერს მოვაგვარებ და როცა დრო იქნება, გიპოვიო“. დაუყვა ვაჟი ქალის ნებას, უკანა კარიდან ბაღში ჩავიდა, გადაეცალა ბაღის კედლებს და გაიქცა.

ამასობაში ვეზირმაც დააკაკუნა კარზე. ქალმა ვეზირს კარი გაუღო, ოთახში შეიყვანა და ხელზე აკოცა. „ფადიშაჰი გიხმობს და ახლავე სასახლეში უნდა გამომყვეო!“ — უთხრა ვეზირმა ქალს. რა გზა ჰქონდა ქალს, ადგა, მოაგროვა თავისი ტანისამოსი, ნივთები, შეკრა ბოხჩად, აჰკიდა ერთ მუშას და ვეზირს სასახლეში გაჰყვა. როდესაც ქალი სასახლეში მივიდა, ფადიშაჰმა ახლოსაც არ გაიკარა. „ჰეი, შე მოღალატევ, ვაჭრის საყვარელი გამხდარხარო!“ — მიაძახა და კარისკაცებს ქალი დილეგში ჩააგდებინა.

როგორც ვთქვით, ვაჟი ბაღიდან გაიქცა და გაჰყვა გზას. იარა, იარა და ერთ ქალაქში შეავიდა. დიდი ხნის უპმელობამ და სიარულმა ვაჟს ქანცი გამოულია. დიდის გაჭირვებით მიაღწია ერთ ჯამეს[1] და კარებთან დაეცა. როდესაც ხალხი ჯამედან გამოვიდა, დაინახეს, რომ მიწაზე ერთი მშვენიერი ვაჟკაცი გდია. მაშინვე მისცვივდნენ, წამოაყენეს, ჯამეში შეიყვანეს და დააპურეს. ვაჟმა ცოტაოდენი შესვა, შეჭამა და თვალი გაახილა. რამდენიმე დღე ვაჟი ჯამეში

[1] მეჩეთი.

იწვა და ქალაქის მკვიდრნიც მოვლა-მზრუნველობას არ აკლებდნენ. ვაჟს ქალის სიყვარული სწვავდა და მოსვენებას უკარგავდა. დარდმა ისე დააუძლურა, რომ ჩქარა ლოგინად ჩააგდო. შეეცოდა ქალაქის ერთ-ერთ დიდებულს სნეული ვაჟი, თავისთან გადაიყვანა და პატრონობა დაუწყო. დიდებულმა ვაჟს განთქმული ექიმები მიუჩინა, მაგრამ ექიმების წამლებსა და მკურნალობას არავითარი შედეგი არა ჰქონდა. ასე გადიოდა ხანი და ვაჟის დღეებიც ითვლებოდა.

ახლა ისევ ქალს მივუბრუნდეთ. ერთ დღეს როდესაც ფადიშაჰი სასახლეში სეირნობდა, ჩაუარა იმ ადგილს, სადაც ქალი ჰყავდა დამწყვდეული. ქალმა კარებიდან დაინახა ფადიშაჰი და გამოელაპარაკა:

— ჰოი, დიდებულო ფადიშაჰო, განა ისეთი რა დანაშაული მიმიძღვის შენს წინაშე, რომ არაფერი მკითხე და ამ ბნელ საკანში გამომკეტეო? შენ ალბათ ისიც არ იცი, რომ ჩემმა მტრებმა მიწაში ცოცხლად დამმარხეს. ის ვაჭარი იმ დროს შემთხვევით იქ რომ არ შემსწრებოდა, მოვკვდებოდი და ვერასოდეს ვეღარ მიხილავდი. ვაჭარს ჩვენი სიყვარულის შესახებ ყველაფერი ვუამბე და შენს დაბრუნებას მოუთმენლად ველოდით. შენ კი ყველაფერი იმით გადაგვიხადე, რომ მე აქ გამომამწყვდიე, ჩემმა მხსნელმა ვაჭარმა კი სახლ-კარი მიატოვა და ვინ იცის, საით გადაიკარგაო! — ამ სიტყვების გაგონებაზე ფადიშაჰს გული მოულბა. მივიდა, მიესიყვარულა ქალსა და უთხრა:

— მადლობა ალაჰს, ჩემო კარგო, შენ ისევ ჩემი ერთგული ყოფილხარ და მე რამდენი ტანჯვა მოგაყენე! თუ ისეა როგორც შენ მითხარი, ჩემს დანაშაულს გამოვისყიდი. მიბრძანე, რაც გსურს და აგისრულებო!

— ჩემი მხსნელი ვაჭრის სიცოცხლე მაჩუქე. შენგან სხვა არაფერი მინდაო, — უპასუხა ქალმა.

— აღსრულდეს ნება შენი, ვაჟის სიცოცხლე შენთვის მიჩუქებია, ამქვეყნად ალაჰმა ხელი-მოგიმართოთო! — თქვა ფადიშაჰმა და ქალი გაათავისუფლა.

გახარებულმა ქალმა კალთები დაუკოცნა ფადიშაჰს, წამოიღო ბლომად ოქროული, გამოვიდა სასახლიდან და ვაჟის საძებნელად გაემართა.

ცოტა იარა თუ ბევრი, ერთ დღეს მიადგა იმ ქალაქს, სადაც სნეული ვაჟი იმყოფებოდა. ქალმა ერთი სახლი იქირავა და რამდენიმე დღე იქ გაატარა. თურმე იმ სახლის პატრონს დავალებული ჰქონდა ავადმყოფი ვაჟისათვის ხალხში ფულის შეგროვება და ვაჟის მოვლა. სახლის პატრონი ფულის გამოსართმევად ქალთანაც მივიდა და უთხრა: „შვილო. ჩვენს ქალაქში ერთი უთვისტომო სნეული ვაჟი იმყოფება. ყველას ძალიან გვეცოდება და ვისაც რამდენი შეგვიძლია, საექიმო ფულს ვაგროვებთ, თქვენც ცოტაოდენი ფული გაიღეთო!“ ქალმა მისცა სახლის პატრონს ცოტა ფული და ავადმყოფის სანახავად გაჰყვა. შევიდა ავადმყოფთან და რასა ხედავს! ვაჟი მის მხსნელ ვაჭარს საოცრადა ჰგავს. ავადმყოფი ძალზე მისუსტებული იყო და ქალი ვერ იცნო. ქალმა არაფერი შეიმჩნია, ცოტა ხანს ჩამოჯდა და სახლში დაბრუნდა. ასე რამდენჯერმე მივიდა ქალი სნეული ვაჟის სანახავად.

დიდხანს უცადეს ვაჭარს თავის ქვეყანაში დედამ და დამ, და რომ აღარ გამოჩნდა, ადგნენ და მის საძებნელად გამოსწიეს. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ისინიც იმ ქალაქში მოვიდნენ, სადაც სიყვარულისაგან სასომიხდილი ვაჭარი იწვა. დედა-შვილი დადიოდა ქალაქში ქუჩა-ქუჩა და გამვლელ-გამომვლელს ვაჟის ამბავს ეკითხებოდა.

ერთხელ ასე ძებნისას ქუჩაში ვაჟის სატრფო შემოხვდათ და ჰკითხეს:

— გეთაყვა, ამა და ამ ქალაქიდან სავაჭროდ ერთი ვაჭარი წამოვიდა და ხომ არ იცით, ახლა სად არისო?

— მე თქვენს ვაჟს არ ვიცნობ. არც ის ვიცი, სად არის. მაგრამ ახლა ერთ ავადმყოფთან მივდივარ. ისიც უთვისტომოა, აქ არავინა ჰყავს. თუ გნებავთ, თქვენც ჩემთან ერთად წამოდით და ნახეთო! — უპასუხა ქალმა. ვაჭრის დედა და და გაჰყვნენ ქალს და ავადმყოფთან მივიდნენ. დახედეს ქალებმა ვაჟს სახეზე, ეცნოთ და თავისთვის ჩაილაპარაკეს: „ვისაც ვეძებთ, იმ კაცს ძალიანა ჰგავს, მაგრამ არ ვიცით, ნამდვილად ის არის თუ არაო!“

— თქვენ რომელი ქვეყნიდანა ხართო? — ჰკითხა ქალმა დედა-შვილს. ავადმყოფ ვაჟს ჩაესმა თუ არა თავისი სატრფოს ხმა, თვალი აახილა და ქალს სახეზე დააშტერდა. ცოტა ხანს უყურა ვაჟმა ქალს, დარწმუნდა რომ ის იყო, ვისი გულისთვისაც სიცოცხლე ელეოდა და გადაეხვია. ვაჟს ახლა დედა და და მისცვივდნენ და დაიწყო ერთი ხვევნა-კოცნა და ტირილი. როცა ცოტა დამშვიდდნენ, ვაჟმა ქალს სთხოვა: „ჩემო ძვირფასო, შენმა სიყვარულმა კინაღამ თან გადამიტანა, ახლა ხომ ვიპოვეთ ერთმანეთი და ნოდი თავს ნუღარ დამანებებ, შენთან სახლში გადამიყვანე, იქ უფრო ჩქარა მოვრჩებიო!“ წაიყვანეს ვაჟი ქალის სახლში, კარგად მოუარეს და სულ ცოტა ხანში ვაჟი მთლად გამოჯანმრთელდა.

ერთ მშვენიერ დღეს ყველამ ერთად გამოსწია და ფადიშაჰთან მივიდნენ. ძალზე გაუხარდა ფადიშაჰს მათი ნახვა.

ქალ-ვაჟი გვერდით მოისვა და ამბავი გამოჰკითხა. ვაჟმა ფადიშაჰს ყველაფერი თავიდან დაწვრილებით უამბო. განრისხდა ფადიშაჰი და ბრძანა სულთან ხანუმისათვის თავი მოეკვეთათ. ბრძანება შეასრულეს. ამის შემდეგ ფადიშაჰმა ქალ-ვაჟი ერთმანეთს შეაუღლა, თვითონ კი ვაჟის და შეირთო და დიდი ქორწილი გადაიხადა. ქორწილი ორმოც დღე-ღამეს გაგრძელდა და ყველამ თავის მიზანს მიაღწია. ჩვენც ჩვენი გულის წადილი შეგვისრულდეს.

შაჰ მერამი და სადე სულთანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფადიშაჰი, სამი ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთ დღეს ფადიშაჰი ავად გახდა და მალე სიცოცხლეს გამოესალმა. მამის სიკვდილის შემდეგ ვაჟებმა ერთმანეთში დავა დაიწყეს — არა მე უნდა ვიყო ტახტის მემკვიდრე, არა მეო. დიდხანს იჩხუბეს ძმებმა, ბოლოს უმცროსმა თქვა:

— ძმებო, ერთმანეთს თავს რაზედ ვაკლავთ, მოდით, სათითაოდ ვისროლოთ ისარი, ვისი ისარიც შორს წავა, ტახტზედაც ის ავიდესო!

მოეწონათ ძმებს უმცროსის აზრი, აიღეს მშვილდ-ისრები და გავიდნენ მინდვრად. ისროლა უფროსმა ძმამ ისარი და ერთ შორეულ მინდორში დაარჭო. შუათანა ძმის ისარი იმაზე უფრო შორს წავიდა. ჯერი უმცროს ძმაზე მიდგა. სტყორცნა უმცროსმა ისარი და ცხრა მთას იქით გადაისროლა. წავიდნენ ძმები ისრების მოსატანად, კარგა ხანს იარეს და ამასობაში შემოაღამდათ კიდეც. სიბნელეში ერთმანეთი ვეღარ იპოვეს და საცა იყვნენ, იქვე დარჩნენ.

უმცროსმა ძმამაც გასწია თავისი ისრის საძებნელად. სადღაც შორს ძლივს იპოვა ისარი, მიწიდან ამოაძრო და სიბნელეში გაიხედ-გამოიხედა. ნეტავი რა ადგილია ეს, აქ სად გადმომაგდო ბედმაო? — გაიფიქრა და იქაურობა კარგად დაათვალიერა. უცებ სადღაც შორს სინათლეს მოჰკრა თვალი და იქითკენ გაეშურა. იარა, იარა და, როგორც იქნა, იმ სინათლემდე მიაღწია. დაინახა, რომ მის წინ უზარმაზარი სასახლეა აღმართული, სასახლეს გარშემო ორმოცი კაცი შემოხვევია და რაღაცას ელოდებიან. უმცროსი ძმა მივიდა ხალხთან, მიესალმა და ვინაობა ჰკითხა.

— ჩვენ ყაჩაღები ვართ, — უპასუხეს მათ. — რამდენი წელიწადია ამ სასახლეში შესვლა გვწადია, მაგრამ შესასვლელ კარს ვეძებთ და ვერ გვიპოვიაო.

ვაჟმა თვალი შეავლო იქაურობას და სასახლის გალავანზე ავიდა:

— აბა, თქვენც ჩემსავით ამოცოცდითო! — ჩასძახა ყაჩაღებს. ყაჩაღებმა დიდის გაჭირვებით დაიწყეს კედელზე სათითაოდ აფოფხება. როგორც კი

აფოფხდებოდა ყაჩაღი გალავანზე, ზემოთ ვაჟი უხვდებოდა და თავს სჭრიდა. ასე დახოცა ორმოცივე ყაჩაღი და თვითონ სასახლის ეზოში ჩავიდა. შევიდა სასახლეში და ოთახები დაიარა. სამ ოთახში თითო-თითო მზეთუნახავი დახვდა. ერთი თავისთვის ამოირჩია, ორი თავისი ძმების საბედოებად ჩათვალა და უკან დაბრუნება დააპირა. სანამ უკან გამობრუნდებოდა, თავისი საცოლის ოთახის კარებზე ხანჯალი დაასო, რომ საბედო სხვებში არ არეოდა და სასახლიდან გამოვიდა.

ამასობაში გათენდა კიდეც. უმცროსი ძმა მიუბრუნდა იმ ადგილს, სადაც ისარი ჰქონდა დატოვებული, წამოიღო და ძმებისაკენ გამოსწია. იპოვა თავისი ძმებიც და სამივენი ერთად დაბრუნდნენ შინ. ძმები დარწმუნდნენ, რომ უმცროსმა ძმამ ყველაზე შორს სტყორცნა ისარი და ტახტიც მას დაულოცეს.

ვნახოთ რა მოხდა მზეთუნახავების სასახლეში. მეორე დილით სასახლის მფლობელმა ფადიშაჰმა გაიღვიძა, ადგა, გარეთ გამოვიდა და დაინახა, რომ მისი უმცროსი ქალის ოთახის კარებზე ხანჯალი არჭვია. მოჰკიდა ხანჯლის ტარს ხელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოსწია, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. გაკვირვებულმა ფადიშაჰმა თავი მოუყარა ხალხს, ბევრმა სცადა თავისი ძალა, მაგრამ ამაოდ. ფადიშაჰმა თავის სახელმწიფოში მაცნეები დაგზავნა და ხალხს აუწყა:

— ვინც ხანჯალს ამოაძრობს, ჩემს უმცროს მზეთუნახავს მას მივათხოვებო.

აუარებელი ხალხი მოაწყდა სასახლეს. ყველას უნდოდა ეცადა ბედი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ამ ამბავმა სამი ძმის ყურამდეც მიაღწია. ადგნენ ძმები და სასახლეში მივიდნენ. დაეჯაჯგურა უფროსი ძმა ხანჯალს, ვერ ამოიღო, ბევრი ოფლი ღვარა შუათანა ძმამაც, მაგრამ ხანჯალი მაგრად ერჭო. უმცროსმა ძმამ კი მოჰკიდა თუ არა ხანჯალს ხელი, თავისუფლად ამოაძრო და წელზე ჩამოკიდებულ ქარქაშში ჩააგო. ფადიშაჰი უმცროს ძმას გადაეხვია და უთხრა: „შვილო, ჩემი ქალი შენი ბედი ყოფილა. აჰა, წაიყვანეო!“

— დიდებულო ფადიშაჰო, მე აქ მარტო არ მოვსულვარ, ჩემთან ერთად ჩემი ძმებიც არიან, — მიუგო ვაჟმა.

— მაშ, ჩემს უფროსსა და შუათანა ქალებსაც შენს ძმებს მივათხოვებ, — დაასწრო ფადიშაჰმა ვაჟს სიტყვა.

უმცროს ძმასაც მეტი რა უნდოდა. შემოსვეს ძმებმა ქალები ცხენებზე და თავიანთი სამყოფელისაკენ გამოსწიეს.

კარგა მანძილი ჰქონდათ გამოვლილი, რომ ჯიხვინი გაისმა, საშინელი ქარი ამოვარდა, დაეშვა ციდან უზარმაზარი დევი, უმცროს ძმას მკლავებიდან ქალი გამოსტაცა და გაქრა. თურმე ნუ იტყვით, ეს მზეთუნახავი ერთ დევს შეჰყვარებოდა და დიდი ხანია მის ხელში ჩაგდებას ლამობდა.

დარჩა უმცროსი ძმა ხელცარიელი. როცა გამოერკვა, ძმებს შესძახა: „თქვენ გზა განაგრძეთ, მე კი ჩემი საცოლის საძებნელად მივდივარ, თუ ვიპოვე,

ხომ კარგი, თუ არადა უკან აღარ დავბრუნდებიო!“ — გადაუჭირა ცხენს მათრახი და გაჭენა. ძმებმა საცოლეები სასახლეში მოიყვანეს და უმცროს ძმას დაუწყეს ლოდინი.

უმცროსი ძმა ჭენებით დაედევნა თავისი საცოლის კვალს, მაგრამ ჩქარა ისიც მხედველობიდან დაეკარგა. ცამ უყო პირი, თუ მიწამ, ვეღარა გაეგო რა. მეტი რა გზა ჰქონდა, გაჰყვა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, წინ ერთი დედაბერი შემოხვდა. თურმე ეს დედაბერი იმ დევის დედა იყო, რომელმაც ვაჟს მზეთუნახავი მოსტაცა. უმცროსი ძმა, ცოტა არ იყოს, შეკრთა დევის დანახვაზე და თავისთვის გაიფიქრა: „ახლა კი ეს დევი ბოლოს მომიღებსო“. მაგრამ არ შეიმჩნია, დედაბერს მიაშურა და გადაეხვია.

— შვილო, საიდან მოდიხარ და სად მიდიხარო? — ჰკითხა დევის დედამ.

ვაჟმაც ყველაფერი უამბო დედაბერს:

— ეჰ, შვილო, შენი საცოლე ჩემს შვილს მოუტაცია. რამდენი წელია ჩემს შვილს იმ მზეთუნახავის ტრფობის ალი სწვავს, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერაფრით ვერ მოახერხა. აი, შენ რომ იმ მზეთუნახავის სასახლესთან ორმოცი ყაჩაღი დახოცე, ისინი ჩემმა შვილმა მიგზავნა ქალის მოსატაცებლად, მაგრამ ამ საქმეში ხელი შენ შეუშალე. ახლა კი ჩემმა შვილმა ქალი ხელთ იგდო და მისი წართმევა ძალიან გაგიძნელდება. ამ საქმეში მე ვერ გიშველი, მაგრამ ამა და ამ ადგილას ჩემი უფროსი და ცხოვრობს, მასთან მიდი, ჩემგან მოკითხვა გადაეცი და იქნებ იმან გირჩიოს რამეო, — დაარიგა დევის დედამ და ვაჟმაც დევის უფროსი დისკენ გასწია.

იარა, იარა ვაჟმა, ცხრა მთა გადაიარა და ბოლოს მიადგა იმ ადგილს, სადაც დევის და ცხოვრობდა. დაინახა ვაჟმა ბებერი დევი, მივიდა მასთან და გადაეხვია. მასაც უამბო თავისი თავგადასავალი და დახმარება სთხოვა.

— მე ვერას გიშველი, შვილო, მავან ალაგას ჩემი უფროსი და ცხოვრობს და იმასთან მიდიო, — უთხრა დედაბერმა. აღარ დააყოვნა ვაჟმა, ადგა და ახლა დევების სულ უფროს დასთან მივიდა. იქაც ისევე მოიქცა, როგორც წინა ჯერზე, გადაეხვია მოხუც დევს და ტირილით თავისი ამბავი მოუთხრო.

— შვილო, ეს ერთი თვეა, რაც იმ დევმა მოტაცებული მზეთუნახავით აქეთ გამოიარა. ის დევი ქარივით დაქრის და მასთან მისვლა ძალიან ძნელია. შენ იმედს ნუ დაჰკარგავ, რამეს მაინც ვიღონებთ. მავან ადგილას ერთი ზღვაა. მიდი იმ ზღვის ნაპირას და ორმოც დღეს იქ მოიცადე. ორმოც დღეში ერთხელ ზღვის რაშის კვიცები ნაპირზე გამოდიან. თუ მოახერხებ ერთი კვიცის დაჭერას, პირდაპირ ჩემთან მოიყვანე. აქ ჩვენ მას ორმოც დღეს მოვუვლით, გამოვკვებავთ და გავზრდით, შემდეგ შეჯდები რაშზე და ის შენს საცოლეს გაპოვნინებსო.

დაიმედებული ვაჟი მაშინვე გაეშურა ზღვის ნაპირისკენ. ორმოცი დღე ელოდა ზღვის კვიცების გამოჩენას. მართლაც, ორმოცდამეერთე დღეს კვიცები ნაპირზე გამოვიდნენ. მიეპარა ვაჟი ერთ კვიცს, გაახვია ბამბაში და მოუყვანა

ღედაბერს. ორმოცი დღე უკლიდნენ კვიცს. ორმოცი დღის შემდეგ დედაბერმა კვიცს ჰკითხა:

— შეგიძლია ეს ვაჟი მავან ადგილას მიიყვანოო?

— დედი, მე ჯერ პატარა ვარ. ის რაში, რომლითაც ამ ვაჟს დევმა საცოლე მოსტაცა, მამაჩემია. მე რაც არ უნდა სწრაფად გავფრინდე, ის მაინც დაჰეწევა, მაგრამ მზეთუნახავის მოტაცების დროს, როდესაც ვაჟი ზურგზე შემაჯღება, ფერდში სადგისი მაგრად მიჩხვლიტოს, იქნებ სიმწარემ სისწრაფე მომიმატოს, თორემ მამაჩემი თუ დაგვეწია, დევი მეც მომკლავს და მაგასაც, — მიუგო კვიცმა.

ბევრი აღარ იფიქრა ვაჟმა, მოახტა კვიცს და მზეთუნახავის საძებნელად გასწია.

კვიცმა ნიავივით გააქროლა ვაჟი და იქ მიიყვანა, სადაც დევს მოტაცებული მზეთუხახავი ჰყავდა. დევი მზეთუნახავის გვერდით წამოწოლილიყო და ეძინა: ქალმა თვალი მოჰკრა თუ არა ვაჟს, შეეეედრა:

— ჩემო შაჰზადეე, ამ უწმინდურის ხელიდან მიხსენი. ახლავე აქედან წამიყვანე, თორემ დევმა რომ გამოიღვიძოს, შენც მოგკლავს და მეცო!

ვაჟმა შემოისვა მზეთუნახავი თავის რაშზე და გამოქუსლა. სულ ცოტა მანძილის გავლა ვერც კი მოასწრეს, რომ დევის რაშმა დაიჭიხვინა და დევი გამოაღვიძა. მიიხედ-მოიხედა დევმა და როდესაც თავის გვერდით მზეთუნახავი ვეღარ დაინახა, მოახტა რაშს და ქალ-ვაჟს უკან დაედევნა. დევის რაში უფრო სწრაფი იყო და ის-ის იყო უნდა დასწეოდა კვიცს, რომ ვაჟმა კვიცს ფერდში სადგისი უჩხვლიტა. კვიცმა სიმწრისაგან სისწრაფეს უმატა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიჭიხვინა:

— ვაიმე, შაჰზადეე, მამაჩემი გვეწევა, დაგვიჭერს და ყველას დაგვხოცავს! — ამის თქმაზე შაჰზადემ კვიცს კიდევ რამდენჯერმე უჩხვლიტა სადგისი. როგორც იყო, მიაღწიეს ბებერი დევის სახლამდე.

— შვილო, თქვენ ახლა უკვე სამშვიდობოსა ხართ, დევი ვერაფერს დაგაკლებთ, ნუ გეშინია, წაიყვანე შენი საცოლე და სადაც გინდოდეს, იქ წადი, მაგრამ ეს კი იცოდე, ყოველდღე ერთი კაცი უნდა გამომიგზავნო საჭმელად, თუ აგას არ შემისრულებ, მაშინ მოვალ თქვენთან ღამე და მძინარეებს გადაგყლაპავთო, — უთხრა ბებერმა დევმა ვაჟს.

— კარგი, დედი, ეგრე იყოსო, — უპასუხა ვაჟმა, წაჰოიყვანა მზეთუნახავი და თავისი ქვეყნისაკენ გაუდგნენ გზას.

ეს ხანი უფროსი ძმები თავიანთ უმცროს ძმას მოუთმენლად ელოდნენ. როდესაც ის საღსალამათი დაინახეს, ძალიან გაუხარდათ და მაშინვე შეუდგნენ საქორწილო სამზადისს. დიდი ქეიფი გადაიხადეს, ორმოც დღესა და ღამეს ქუდს ჭერში ისვროდნენ. ქორწილის შემდეგ სამივე ძმა დასაძინებლად დაწვა. საქორწინო მზადებასა და ფუსფუსში უმცროს ძმას სულ გადაავიწყდა, რომ დედაბერს ყოველდღე თითო კაცის გაგზავნა აღუთქვა. იმ ღამეს, როდესაც

ქორწილის შემდეგ ქალ-ვაჟს ტკბილად ეძინათ, ბებერი დევი მოვიდა, მძინარენი საწოლიდან აიტაცა და წაიყვანა. ნეფე-დედოფალს უცბად გამოეღვიძათ და დაინახეს, რომ ბებერ დევთან არიან.

— ვაჰმეო, — ამოიოხრა ვაჟმა, — როგორ დამავიწყდა ჩემი დაპირების შესრულება. ახლა ისევ განსაცდელში ჩავცვივდით. ამ დედაბერმა იმდენი სიკეთე მიყო და მე კი სამაგიერო ვერ გადავუხადე. დედი, ეს ერთი მაპატიე და ჩემს ქალაქში გამიშვი. ამის შემდეგ თუ ყოველდღე თითო კაცი არ გამოგიგზავნო საჭმელად, მაშინ დაგვიჭირე და შეგვჭამეო! — ბევრი ელაპარაკა ვაჟი ბებერ დევს, ბევრი ეხვეწა და როგორც იქნა, დაიყოლია. დედაბერმა გაუშვა ქალ-ვაჟი. ისინიც გახარებულნი დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქში.

ქალმა და ვაჟმა იარეს, იარეს და გზაში ისე მოიღალნენ, რომ ერთ ადგილას მიწვნენ და დაღლილ-დაქანცულებს ჩაეძინათ. ამ დროს ჩამოიქროლა ისევ იმ დევმა, მოიტაცა კვლავ მზეთუნახავი, შეისვა რაშზე და გაქრა.

გამოეღვიძა ვაჟს და დაინახა, რომ ქალი აღარსადაა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერსად ვერაფერი დაინახა. ამ ძებნაში ერთ ჭას წაადგა. მივიდა ჭასთან ახლოს, ჩაიხედა შიგ და ფსკერიდან დოლსაკრავის ხმა მოესმა. — ნეტავი აქ რა ამბავიაო? — გაიფიქრა თავისთვის ვაჟმა. უცებ ჭიდან ერთი ჩიტი ამოფრინდა და ვაჟს მიმართა:

— ყმაწვილო, აქ რას აკეთებო?

— მე ერთი ყარიბი ვინმე ვარ. აქეთ გზად მივდიოდი, ჭიდან რაღაც ხმაური შემომესმა, დავინტერესდი და გავჩერდი. ველოდები, რა მოხდება, — მიუგო ვაჟმა.

— ჭაში ფერიების ფადიშაჰი შვილს აქორწინებს, მე მათთვის წყალს ვეზიდებიო, — უთხრა ფრინველმა.

— არ შეიძლება ჭაში მეც ჩამოვიდე და ქორწილი ვნახოო? — იკითხა ვაჟმა.

— მე წავალ, ჭურჭელს წყლით ავავსებ და დავბრუნდები, შენ თუ დამელოდები, ჭაში ჩაგიყვანო, — უპასუხა ჩიტმა.

— კარგი, მოგიცდიო, — დაეთანხმა ვაჟი. ჩიტი გაფრინდა. მალე ისევ მოფრინდა წყლით სავსე ჭურჭლით და ვაჟს უთხრა:

— მე ახლა ჭაში ჩაგიყვან. ფერიები როგორც კი დაგინახავენ, მაშინვე თავს დაგეხვევიან, ასტეხენ ერთ ერიამულს, სტვენას, ადამიანის შვილი გამოგვერიაო. შენ კი მათ ყაყანს ყურს ნუ ათხოვებ და პირდაპირ ფერიების ფადიშაჰს მიმართე: „მოწყალეო ფადიშაჰო, გთხოვ დამეხმარო, თუ ვინმე მიშველის, ისევ შენა-თქო", და შენი თავგადასავალი დაწვრილებით უამბე, ისიც აუცილებლად დაგეხმარება, — დაარიგა ფრინველმა ვაჟი და ჭაში ჩაიყვანა. ჭის ფსკერზე ვაჟს თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაეშალა: სამოთხის ბაღი სხვადასხვა ამწვანებული ხეხილით, ყვავილებითა და ვარდებით იყო სავსე. ბაღში ფრინველებს ქივილ-ხივილი გაჰქონდათ. დაინახეს თუ არა ჩიტებმა უცხო ვაჟი,

გარს შემოეხვივნენ და ლაპარაკი დაუწყეს. ვაჟმა ფერიების ფადიშაჰს თავისი თავგადასავალი უამბო და შველა სთხოვა:

— შვილო, შენ ადამიანის შვილი ხარ და აქ როგორ მოხვედი? — ჰკითხა ფერიების ფადიშაჰმა.

— აი, ამ წყლის მზიდავმა ჩიტმა ჩამომიყვანაო, — უპასუხა ვაჟმა.

— მაშ, ისევ მაგან წაგიყვანოს და სადაც მოისურვებ იქ მიგიყვანოს, თუ გზაზე რაიმე ხიფათი შეგემთხვეთ, ჩემი სახელი ახსენეთ და მოგეშველებითო, — ბრძანა ფადიშაჰმა.

წყლის მზიდავმა ჩიტმა ვაჟი ჭიდან ზევით ამოაფრინა და ორივენი დევის საძებნელად წავიდნენ. მიუახლოვდნენ თუ არა დევის სამყოფელს, ფრინველმა მზეთუნახავი ფრთაზე შეისვა და მეშვიდე ცაზე ააფრინა. ამასობაში დევის რაშმა დაიწყო ჭიხვინი და მძინარე დევი გამოაღვიძა. მაშინვე წამოხტა დევი ფეხზე, შეჯდა თავის რაშზე და დაედევნა, მაგრამ გაქცეულები ეელარსად იპოვა და უკან დაბრუნდა.

ფრინველმა ქალ-ვაჟი ისევ იმ ჭაში ჩაიყვანა და ფადიშაჰს მიჰგვარა. ფადიშაჰმა ვაჟს უთხრა:

— შენ რომ დღეის იქით სახელად შაჰ მერამი დაირქვა და შენს ცოლს კი სადე სულთანი უწოდო, იმ დევს ხელში აღარ ჩაუვარდები, მაგრამ გაფრთხილებთ, არ შეგეშალოთ და ერთმანეთს ძველი სახელებით არ მიმართოთ! — დალოცა ნეფე-დედოფალი ფერიების ფადიშაჰმა და სამშობლოში გაისტუმრა.

მივიდნენ ქალ-ვაჟი თავიანთ ქალაქში. ვაჟს ძმებმა ხელმეორედ გაუმართეს ქორწილი და ორმოც დღესა და ღამეს ქეიფობდნენ. ქორწილის შემდეგ ნეფე-პატარძალი დასაძინებლად წავიდა.

იმ ღამეს დევი ისევ მოვიდა, დააკლო ხელი საწოლს და ის იყო უნდა აეტაცა, რომ ქალს გამოეღვიძა და შეშინებულმა დაიყვირა: „შაჰ მერამო, მიშველეო?“ — „რა იყო, ჩემო სადე სულთან, რა მოგივიდა?“ — შესძახა ვაჟმა. ამის გაგონებაზე დევმა საწოლს ხელი უშვა და ქვად იქცა. დილით გაქვავებული დევი ბაღში გადაიტანეს და აუზთან დადგეს. ქალ-ვაჟი ყოველდღე გადიოდა ბაღში, აუზთან სხდებოდნენ და მუსაიფობდნენ. როგორც კი საუბრის დროს ახალი სახელები დააკიწყდებოდათ და ერთმანეთს ძველებურად მიმართავდნენ, ქვად ქცეული დევი შეირხეოდა და ბუყბუყს იწყებდა. ამის დანახვაზე შეშინებულ ცოლ-ქმარს აგონდებოდა ფერიების ფადიშაჰის დარიგება და საჩქაროდ ერთმანეთს ახალ სახელებს უწოდებდნენ: — ჩემო შაჰ მერამ! — ეტყოდა ქალი, — რა იყო, ჩემო სადე სულთან? — მიუგებდა ვაჟი და დამშვიდებული ქვაც უძრავად რჩებოდა.

გავიდა კარგა ხანი. ერთ ღამეს ქალს ერთი დერვიში დაესიზმრა. დერვიშმა უთხრა: „როდესაც თქვენ ლაპარაკში თქვენი სახელები დაგავიწყდებათ და დევი გამოცოცხლებას დაიწყებს, სანამ თქვენ ერთმანეთს შაჰ მერამსა და სადე სულთანს დაუძახებთ, თუ მოასწრებთ, აუზიდან ერთი მუჭა წყალი ამოიღეთ და

დევს თავზე დაასხითო. ქვას აუარებელი თვალ-მარგალიტი გადჰოსცვივა, აუზში ჩაიბნევა და თქვენც დევისაგან სამუდამოდ გათავისუფლებითო!“

ქალს გამოეღვიძა და სიზმარი ქმარს უამბო.

— მოდი, ერთი გამოვცადოთ შენი სიზმარი მართალია თუ არა. როდესაც დევი გამოცოცხლდება, თავზე წყალს ნუ გადავასხამთ და ვნახოთ, რა მოხდებაო! — უთხრა შაჰზადემ თავის ცოლს.

— კარგიო, — დაეთანხმა ქალი.

მეორე დღესვე ჩამოსხდნენ აუზის პირას და ერთმანეთს ძველებურად მიმართეს. უცებ გაიპო ქვა და იწყო დევმა ბუყბუყ-ზანზარით ქვიდან ამოსვლა. „ვაიმე, შაჰ მერამ!“ — შეჰყვირა ქალმა. ვაჟმა კი იმის მაგივრად, რომ აუზიდან ერთი მუჭა წყალი ამოეღო, დევისთვის თავზე გადაესხა და დაეძახა: — „რა იყო, ჩემო სადე სულთანო?“ — იძრო ხანჯალი და დევს ეკვეთა. ამასობაში დევი მთლად განთავისუფლდა ქვიდან და ვაჟს ხელი სტაცა. შეშინებულმა შაჰზადემ მაშინ კი იკადრა და დაიყვირა: — „ვაიმე, სადე სულთანო!“ ამის გაგონებისთანავე დევმა ვაჟს ხელი უშვა და კვლავ გაქვავდა, გაქვავებულ დევს ჭრილობიდან სისხლი ღვარად ჩამოედინა და აუზის წყალს შეერია. დაბნეული ცოლ-ქმარი იდგა და ამ უცნაურ სანახაობას ხმაგაკმენდილი შესცქეროდა.

ამ ამბის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ, როდესაც ქალ-ვაჟი აუზთან იჯდა, მათთან მივიდა ის დერვიში, რომელიც ქალს დაესიზმრა და უთხრა:

— თქვენ რომ ისე მოქცეულიყავით, როგორც მე დაგარიგეთ, დევი ხომ გაქვავდებოდა და თქვენთვის უვნებელი გახდებოდა, ამასთანავე სისხლის ნაცვლად თვალ-მარგალიტი გადმოსცვივდებოდა. ამის შემდეგ ფრთხილად იყავით, თუ კიდევ გადაუხვევთ ჩემს ნათქვამს, ის ქვა კვლავ გაცოცხლდება, ორივეს მოგიტაცებთ და ისეთ ადგილას გადაგკარგავთ, რომ ერთმანეთს ვერასოდეს ვეღარ შეხვდეთო, — თქვა ეს დერვიშმა და გაუჩინარდა.

ქალ-ვაჟი დიდად ჩააფიქრა დერვიშის სიტყვებმა. ბოლოს ისევ ვაჟმა თქვა:

— ჩემო სადე სულთან, მოდი, ამ აუზს ნულარ გავეკარებით, რომ თავს რამე უბედურება არ დავიტეხოთო!

ის იყო და ის. იმ დღიდან იმ ბაღში შესვლა აიკრძალეს და ქვად ქცეულ დევსაც, რომელიც სისხლად იღვრებოდა, აღარავინ ეკარებოდა. ასე გადიოდა ხანი და ქალ-ვაჟი ტკბილად განაგრძობდა ცხოვრებას.

ძეციანი ჩიჩი და ბეღლეჩის ფადიშაჰის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ქალი. ქალს ერთი დარდიმანდი ვაჟი ჰყავდა, რომელიც მთელ დღეებს ქეიფსა და დროსტარებაში აღამებდა. ვაჟი თავის მოხუც დედას ყურადღებას არ აქცევდა. თვეში ერთი-ორჯერ თუ შეივლიდა შინ, დედას ორიოდე ყურუშს მიუგდებდა და ისევ საქეიფოდ მიდიოდა.

ერთ დღეს ვაჟმა სადღაც თვალი მოჰკრა იმ ქვეყნის უმდიდრესი ვაჭრის მზეთუნახავ ქალს, მოეწონა და მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა. მივიდა დედასთან და უთხრა:

— დედი, ახლავე ადექი და ამა და ამ კაცთან მიდი, მისი ლამაზი ქალი ცოლად მითხოვეო.

— შვილო, ისეთ მდიდარსა და ლამაზ ქალს შენ ვინ მოგცემსო, — ამოიოხრა დედამ.

— მე რაც გითხარი, წადი და შეასრულე, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო! — დაუყვირა ვაჟმა დედას. მოხუცს მეტი რა გზა ჰქონდა, ადგა და იმ მდიდარ ვაჭართან მივიდა. შევიდა მშვენივრად მოწყობილ სასახლეში და ვაჭარს მოახსენა:

— ალაჰის ბრძანებით თქვენი ქალის სათხოვნელად ვარ მოსული და რა პასუხს მომცემო?

— კეთილი და პატიოსანი, ქალს მოგათხოვებთ, მაგრამ შენმა ვაჟმა ამა და ამ ადგილას რომ ბაღია, იქიდან ერთი ვაშლი უნდა მომიტანოს. თუ იმ ვაშლის მოტანას შესძლებს, ჩემს მზეთუნახავ ქალს ცოლად გავატან, თუ არადა ახლოც ნუ გამეკარებაო, — მიუგო მოხუცს ვაჭარმა.

დაბრუნდა დედაბერი სახლში და შვილს ვაჭრის პასუხი მოუტანა.

— ნუ გეშინია, დედი, შენ საგზალი მომიმზადე და მე ვაშლის მოსატანად წავალო, — უთხრა შვილმა და გასამგზავრებლად მომზადებას შეუდგა.

დედამ დაძებნა კუთხე-კუნჭულში თუ რამე ეგულებოდა, გამოიღო, ჩაუწყო შვილს ტომარაში და ვაშლის მოსატანად გაისტუმრა.

გაუდგა ვაჟი გზას. იარა, იარა და ერთ მთას მიუახლოვდა. გაიხედა ვაჟმა და დაინახა, რომ ერთი ხის ძირას აუარებელი ხალხი შეგროვილა, გაუშლიათ ტანსაცმლის კალთები და ზემოდან რაღაცას ელოდებიან. ვაჟმაც აიწია ტანისამოსის კალთა და ხალხს შეერია. ცოტა ხანს იდგა ვაჟი ასე ხმაგაკმენდილი. უცებ იგრძნო, რომ კალთაში რაღაცამ გაადინა ტყაპანი. შეშინებულმა ვაჟმა მოუჭირა კალთას მაგრად ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა. გაიქცა თუ არა ვაჟი, ეს ამოდენა ხალხი მაშინვე წამოიშალა და უკან დაედევნა. შეშინებული ვაჟი ქარივით მიჰქროდა და უკან არც კი იხედებოდა. ხალხი ყიჟინით მისდევდა, მაგრამ ჩქარა დაიღალნენ და თავი მიანებეს. ასე ირბინა ვაჟმა კარგა ხანს. ბოლოს მასაც ქანცი გამოელია და ერთი ღელის პირად ქვაზე ჩამოჯდა.

— მოდი ერთი ვნახო, ღმერთმა კალთაში რა ჩამიგდოო, — იფიქრა ვაჟმა და კალთა გაშალა. მაგრამ, ჰოი, საშინელებავ! კალთიდან უზარმაზარი გველი ამოძვრა, ღელეში ჩასრიალდა და წყალს დაეწაფა. ამის დანახვაზე ვაჟს შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა და განძრევას ვეღარ ბედავდა. გველი კი სულმოუთქმელად სვამდა წყალს და ვაჟისაკენ არც კი იყურებოდა. ეს გველი თურმე გველების ფადიშაჰის ვაჟი ყოფილა, ხალხი მას მოსაკლავად დასდევნებია, გველს მოუსწრია და ხეზე ამძვრალა. და აი, უკვე შვიდი წელიწადი სრულდება, რაც ხალხი ქვეშ დგას და მის ჩამოვარდნას ელოდება.

გველმა წყლის სმით, როგორც იქნა, გული იჯერა, ვაჟს მიუბრუნდა და უთხრა:

— ადამიანის შვილო, იცი, მე რა სიკეთე მიყავ? შვიდი წელია, მწყურვალი იმ ხეზე ვიჯექი, შენ რომ დაგინახე, მაშინვე მივხვდი, სამტროდ არ იყავი მოსული და კალთაში ჩაგივარდი. შენ გაიქეცი და ამით მტრის ხელიდან მიხსენიო. ვხედავ, შენ ჩემი ისე გეშინია, რომ ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებ. სიკეთეს იმით გადაგიხდი, რომ გულში რა სურვილიც კი დაგებადება, მაშინვე აგისრულებ! — ამ სიტყვებზე გველი სადღაც გაქრა და გაბრუებული ვაჟი მარტო დატოვა.

ქარგა ხანს იჯდა ვაჟი ასე. ბოლოს, როგორც იქნა, მოიკრიბა ღონე და იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა. გველი რომ იქ ვეღარ ნახა, ცოტაოდენი შვება იგრძნო, თავისუფლად ამოისუნთქა და — მადლობა ღმერთს, აქაურობას გასცილდაო! — გაიფიქრა. ვაჟს წყალი მოსწყურებოდა და ღელესთან მივიდა. დაიხარა ვაჟი და წყალში თავისი ულამაზო პირისახე და ქაჩალი თავი რომ დაინახა, იფიქრა: — „აბა ასეთ მახინჯ კაცს იმ მზეთუნახავს ვინ მომცემს. რა იქნება, მეც ისეთი ლამაზი ვიყო, დამინახავს თუ არა, გამიმიჯნურდესო. —

თქვა თუ არა ეს, გველის პირობისამებრ, ვაჟს მაშინვე შეუსრულდა გულისწადილი. წამიც არ გასულა, რომ ეს ქეციანი ბიჭი მშვენიერ თმახუჭუჭა ვაჟკაცად იქცა.

წამოვიდა ვაჟი იქიდან და ერთ სოფელს მიაღწია. შევიდა სოფლის ერთ-ერთ ყავახანაში და ყავა მოითხოვა. მისმა სილამაზემ ისე მოხიბლა მთელი ხალხი, რომ თვალს ვეღარ აშორებდნენ. როდესაც ვაჟმა სარკეში ჩაიხედა, — ეს მშვენიერი ყმაწვილი ნეტავ ვინ არისო? — გაიფიქრა თავისთვის და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ გარშემო ვერავინ დაინახა. მაშინ კი მიხვდა, რომ სარკეში მისი გამოსახულება იყო და გველის სიტყვებიც გაახსენდა.

— მე ახლა ისეთი ლამაზი ვარ, რომ ის მდიდარი ვაჭარი თავის ქალს ვეღარ დამიჭერს, მოდი წავალ და ისევა ვთხოვო, — გადაწყვიტა ვაჟმა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

მივიდა ვაჟი დედასთან და კარებზე დააკაკუნა. დედამ ფანჯრიდან გადმოიხედა, ვერ იცნო თავისი შვილი და გამოსძახა:

— ვინა ხარ, შვილო, აქ ვის ეძებო?

— მე ვარ, დედი, შენი შვილი, ვეღარ მიცანიო? — უპასუხა შვილმა დედას.

— არა, შვილო, შენ ჩემს ვაჟს არა ჰგავხარ. ის უშნო და ქაჩალი იყო, შენ კი მშვენიერი ვაჟკაცი ხარო, — გამოსძახა მოხუცმა.

— სწორედ ის შენი ქეციანი ბიჭი ვარ. ღმერთმა ეს სილამაზე კეთილი საქმის ჯილდოდ მომანიჭა, — მიუგო ვაჟმა.

დედაბერმა ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ შვილს კარები გაუღო. ვაჟმა უამბო დედას ყველაფერი და სთხოვა, რომ ისევ იმ მზეთუნახავის სათხოვნელად წასულიყო, მაგრამ დედამ უპასუხა:

— შვილო, უკვე გვიანაა, იმ ქალს ვიღაც სხვაზე ათხოვებენ და დღეს ქორწილი აქვთო.

ვაჟმა დედას არაფერი უთხრა და პირდაპირ სასახლისაკენ გაემართა. სასახლის ეზოში აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა. საქორწინო სამზადისში გართულებმა ვაჟის მისვლა ვერც კი შეამჩნიეს. ვაჟი ხალხში გაერია, გადაიკიდა ხელზე დიდი პირსახოცი და დაიწყო ზევით-ქვევით სირბილი, თითქოს ისიც ხალხს ეხმარებოდა: პატარძლის მამამ ხალხში ლამაზი ვაჟი შენიშნა, ძალიან მოიწონა და გულში გაიფიქრა: — ნეტავ ჩემი სასიძო ამას მაინც ჰგავდეს, ეს ვაჟი ნამდვილად სიძის მხრიდანაა მოსული, რა მშვენიერი ვაჟკაციაო! უყურებდა ვაჭარი ვაჟს და მისი ცქერით ვერა ძღებოდა. სიძის მხრიდან მოსულებს კი ვაჟი ქალის მახლობელი ეგონათ და მისი სილამაზით აღტაცებულნი თვალს ვერ აშორებდნენ.

დაღამდა. ხალხი დაიშალა და აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა. ვაჭარმა ვაჟი არ გაუშვა და ღამე სასახლეში დატოვა. ნეფე-პატარძალი მათთვის განკუთვნილ ცალკე ოთახში შეიყვანეს. ვაჟმა რომ ეს დაინახა, ინატრა: ესენი ოთახში რომ შევლენ, ნეტავ გაშეშდნენო.

ვაჟს ნატვრა ამჯერადაც აუხდა: ნეფე-პატარძალი ოთახში შესვლისთანავე გაქვავდნენ.

მეორე დღეს ყველა ელოდა ნეფე-პატარძლის გამობრძანებას საწოლი ოთახიდან, მაგრამ გადიოდა დრო და ახლად შეუღლებულნი კი არსად ჩანდნენ. ვაჭარმა რომ ნახა ნეფე-პატარძალი არ გამოდიანო, დაუძახა ვაჟს და იმამის მოსაყვანად გაგზავნა. გაიქცა ვაჟი იმამთან და ჯერ ისევ საწოლში მყოფ იმამს შესძახა: — იმამ ეფენდი, გუშინდელი მექორწილეები გიხმობენ, წამობრძანდითო.

— ცოტა მომიცადე შვილო, ახლავე ჩავიცვამ და წამოგყვებიო, — უთხრა იმამმა ვაჟს.

— რა დროს ჩაცმაა, წამოდი და მერე ჩაიცვიო, — აღარ დააცალა ვაჟმა, სტაცა იმამს ხელი და ძალით გარეთ გამოიყვანა. ასე ძალის ძალადობით და ყვირილით იმამი ვაჭრის სახლში მოიყვანა. ვაჭარმა დაინახა თუ არა სასახლეში შემოსული იმამი, წინ შეეგება და სთხოვა:

— იმამ ეფენდი, მიშველე რამე, ნეფე-პატარძალი წუხანდელს აქეთ გაშეშებულანო!

შევიდა იმამი ნეფე-პატარძალთან და ის იყო, მათთვის თავზე ხელი უნდა დაედო და ლოცვა წაეკითხა, რომ ამ დროს ვაჟმა იმამის გაშეშებაც ინატრა და იმამიც ამ მდგომარეობაში დარჩა. იმამი ჭკვიანი კაცი იყო და მიხვდა, რომ ეს ჯადო ვაჟის ნახელავი იყო. მაშინვე ქალის მამა მოიხმო და უთხრა:

— ყველა ამის ჩამდენი ეს ლამაზი ვაჟია. თუ შენ მას ქალს მიათხოვებ, ამ უბედურებას გადარჩები, თუ არადა სხვა გამოსავალი არ არისო.

ვაჭარს ვაჟი ისედაც თვალში მოსდიოდა და იმამს სიამოვნებით დათანხმდა. იმამმა ვაჟს და ვაჭრის ქალს მაშინვე გადაწერა ჯვარი. ძველი სიძე კი გარეთ გააგდეს.

ქალ-ვაჟს გადაუხადეს დიდი ქორწილი და ორმოც დღესა და ღამეს ქეიფობდნენ.

დერვიშის ასული და შაჰზადე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ფადიშაჰი, მემკვიდრე არა ჰყავდა და ეს დარდი მოსვენებას უკარგავდა. ერთ დღეს ფადიშაჰი თავის გამზრდელთან ერთად სასეირნოდ წავიდა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ ორივენი ერთ წყაროსთან მივიდნენ და აფთესი და ნამაზი[1] შეასრულეს.

სად იყო და სად არა, გზაზე ერთი დერვიში გამოჩნდა, მიუახლოვდა ფადიშაჰს და მიმართა:

— გამარჯობა, დიდებულო და ყოვლისმძლეო ფადიშაჰო!

— რაკი ჩემს ვინაობას მიხვდი, ისიც გეცოდინება, რა დარდი მაწუხებსო, — უპასუხა დანაღვლიანებულმა ფადიშაჰმა.

დერვიშმა უბიდან ერთი ვაშლი ამოიღო, ფადიშაჰს გაუწოდა და უთხრა:

— უძეობას ძალიან დაუღონებიხარ, ფადიშაჰო, მაგრამ ნუ გეშინია. გამომართვი ეს ვაშლი, ნახევარი შენ შეჭამე, ნახევარი შენმა მეუღლემ და ვაჟიშვილი შეგეძინებათ. ოღონდ იცოდე, ის ვაჟი ოც წლამდე შენ გეკუთვნის, შემდეგ კი მეო, — მისცა ფადიშაჰს ვაშლი და გაჰქრა.

ფადიშაჰი იმ დღესვე დაბრუნდა სასახლეში. მაშინვე გაჭრა ვაშლი შუაზე, ნახევარი თვითონ შეჭამა, ნახევარი კი ცოლს შეაჭამა. ცხრა თვისა და ათი დღის შემდეგ პირმშვენიერი ვაჟი შეეძინა. გაიხარა ფადიშაჰმა, აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა, დიდი ლხინიც გადაიხადა.

გადიოდა ხანი. შაჰზადე იზრდებოდა. როდესაც ბავშვი ხუთი-ექვსი წლისა გახდა, ხოჯას მიაბარეს და წერა-კითხვის სწავლა დააწყებინეს. თოთხმეტი წლის შაჰზადე უკვე სანადიროდ დადიოდა. ოცი წლისა რომ გახდა, ფადიშაჰმა თავისი ვაჟიშვილის დაქორწინება მოისურვა და შესაფერი საცოლის ძებნას შეუდგა. შეურჩიეს მშვენიერი ასული და შერთეს ცოლად. ფადიშაჰმა

---

[1] ლოცვა, რომელსაც მუსლიმანები დღეში ხუთჯერ ასრულებენ.

შვილს დიდი ქორწილი გადაუხადა. ორმოც დღეს და ღამეს სასახლეში ლხინი არ შეწყვეტილა. ორმოცდამეერთე ღამეს ნეფე-პატარძალი დასაძინებლად წავიდნენ. იმავე ღამეს შაჰზადეს ოთახში შემოვიდა დერვიში, მოიტაცა ვაჟი და სადღაც შორს, ცხრა მთის იქით გადაკარგა.

შეშინებულმა შაჰზადემ აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა, საით წასულიყო. უცებ საიდანღაც სამი მტრედი მოფრინდა. მტრედები იქვე წყლის პირას დაეშვნენ, შეიფრთხიალეს, მშვენიერ ქალწულებად იქცნენ და წყალში ბანაობა იწყეს. კარგა ხანს უყურა ვაჟმა მობანავე ქალებს, შემდეგ ჩუმად მიეპარა, ერთ-ერთის ტანსაცმელი აიღო და დამალა. ქალწულებმა ბანაობით გული იჯერეს, ნაპირზე გამოვიდნენ და ჩაცმა დაიწყეს. ერთმა ბევრი ეძება ტანისამოსი, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ რას იპოვიდა, ამ ძებნასა და აქეთ-იქით სირბილში უცებ შორიახლოს მდგომ შაჰზადეს მოკრა თვალი და მიხვდა. რომ ტანსაცმელი იმ ვაჟმა დაუმალა. ქალმა მიირბინა ვაჟთან და დაუწყო ხვეწნა-მუდარა — ტანსაცმელი დამიბრუნეო, მაგრამ ვაჟი უარზე იყო. ბოლოს ქალმა შაჰზადეს ჰკითხა:

— შენ აქ ვინ მოგიყვანაო?

— მე ერთმა დერვიშმა მომიტაცა და აქ გადმომაგდოო, — უპასუხა ვაჟმა.

— ის დერვიში მამაჩემია, საცაა აქ მოვა, თმებით ხეზე ჩამოგკიდებს, დიდი მათრახით გცემს და გკითხავს: — ისწავლეო? — შენც უპასუხე: არა, ვერ ვისწავლე-თქო. თუ ასე არ ეტყვი, საშინლად გაწამებს, — დაარიგა ქალმა.

შაჰზადემ ქალს ტანსაცმელი დაუბრუნა, გადაიცვა ქალმა კაბა, ისევ მტრედად იქცა და გაფრინდა. ჩქარა დერვიშიც გამოჩნდა, მივიდა ვაჟთან, თმებით ხეზე ჩამოკიდა და მათრახით ცემა დაუწყო. თან ეკითხებოდა — ისწავლე თუ არაო?

— არა, ვერ ვისწავლეო,— მიუგო შაჰზადემ. ამის გაგონებაზე დერვიშმა ვაჟს თავი დაანება და წავიდა. სამ დღეს ცემდა დერვიში შაჰზადეს. ბოლოს მიხვდა, რომ შაჰზადე ვერაფერს ისწავლიდა და გაუშვა. წამოვიდა ვაჟი და იმ მიდამოებში იწყო ხეტიალი. უცებ ისევ ის მტრედი მოფრინდა და შაჰზადეს უთხრა:

— მამაჩემი ჩქარა დაბრუნდება და გკითხავს: ამ ქალებიდან რომელი გინდაო? შენც ჩემზე მიუთითე. თუ ვერ მიცნობ, მაშინ ეი, ეს ჩიტი გამომართვი, შენა -გყავდეს. როდესაც შეგეკითხება, ჩიტი უბიდან ამოიყვანე და თქვი: ეს ჩიტი ვისთანაც მიფრინდება, მეც ის მინდა-თქო. ეცადე, არაფერი შეგეშალოს! — მისცა მტრედმა შაჰზადეს ჩიტი და გაფრინდა.

მეორე დღეს დერვიში კვლავ ვაჟთან გაჩნდა და თან სამი ფერია მიიყვანა:

— ამათგან რომელი გინდაო? — ჰკითხა დერვიშმა შაჰზადეს. ვაჟმა უბიდან ჩიტი ამოიყვანა და დერვიშს უთხრა:

— ეს ჩიტი ვისთანაც მიფრინდება, ჩემი ბედიც ის იყოსო! — თქვა ეს

შაჰზადემ და გაუშვა ჩიტი. ჩიტმა იფრინა, იფრინა და თავის პატრონს დააჯდა მხარზე. ადგა დერვიში და თავისი ქალი შაჰზადეს მისცა.

იმ ფერიის დედა ჯადოქარი ყოფილა თურმე. მას არ მოეწონა ვაჟი და არ უნდოდა ქალის გატანება.

შაჰზადემ მაინც წამოიყვანა დერვიშის ასული და წამოვიდა. უცებ ქალმა მიიხედა უკან და დაინახა, რომ დედა უკან მოსდევდა. ქალს ბევრი არ უფიქრია, გაარტყა ვაჟს სილა და ბაღად აქცია. მერე თვითონაც შემოიკრა სილა და მებაღედ იქცა. ამასობაში ჯადოქარი დაეწია და მებაღეს ჰკითხა: — აქეთ ქალ-ვაჟს ხომ არ გამოუვლიათო?

— ჯერ ჩემს ბაღში პრასი არ ამოსულაო, — უპასუხა მებაღემ.

— მებაღეო, მე ქალ-ვაჟზე გელაპარაკები და არა პრასაზეო, — გაჯავრდა ჯადოქარი.

— გენაცვალე, არც ისპანახი მაქვს. ჯერ არ დამირგავს. ერთი ორი თვის შემდეგ მოდიო, — გაუმეორა მებაღემ. მიხვდა ჯადოქარი, რომ მებაღე ყრუ იყო, გაბრუნდა და წავიდა. როდესაც ქალმა დაინახა, დედაბერი კარგა მანძილით დასცილდა მათ, გაარტყა ბაღს სილა და შაჰზადედ აქცია, თვითონაც გაირტყა და ქალად იქცა. ისევ განაგრძეს გზა. უცებ დედაბერძა მოიხედა უკან და დაინახა, რომ სადღაც შორს გზაზე ქალი და ვაჟი მიდიან. ჯადოქარი მაშინვე მობრუნდა და უკან დაედევნა. მოიხედა ქალმა, დაინახა დედაბერი, ხელად გაარტყა ვაჟს სილა და ფურნედ აქცია, თვითონ მეფურნედ იქცა. ჯადოქარი ჩქარა წამოეწია და მეფურნეს ჰკითხა:

— ამ გზაზე ქალ-ვაჟს ხომ არ გამოუვლიათო?

— დედი, პურები ჯერ არ გამომცხვარა, ახლახან ჩავაკარ, ნახევარი საათის შემდეგ მოდი და მოგცემო, — უპასუხა მეფურნემ.

— შვილო, მე პურები კი არ მინდა, ქალ-ვაჟის ამბავს გეკითხებიო,— გაბოროტებით მიაძახა დედაბერმა.

— დედი, მეც მშიერი ვარ, ცოტა მოითმინე, პურები გამოცხვება და ვჭამოთო, — მიუგო დამშვიდებით მეფურნემ.

ნახა დედაბერმა, რომ არც ამას ეყურებოდა რა და უკან გაბრუნდა. მოიშორა თუ არა ქალმა თავიდან ჯადოქარი, ფურნე ისევ ვაჟად აქცია, თვითონაც ქალად იქცა და გზას გაუდგნენ. კვლავ მოიხედა უკან ჯადოქარმა, დაინახა ისევ გზად მიმავალი ქალ-ვაჟი. ახლა კი მიხვდა, რომ ბაღი და ფურნე, მებაღე და მეფურნე ის გაქცეულები უნდა ყოფილიყვნენ. ისევ გამოეკიდა ქალ-ვაჟს. მოიხედა ქალმა და ხედავს, რომ დედა ისევ მოსდევთ. შემოჰკრა ვაჟს ერთი სილა და ტბად აქცია, თვითონ იხვად იქცა და წყალში შეცურდა. ბივიდა დედაბერი ახლოს და ხედავს, რომ მის წინ დიდი ტბაა გაშლილი. აქეთ ეცა, იქით ეცა, ფონი ვერსად იპოვა, რომ მეორე მხარეს გასულიყო. ბოლოს, რომ ვერა გააწყო რა, გაბრუნდა და წავიდა. ტბა და იხვი იქცნენ ისევ ქალ-ვაჟად და გასწიეს.

იარეს, იარეს და ვაჟის სამფლობელოში მივიდნენ. სანამ ვაჟი სასახლეში

შივიდოდა, ქალი ერთ ფუნდუკში შეიყვანა და უთხრა: — შენ აქ მომიცადე, მე სასახლეში წავალ და იქიდან ტანსაცმელს და ეტლს გამოგიგზავნიო! — ქალი დარჩა ფუნდუკში. ვაჟი კი გამოვიდა და სასახლისაკენ გაეშურა. სასახლის ახლოს შაპზადეს დახვდა ისევ ის დერვიში, აიტაცა და ახლა კი მამის სასახლეში მიიყვანა. შეიყვანა ვაჟი იმ ოთახში, საიდანაც ქორწილის ღამეს გამოიტაცა და იმავე ლოგინში ჩააწვინა. ძიიხედ-მოიხედა ვაჟმა და ნახა, რომ თავის ლოგინში წევს და გვერდით პატარძალი უწევს. „ნეტავ სიზმარში ვარ თუ ცხადშიო?“ — გაიფიქრა ვაჟმა.

დერვიშის ასული დიდხანს ელოდა ფუნდუკში ვაჟს. მოსწყინდა ლოდინი, ეწყინა ვაჟის ასეთი საქციელი და მტრედად იქცა.

— აი, შე უსინდისო, მე აქ დამტოვე და აღარც მიკითხეო! — ჩაიღუღუნა და ვაჟის სასახლისაკენ გაფრინდა. შეფრინდა ვაჟის საწოლ ოთახში და ვაჟს უთხრა: — შე უნამუსო, უცხო მხრიდან ქალი აქ წამომიყვანე, ფუნდუკში დამტოვე და შენ კი აქ არხეინად გძინავსო! — თქვა ეს მტრედმა და გაფრინდა. მტრედის ამ სიტყვებმა ვაჟი გამოაფხიზლა. მიხვდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი არ იყო. მაშინვე წამოხტა ლოგინიდან, მოამზადებინა საუკეთესო ტანსაცმელი, ეტლი და ფუნდუკში წავიდა. ჩასვა ქალი ეტლში და სასახლეში მოიყვანა. პირველი ცოლი ისევ დედის სახლში გაამგზავრა, თვითონ კი დერვიშის ასული შეირთო და დიდი ქორწილი გადაიხადა. ორმოც დღესა და ღამეს სასახლეში ქეიფი და ლხინი არ შეწყვეტილა.

შვიდი დევი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. შრომით დიდად არ იწუხებდა თავს და ცოლს ნახევრად მშიერს ამყოფებდა. მობეზრდა ქალს გაჭირვებული ცხოვრება და ერთხელ ქმარს შეუტია:

— კაცო, გეყოფა ეგრე უქმად ყოფნა, წადი, ხელი გაანძრიე, რამე სამუშაო იშოვე და მშივრები აღარ ვიქნებითო!

ცოლის ამ სიტყვებმა კაცი ძალიან გააბრაზა, ადგა, ჯიბრით მეორე ცოლიც ითხოვა და სახლში მოიყვანა. რას იზამდა პირველი ცოლი, შეურიგდა ამ ამბავს და ქმარს ისევ გაუმეორა:

— ორნი ვიყავით, თავს ძლივს ვირჩენდით. ახლა რაღა გვეშველება? სამნი ვართ და შიმშილით დავიხოცებით. ადექი იმუშავე და გვარჩინეო.

ნახა კაცმა, რომ სახლში აღარ ედგომებოდა და ლუკმაპურის საძებნელად წასვლა გადაწყვიტა. მოამზადებინა ცოლს საგზალი, მოატანინა გუდა, ძირში ერთი კვერცხი ჩაადებინა, ზედ ნაცარი მოაყარა და საჭმელი ჩააწყობინა. მერე მოიკიდა გუდა ზურგზე და გაუდგა გზას.

იარა, იარა და მიადგა იმ ადგილს, სადაც შვიდი დევი ცხოვრობდა. უცებ გზაჯვარედინზე ერთ-ერთი დევი შემოხვდა. კაცი შიშისაგან მიბრუნდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ გვიანღა იყო. დევი ხელად დაიჭერდა და ერთ ლუკმად არ ეყოფოდა. მეტი რა გზა ჰქონდა, გაჩერდა და მიესალმა.

— ვინა ხარ და საით მიდიხარო?! — ჰკითხა კბილების ღრჭენით დევმა.

— მე განთქმული ფალავანი ვარ. შენმა ქებამ ჩემს ყურამდეც მოაღწია და შენს სანახავად მოვედი. მინდა ღონეში ერთმანეთს შევეჯიბროთ. მოდი, ამ გზას დაჰყევ, გაიარე. თუ სიარულის დროს ისეთ მტვერს ააყენებ, რომ მე ველარ დაგინახავ, მაშინ დავიჯერებ, რომ სახელი ღირსეულად დაგიმსახურებიაო! — უპასუხა კაცმა.

გაიარა დევმა. შეხედა კაცმა, მაგრამ რა მტვერი. რის მტვერი. გზაზე არაფერი არ შენძრეულა. მიბრუნდა დევი ისევ კაცთან.

— ახლა ეს თეთრი ქვა აიღე და ხელი მოუჭირე. ვნახოთ, წვენის გამოდენას შესძლებ თუ არაო? — უთხრა კაცმა დევს.

აიღო დევმა თეთრი ქვა, მაგრად მოუჭირა ხელი, მაგრამ ქვას რას დააკლებდა, რა წვენს გამოადენდა!

— მაშ, აბა, ახლა მე მიყურე! — მიუბრუნდა კაცი დევს, ჩუმად ამოიღო ბანა, გაუყარა გუდას და რამდენიმე ადგილას გასჭრა. გაიარა თუ არა, გუდიდან ნაცარი გადმოიპნა და გზაზე მტვრის საშინელი ბუქი ავარდა. გახედა დევმა, მაგრამ მტვრის იმ კორიანტელში კაცი ვეღარ დაინახა. მობრუნდა კაცი, მივიდა დევთან და ჰკითხა:

— რა იყო, დევო, დამინახეო?

— ვერა, ვერ დაგინახე, — მიუგო დევმა.

— მაშ, აბა ერთი კიდევ შემომხედე! — უთხრა კაცმა. ჩუმად გუდიდან კვერცხი ამოიღო და დევს შესძახა:

— დევო, მიყურე. მოუჭირა კვერცხს ხელი და გატეხა. დაინახა დევმა, რომ კაცმა თეთრ ქვას წვენი გამოადინა, მაგრამ რა იცოდა რა წვენი იყო. კაცის ამ საქციელმა დევი საშინლად განაცვიფრა და უთხრა, მოდი, დავმეგობრდეთო.

დევი და კაცი ერთად მივიდნენ დევების სოფელში. რამდენიმე ღამე გაატარა კაცმა დევებთან. დევის ძმებს ეს კაცი თვალში არ მოსდიოდათ და თავიდან მოშორება განიზრახეს.

ერთხელ დევებმა ძმას უთხრეს:

— შენს მეგობარ კაცს უთხარი, მთაში წავიდეს და შეშა ჩამოგვიტანოსო!

როდესაც დევმა ძმების ნათქვამი გადასცა, კაცმა უთხრა:

— წადი, სოფელში რაც კი მსხვილი თოკებია მოაგროვე და მომიტანეო.

მივიდა დევი ძმებთან და უთხრა:

— კაცმა სოფელში თოკების შეგროვება და მოტანა მომთხოვაო.

შეფიქრიანდნენ დევები; ხეტა ეს თოკები რაში სჭირდება, რა უნდა გააკეთოსო? — და ძმა ამბის გასაგებად ისევ კაცთან გაგზავნეს. მივიდა დევი კაცთან და ჰკითხა:

— თოკებს რა უნდა უყო, რად გინდაო?

— რად მინდა და, ამ თოკებს ერთმანეთზე გადავაბამ, ერთ ბოლოს სახლის ბოძს მოვაბამ, მეორეს მე მოვეჭიდები, შემოვურბენ მთას გარშემო, შემოვახვევ თოკს, მოვალ ისევ სახლამდე, თოკს მოვწევ, მთას ადგილიდან მოვგლეჯ და ტყიანად სახლთან ჩამოვიტან. ასე თუ ვიზამ თორემ ყოველდღე მთაში შეშაზე სასიარულოდ სადა მცალიაო! — უპასუხა კაცმა.

მივიდა დევი ძმებთან და უამბო, როგორ აპირებდა კაცი შეშის მოტანას.

გაბრაზდნენ დევები, ატეხეს ერთი ბუუბუუ-ზანზარი — რა ვქნათ, რა ვიღონოთ, რომ ეს კაცი თავიდან მოვიშოროთო?

ბევრი იფიქრეს და ბოლოს კაცის მოკვლა გადაწყვიტეს. ერთ ღამეს მოიტანეს კუნძი და კაცის საწოლთან დააგდეს. კაცმა კუნძი რომ დაინახა, მიუხვდა დევებს განზრახვას: ამაღამ ესენი მე ხეირს არ დამაყრიან, ნაძდვილად მომკლავენო.

ღამით, როდესაც ყველას დაეძინა, კაცი ადგა, კუნძი ლოგინში შეაგორა და თვითონ ზევით დაიმალა. მართლაც, შუაღამისას მოვიდნენ დევები. შეიდივეს ხელში დიდრონი რკინის კეტები ეჭირათ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დაუშინეს კაცის ლოგინს. მაგრამ რას გახდებოდნენ. ლოგინში კუნძი ეგდო, კაცი კი ზევით იყო დამალული. დევებმა ცემით კარგა გული რომ იჯერეს, უკან გაბრუნდნენ და ჩაიბურტყუნეს: აბა, ახლა ვნახოთ, კიდევ გადაგვირჩება თუ არაო!

გათენდა დილა. მოვიდნენ დევები კაცის ოთახში და რასა ხედავენ: კაცი წამომჯდარა ლოგინში და მკბენარს იხილავს.

— კაცო, რა ადრე გაგღვიძებიაო, — უთხრეს გაკვირვებულმა დევებმა.

— ჰო, წუხელ ხუთი-ექვსი რწყილი შემომიჩნდა და მთელი ღამე მოსვენება არ მომცა, ამიტომაც ადრე ადგომა ვირჩიე, — მიუგო არხეინად კაცმა.

რაღას იზამდნენ დევები. იფიქრეს, იმსჯელეს და ბოლოს ძმას მიუბრუნდნენ:

— ძმაო, ეგ შენი მოყვანილი კაცი კარგ დღეს არ დაგვაყრის. მაგას თუ რკინის ჯოხებით ცემა და ჩეჩქვა რწყილის კბენად მოეჩვენა, ჩვენ ალბათ ნაცარტუტად გვაქცევს. მოდი, გაუვსე მაგ ოხერს გუდა ოქროთი და თავის სახლში წაეთრიოს, თვალით აღარ დაგვენახოსო.

გაუვსეს კაცს გუდა ოქროთი, აჰკიდეს ზურგზე და გაისტუმრეს. დევების ძმაც გაჰყვა სახლამდე. სახლს რომ მიუახლოვდნენ, კაცი ეცა სახლის ბოძს და დაეჯაჯგურა, თითქოს ამოძრობას უპირებსო.

— კაცო, მაგას რასა შვრებიო? — შეეკითხა დევი.

— ჩემს ცოლს რა ვუყო, არ ვიცი. ძალზე მაჯავრებს. ლამის არის ეს ბოძი ამოვგლიჯო და თავი გავუხეთქოო! — შეჰყვირა კაცმა. შეეშინდა დევს და ისე მოკურცხლა, რომ უკან აღარ მოუხედავს, იქ ძმებს კაცის ნამოქმედარი უამბო და თანაც დაუმატა — ეს ჭირი დროზე მოვიცილეთ თავიდან, თორემ არც ერთს ცოცხალს არ გაგვიშვებდაო!

ღარიბმა კაცმა კი თავისი ჭკუითა და მოხერხებით ნაშოვნი ოქროებით სავსე გუდა შეიტანა სახლში და ცოლებს უთხრა: — ახლა კი არაფერი გაგვიჭირდება, ვჭამოთ, ვსვათ და დრო ტკბილად გავატაროთო!

შეშის მჭრელი და ფადიშაჰი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი შეშის მჭრელი. შეშის მჭრელს ერთი საყვარელი ცოლი ჰყავდა. კაცი დილით ადრე ბიდიოდა, მთაში შეშას ჭრიდა, საღამოს ჩამოჰქონდა და ჰყიდდა. მოგებული ფულით ბაყალთან საჭმელ-სასმელს ყიდულობდა, მოჰქონდა სახლში და ცოლი გემრიელ ვახშამს უმზადებდა. ცოლ-ქმარი ტკბილად შეექცეოდა შრომით ნაშოვნ ლუკმას, მერე მოჰყვებოდნენ სიმღერა-თამაშს, უკრავდნენ და ასე სიამოვნებით ატარებდნენ დროს. მეორე დღეს შეშის მჭრელი ისევ მიდიოდა მთაში, ჩამოჰქონდა შეშა, ჰყიდდა და ცოლიც ქმრისათვის გემრიელ საჭმელსა და ტკბილ სიტყვას არ იშურებდა. გადიოდა დღეები. თავიანთი ბედით კმაყოფილი ცოლ-ქმარი ჩვეულებას არ უხვევდა.

ერთ დღეს ფადიშაჰმა ქალაქში ღამ-ღამობით სახლებში სანთლის დანთება აკრძალა. ფადიშაჰის შიშით ვერავინ ბედავდა შუქის გამოჩენას. მხოლოდ შეშის მჭრელის ქოხიდან მხიარულად გამოკრთოდა სანთლის შუქი. ბედნიერი ცოლ-ქმარი საღამოებს წინანდებურად სიმღერა-გართობაში ატარებდა და ფადიშაჰის ბრძანებისათვის ყურადღება არც კი მიუქცევიათ.

ერთ ღამეს გამოვიდა ფადიშაჰი სასახლიდან, დაიარა მთელი ქალაქი და შეშის მჭრელის ქოხს მიადგა. დაინახა, რომ ფანჯრიდან სანთლის შუქი გამოდის, თან დაირისა და სიმღერის ხმა ისმის. დაინტერესდა ფადიშაჰი, შეიხედა ფანჯარაში და რასა ხედავს! შეშის მჭრელი და მისი ცოლი ერთ ამბავში არიან, მღერიან, ცეკვავენ და დროს ატარებენ. კარგა ხანს უყურა ფადიშაჰმა ბედნიერებს, მოეწონა, ბოლოს კარებს ნიშანი დაადო, გაბრუნდა და წავიდა.

მეორე დღეს ფადიშაჰმა შეშის მჭრელს ერთი ცხენი, ერთი ხელი ძვირფასი ტანისამოსი გაუგზავნა და თავისთან იხმო. ფადიშაჰის მხლებლები მივიდნენ შეშის მჭრელთან, დაუკაკუნეს კარებზე და სახლის პატრონი იკითხეს. კარი ცოლმა გაუღო და უცხო კაცები რომ დაინახა, შიშით უპასუხა: — ჩემი

ქმარი შინ არ არის, შეშის საჭრელად მთაშია წასულიო.—გამობრუნდნენ ფადიშაჰის მხლებლები და შეშის მჭრელის საძებნელად მთაში წავიდნენ. როგორც იყო იპოვეს, ჩააცვეს ძვირფასი ტანისამოსი, შესვეს ცხენზე და ფადიშაჰთან მოიყვანეს. გზაში ყველამ დაინახა შეშის მჭრელი, რომელიც ცხენით ამაყად მიჰყვებოდა სასახლის კარისკაცებს. გზის ორივე მხარეს აქეთ-იქიდან მათხოვრები ჩამწკრივდნენ და მოწყალება სთხოვეს. შეშის მჭრელმა ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიბრუნა ჯიბეები, მაგრამ რაც არა ჰქონდა, რას იპოვიდა, და მათხოვრებს მიმართა:

— რა ვქნა, ხომ ხედავთ, ახლა ჯიბეში ფული არა მაქვს, უკან რომ დავბრუნდები, მაშინ დაგირიგებთო, — მოსცილდა მათხოვრებს და გზა განაგრძო.

ჩქარა ფადიშაჰის სასახლეც გამოჩნდა. აიყვანეს მხლებლებმა შეშის მჭრელი სასახლეში და ფადიშაჰს წარუდგინეს. ფადიშაჰმა აათვალიერა შეშის მჭრელი და ჰკითხა: რითა ცხოვრობ, რა საქმეს მისდევ?

— დიდებულო ფადიშაჰო, მე ერთი საწყალი შეშის მჭრელი ვარ. დღისით მთაში შეშას ვჭრი, საღამოს ჩამომაქვს და ვყიდი. იმ ფულით სასმელ-საჭმელს ვყიდულობ, მომაქვს სახლში, ცოლთან ერთად ვჭამ, ვსვამ და დროს ტკბილად ვატარებო, — მიუგო შეშის მჭრელმა.

ფადიშაჰს მოეწონა პასუხი, შეშის მჭრელი სასახლის კარისკაცების უფროსად დანიშნა და ერთი კოხტა ხმალი უბოძა. გამოვიდა შეშის მჭრელი სასახლიდან, შეჯდა ცხენზე და შინისაკენ გასწია. გზაში ისევ ის მათხოვრები დახვდნენ. გარს შემოეხვივნენ და ფული სთხოვეს. ამოიქექა ჯიბეები შეშის მჭრელმა, ბევრი აფათურა ხელები, მაგრამ ამაოდ, ჯიბეში ერთი კაპიკიც არ უჩხრიალებდა: — მეც თქვენსავით უფულო ვარ, ერთი ყურუშიც [1] კი არ მაბადია, რა ვქნა, ნუ გეწყინებათო! — გადმოსძახა მათხოვრებს; გადაუქირა ცხენს მათრახი და ჩქარა თავის სახლს მიაღწია. შევიდა შეშის მჭრელი სახლში, ცოლს ყველაფერი უამბო და თანაც დაუმატა: — ქალო, ახლა რა ვქნათ? შიმშილისაგან კუჭი მიხმება, ფულიც არა მაქვს, დღეს მთელი დღე ბუშაობას მოვცდი და მშივრები დავრჩითო. — ცოლმა იფიქრა, იფიქრა და ქმარს უთხრა: — გენაცვალე, ეს ხმალი რომ ჩამოგიკიდია წელზე, რაში გარგია? აიღე. მიუტანე ბაყალს და ისიც მაგის საფასურში ცოტაოდენ სანოვაგეს მოგცემს. მოიტანე და ვჭამოთო!

შეშის მჭრელს ცოლის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა. აიღო ფადიშაჰის ნაბოძები ხმალი, ბაყალს საჭმელში გადაუცვალა და სახლში მოიტანა. დატრიალდა ცოლი, მოამზადა გემრიელი ვახშამი და იმ ღამესაც ცოლ-ქმარმა ვახშამს ძველებურად ცეკვა-სიმღერა მოაყოლა, დრო უდარდელად გაატარეს და დასაძინებლად დაწვნენ.

შეშის მჭრელს სასახლიდან ერთი მსახური ბიჭი გამოჰყვა. ბიჭმა დაინახა, როგორ გაცვალა შეშის მჭრელმა ფადიშაჰის ნაბოძები ხმალი სანოვაგეზე. მეო-

---

[1] ფულის ერთეული. თურქული ლირის ერთ მეასედ ნაწილს შეადგენს.

რე დილით ბიჭი ადგა, მივიდა სასახლეში და ფადიშაჰს ხმლის ამბავი უამბო. ფადიშაჰმა ეს რომ მოისმინა, საშინლად განრისხდა და შეშის მჭრელი სასახლეში იხმო. იმ დროს ადათ-წესების მიხედვით სასახლეში დამნაშავეთათვის თავის მოკვეთა ახალი თანამდებობის კაცს ევალებოდა. ფადიშაჰმა მოაგროვა ხალხი, გამოიყვანა ვიღაცა დამნაშავე და კარის კაცების უფროსს — შეშის მჭრელს დაუწყეს ლოდინი. შეშის მჭრელმა რომ გაიგო ფადიშაჰი მიხმობსო, ძალზე შეშინდა. ხმალზე რა პასუხი გაეცეო! — აიღო, ხისაგან ერთი ხმალი გამოთალა, ქარქაშში ჩააგო, წელზე ჩამოიკიდა, შეჯდა ცხენზე და სასახლეში გამოცხადდა. ფადიშაჰმა იცოდა, რომ შეშის მჭრელს ხის ხმალი ეგო ქარქაშში და უბრძანა: — აბა, ამ კაცს თავი მოჰკვეთეო! — ელდა ეცა შეშის მჭრელს. ხის ხმალით რას მოსჭრიდა თავს. მისი ოინი გამოაშკარავდებოდა და არც მას დააყრიდნენ ხეირს. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გამოსავალი იპოვა: მოავლო ხმალს ტარში ხელი, მეორე ხელი ზევით აღაპყრო და შეჰღაღადა:

— ჰოი, ალაჰ, ეს კაცი თუ უცოდველია, ჩემი ხმალი ხედ აქციე, თუ არადა თავი მოჰკვეთეო! — იძრო ხმალი ქარქაშიდან და ხის ხმალი ყველას აჩვენა, მერე ფადიშაჰს მიუბრუნდა და ბიმართა:

— დიდებულო მბრძანებელო, ხომ ხედავ, რომ ეს კაცი დამნაშავე არ არის? მას ამ საქმეში ბრალი არა აქვსო!

ფადიშაჰმა შეშის მჭრელის ოინი წინასწარ იცოდა და მისი გამჭრიახობა ძალზე მოეწონა. ხმლის გაცვლისათვის პასუხი არ მოსთხოვა, საჩუქრად ბლომად ფული და ერთი სასახლე მისცა, ძალზე დაიახლოვა და უიმისოდ არც ერთ საქმეს არა სწყვეტდა. შეშის მჭრელმა ცოლი თავისთან სასახლეში გადმოიყვანა და სიკვდილამდე ტკბილად იცხოვრეს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჯადოსნური სარკე . 3
შეშის მკრელი და ეშმაკი 12
კანდეჰირის ფადიშაჰის ასული 17
სამი ფერია 26
ვეზირის ორი ვაჟი 29
ორი ობოლი . . . 40
ალმასის შტო და ფადიშაჰის უმცროსი ვაჟი 45
თუთიყუში . 56
გულუხვი და ძუნწი 60
არაბი მოახლე 64
ნაცარქექია . . . 69
ჯადოსნური ხალიჩა, მათრახი და კიბე 80
ჩიტების დამკერი და ეშმაკი ბეღურა 86
უაქარი და ფადიშაჰი . 94
შაჰ მერამი და სადე სულთანი 101
ქეციანი ბიკი და გველების ფადიშაჰის შვილი 109
დერვიშის ასული და შაჰზადე 113
შვიდი დევი . 118
შეშის მკრელი და ფადიშაჰი 122

რედაქტორი ნ. ჯანაშია
გამომც. რედაქტორი ლ. გეგელია
მხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი გ. მეტრეველი
კორექტორი ლ. ბასილაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად
ანაწყობის ზომა 7×10
ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,78
ტირაჟი 10.000 შეკვ. № 452.

ფასი 88 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
შთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

•

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5